# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 15 დეკემბერი 2001 №240 (1513) | ფასი 50 თეთრი



საუკეთესო ფეხბურთელი მაიკლ ოუენი

## ხალხური მოტივები უორლდ სოკერის გამოკითხვაში ლივერპული და ლივერპულელები



საუკეთესო მწვრთნელი ჟერარ ულიე



საუკეთესო გუნდი „ლივერპული“

# ბეშიქთაში-დაუმი-დემეტრაძე
## გურჯუ, გოლჯუ, ფუტბოლჯუ

გიორგი დემეტრაძე ახლა მადრიდშია და „რეალთან“ მატჩისთვის ემზადება, ის კი ემზადება, მაგრამ შეუშვებს თუ არა „სოსიედადის“ უელსელი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი ჩვენებურს „სანტიაგო ბერნაბეუს“ მინდორზე, ეს მხოლოდ თავად ტოშაკმა იცის. მეორე სეზონია, დემეტრაძე ესპანეთშია, მაგრამ „სოსიედადის“ ძირითადი მისთვის რომ სანატრელია, ფაქტია. ეს ამბავი არ გამოპარვიათ თურქული „ბეშიქთაშის“ ხელმძღვანელებს და გერმანელ მწვრთნელ კრისტოფ დაუმს, რომლებმაც გუშინ თურქული მედიის საშუალებით ქართველის თავისთან ხილვის სურვილი გაამჟღავნეს, თან ისიც დაამატეს, სწრაფი და მოხერხებული გურჯი მეგოლის ხელში ჩასაგდებად სიტყვას საქმედ ვაქცევთო.

შოტლანდიური „დანდის“ იტალიელი მწვრთნელი ივანო ბონეტი კვლავაც ქართულ მადაზეა: ქუთაისის „ტორპედოს“ მცველ რევაზ ქემოკლიძეს გიორგი ნემსაძესთან, ზურაბ ხიზანიშვილთან და თემურ ქეცბაიასთან შეამხანაგებას უპირებს.

ქვეყნის ჩემპიონს კიდევ ერთი ფეხბურთელის გასხვისება დაუგეგმავს. მცველი ვალერი აბრამიძე დღე-დღეზე მოსკოვს მიაშურებს და იქაური არმიელებისთვის თავის მოწონებას შეეცდება.

იხილეთ მესამე გვერდი



გიორგი დემეტრაძეს თვალი თურქებმა დაადგეს

# ვიერი-რონალდო გრძელ ვირს ითამაშებენ

ამ უქმეებზე, ისევე როგორც წინაზე და იმის წინაზე, ევროპაში ფეხბურთს თამაშობენ. მომდევნო უქმეებზეც ითამაშებენ და მერე საახალწლოდ დაიშლებიან. ეს დაშლა ინგლისელებს, ცხადია, არ ეხებათ, რაკი ისინი დასვენების დღეებშიც არ ისვენებენ — პირველ იანვარსაც ტური აქვთ.

თუმცა ახალ წელზე ლაპარაკს მერეც მოვასწრებთ, ახლა კი ამ ტურისა ვთქვათ.

თავისთავად იგულისხმება, რომ ქართველ ქომაგს სტადიონზე არაფერი ესაქმება, ეროვნული ჩემპიონატი გაზაფხულამდე ისვენებს და ესეც რომ არა, სტადიონებზე სიარულით მაინც არ იკლავს ხალხი თავს. თუმცა ამ უქმეებზეც, ისევე როგორც სხვა წინა და იმის წინა უქმეებზე, ტოტალიზატორებში ბევრი მივა. მივა იმიტომ, რომ ევროპაში ფეხბურთია, თან ისეთი ფეხბურთი, მაყურებელი რომ არ აკლია.

„კიევო“ რომ მილანში ჩადის და „ინტერს“ ხვდება, საყურებელი არ არის?! პატარა ვერონელებს, ხან „მფრინავ ვირებს“, ხან „კონკიას“ და ხან რას რომ აღარ ეძახიან, თავი დავანებოთ და, ვიერი-რონალდოს თამაში ხომ ნაღდად ღირს ყურებად. ან ის როგორ არ ვთქვათ, რომში „მილანი“ რომ ჩადის, და „ჩელსი“ — „ლივერპული“? ქართველი გულშემატკივარი მეტ თამაშს, ალბათ, მაინც ვერ ნახავს, ამიტომ ჩამოსათვლელად ესეც კმარა.

იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდები



კერკეტ „კიევოს“ „ინტერი“ და რონალდო-ვიერი გამოცდიან

# ჩინური ვაზა და უკრაინული სალა

ჩინელებმა ბევრი იცოდნენ და მეტი ისწავლეს. ბოლო წლების ტრადიციით, აღმოსავლურმა გიგანტმა კიდევ ერთხელ დაიმტკიცა უფლება ქალთა ჭადრაკზე, რომელიც ქართველთა ხელიდან მიიღო. მოსკოვში სუსტი სქესის მორიგი ჩემპიონი გამოვლინდა და კვლავ ჩინელი... უწინდელი ჩემპიონის, სიე ძუნის არყოფნისას ქალთა ტახტი ახალგაზრდა ჩენ ჟუმ დაიპყრო და ეს ყველაფერი შედეგია იმ დიდი შრომისა, რაც კომუნისტურმა ქვეყანამ ბოლო ათწლეულებში გასწია, დაწყებული ფართო სამთავრობო პოლიტიკით, სპეციალიზებული საჭადრაკო უნივერსიტეტებით ყოველ დიდ ქალაქში და დამთავრებული ყოველდღიური თავაუღებელი ვარჯიშით და თამაშით. იმ ხალხს შრომა დაუფასდა და დაუფასდება, ხოლო მაია ჩიბურდანიძის ნახევარფინალში გასვლა ძველი დროის ინერცია იყო და მეტი არაფერი: ჭადრაკი ჩვენთან ამა ქვეყნის ძლიერებს ბევრ სხვა რამესავით აღარ აინტერესებთ...

და სენსაცია: ვიშვანათან ანანდმა, საჭადრაკო „დიდი ტრიუმვირატის“ წევრმა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი უკრაინელ ვასილი ივანჩუკს დაუთმო და ვაჟთა ფინალი, 16-28 იანვარს, უკრაინული შიდა საქმე იქნება: ივანჩუკი 17 წლის რუსლან პონომარიოვის წინააღმდეგ.

იხილეთ მეცხრე გვერდი



ჩენ ჟუ მსოფლიოს ჩემპიონია

# კოლხური მაზანდა

## ნუ გაიკვირვებთ, კვირკველიას

**ორ კვირაზე** მეტი გავიდა, რაც საქართველოს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი დასრულდა და გუნდები ისვენებენ. ისვენებენ დავიდარაბის, წვალებისა და „ვითომ ფეხბურთისგან“.

არდადეგებზე არიან ფოთის „კოლხეთის“ ფეხბურთელებიც. „კოლხეთმა“ საშემოდგომო ეტაპი მეხუთე ადგილზე ჩაამთავრა და თუ დარჩენილ ოთხ მატჩში ყურადღებას არ მოადუნებს, ზეექვსეულს ვერავინ შეეცილება. ამის გარდა ზღვისპირელებმა სხვა რამითაც დაგვამახსოვრეს თავი — „კოლხეთ“ — „ტორპედოს“ გახმაურებული მატჩი 20 დეკემბერს ალმასკომის სხდომაზე განიხილება.



დავით კვირკველია

აი, რა გვითხრა გუშინ „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ:

— ჯერჯერობით საშობაო არდადეგებზე ვართ. დავისვენებთ და ნაახალწლევს შევიკრიბებით. გასარკვევიც ამის შემდეგ გაირკვევა...

...ახლა კი ალმასკომის სხდომას ველი. რასაც გვაბრალებენ, ყველაფერი აბსურდია. ჩვენ სამართლიანი თამაშით გავიმარჯვეთ. ვერ გავიგე, რატომ მოინათლა ის მატჩი საეჭვოდ...

...ფედერაციის პოლიტიკას ვერაფერი გავუგე: მოვიგეთ — რატომ მოიგეთო, წავაგეთ — რატომ წააგეთო. აბა, რა ვქნათ? მიუხედავად ამისა, ალმასკომის გადაწყვეტილებას მაინც ველით...

...გუნდიდან ჯერ არავინ გაგვიშვია, თუმც კვირკველიას თაობაზე უკვე მივიღეთ წინადადებები. მის გასხვისებას სულაც არ ვაპირებთ, მაგრამ ყველაფერი, ალბათ, მოლაპარაკებებზე იქნება დამოკიდებული. კერძოდ, დავით კვირკველიას გადაბირება თბილისის „დინამოს“ სურს. თანხაზე საუბარი ჯერ არ ყოფილა, თუმც „ჩალის ფასად“ ნამდვილად ვერ შეველევით. მასში საქართველოს პირობებში საკმაოდ დიდ თანხას მოვითხოვთ. ამ ფეხბურთელით რუსული კლუბებიც არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ჯერჯერობით რეალური არაფერია...

...ზურაბ ქვაჩახია გამოჯანმრთელდა და ვარჯიშიც დაიწყო, თუმც ჯერ ინდივიდუალურად ემზადება, არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ კი გუნდთან ერთადაც ივარჯიშებს. ის ჩვენთვის საკმაოდ დიდი ძალაა...

...კლუბის პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილს ველით. ის ფოთში ორშაბათს ჩამოვა. ახალ წლამდე გუნდის ხელმძღვანელობა შეიკრიბება და გეგმებზე ვისაუბრებთ. კრებაზე ბევრი რამ გაირკვევა, როგორც მოსამზადებელი ეტაპის, ასევე ფეხბურთელთა ტრანსფერებისაც. გადაწყდება გუნდიდან გაშვებულთა და ახალწვეულთა ვინაობაც...

...20 დეკემბერს ალმასკომის სხდომას მე და კლუბის აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა დავესწრებით.

**კახა ზალამბერიძე**

# ბელგიელი დილომში

## განათლებას შეამოწმებს

**დილმის** საწვრთნელ ბაზაზე ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით მწვრთნელთა განათლების კურსები მიმდინარეობს. თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები მალე დამთავრდება, ხოლო მსმენელებს იანვარში გამოცდები ელით. ამის შემდეგ ფედერაცია B კატეგორიის ლიცენზიებს გასცემს, რაც მის მფლობელებს ბავშვთა და მოზარდთა გუნდებში მუშაობის უფლებას მისცემს.

დილმის ბაზაზე შეკრებილებს გადატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვთ, ამავდროულად უეფადან სტუმარს და შემფასებელსაც ელიან. გუშინ საღამოს, თბილისს ეწვია ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კურატორი უეფაში, მიშელ საბლონი. ბელგიელი სტუმარი ქართველ მწვრთნელთა განათლების კურსებზე წარმოდგენას შეიქმნის, თავისი მოსაზრებებით შეეშველება მასპინძლებს და მერე უეფასაც წარუდგენს თბილისურ შთაბეჭდილებებს.

დღეს საღამოს ექვს საათზე მიშელ საბლონი ქართველი ჟურნალისტებისთვისაც მოიცლის და დილმის საწვრთნელ ბაზაზე პრესკონფერენციას გამართავს.

**დათო დანელია**

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**
**XVII ტური**

უნტერჰახინგი 0:0 კარლსრუე
ალენი 1:1 არმინია
ობერჰაუზენი 0:2 დუისბურგი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**XXI ტური**

აუე 1:1 ფირლი
ბრაუნშვაიგი 1:0 მაგდებურგი

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**XXIV ტური**

შეფილდ იუნაიტედი 1:1 ბარნსლი

**მეორე დივიზიონი**
**XXII ტური**

ბრაიტონი — რედინგი გადაიდო

### იტალია

**სერია B. XVII ტური**

პისტოიეზე 1:1 ნაპოლი

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**
**XVIII ტური**

სიტარდი 2:3 ბრედა

**მეორე დივიზიონი**
**XVIII ტური**

ოსი 1:2 ჰერაკლესი
ჰაარლემი 2:0 კამბური
ექსელსიორი 1:1 ტელსტარი
დენ ჰააგი 0:1 დორდრეხტი

### საფრანგეთი

**თასის 1/32 ფინალი**

ნანსი 3:1დ.დ. (1:1) ნიორი
მეცი 5:0 გრენობლი
მონპელიე 3:2 მარტიგი
ვალანსი 0:1 ლანსი

### თურქეთი

**XVI ტური**

ფენერბაჩე 3:1 ბურსასპორი

მწვრთნელი, უპირველეს ყოვლისა! თუმც ჩვენში ბევრს არ მოსწონს ასეთი სენტენცია, წარუმატებლობას ხან მსაჯს აბრალებენ, ხან ჟურნალისტს, ხან შემსრულებლების არყოლას...

ჩვენში და საერთოდ, ძალიან ცოტანი არიან არაორდინალური მწვრთნელები, ვისაც აქვთ უნარი, მეგობარიც იყოს და დესპოტიც, თავდაბალიც და მომთხოვნიც, მკაცრიც და სამართლიანიც, ემოციურიც და მოაზროვნეც...

გოჩა ტყებუჩავა მწვრთნელობას შარშან შეუდგა. მწვრთნელობა უმადური პროფესიაა, მწვრთნელის ხვედრი ყველგან ერთნაირია, მაგრამ საქართველოში ეს განსაკუთრებული ხელობაა — ფეხბურთელ მწვრთნელებსაც პანღურით აგდებენ...

მწვრთნელ გოჩა ტყებუჩავას მოკრძალებული, მაგრამ მყვირალა წარმატება თბილისის „დინამოსთანაა“ დაკავშირებული. ამ კლუბში ის პირველად 21 წლის წინ მივიდა...

39 წლის გოჩა ტყებუჩავა ახლა „ვიტ ჯორჯიას“ დამრიგებელია. მან ახალი გამოწვევა მიიღო — „დინამოს“ მერე კიდევ უფრო ახალგაზრდული გუნდი ჩაიბარა. ტყებუჩავას ვიტელი ბიჭები მეომრები გახდებიან, მინდორზე სისხლის მოტკბო სუნს დააყენებენ — გოჩა ტყებუჩავასთან სხვაგვარად არ გამოვა.

# სიტყვა გოჩა ტყებუჩავას ხელში

## სისხლის მოტკბო სუნი

### გულში და კარში ჩახვეული ამბები

ვისაც „დინამოს“ დიდების ხანაში სსრკ-ს დუბლიორთა ჩემპიონატის მატჩებზე სიარული არ ეზარებოდა, გოჩა ტყებუჩავას 21 წლის წინ გაიცნობდა. შედარებით არააქტიურ ქომაგთა წინაშე კი ტყებუჩავა მოსკოვური „დინამოთი“ წარდგა. მისი პირველი გოლი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მაშინდელ, ჩვენთვის ძალიან პოპულარულ გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვაში“ ვიხილეთ — მოსკოვის „დინამო“ ტაშკენტში 0:1 აგებდა „ფახთაქორთან“. ქართველი შეცვლაზე შევიდა, ნიკოლაი ლატიშის კუთხურზე დასწრებაზე ითამაშა და ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ვალერი გაზაევს საგოლე პასი გაუხერხა და „დინამომაც“ გაიმარჯვა. მას შემდეგ ქართველი რუსული „დინამოს“ ძირითადის კაცი გახდა, გაზაევისა და გურამ აჯოევის უკან გამწესებული.

გოჩა ტყებუჩავამ თბილისის „დინამოსაც“ გაუტანა გოლი, კარლო მჭედლიძეს ახლოდან ზუსტად დაურტყა. ჩვენში მაშინ ანეკდოტად დადიოდა, ტყებუჩავამ ქართულად დაუყვირა თენგიზ სულაქველიძეს, ბურთი გაატარეო და ამიტომაც დაანებეს მას გოლის გატანაო.

მაგრამ გოჩა ტყებუჩავამ მოსკოვის „დინამოსაც“ გაუტანა გოლი, ოღონდ თბილისში, როცა ჩვენ „დინამოს“ გერმან ზონინი წვრთნიდა. მაშინ გოჩამ თავისი ლონიერი ცაციით საჯარიმო დარტყმა შეასრულა უნაკლოდ, აულებელი ბურთი ააფართხალა ცხრიანში (ის მატჩი 3:1 მოვიგეთ).

„ბურთის ჩახვევა და დატრიალება, შეიძლება ითქვას, მიხაელ ფომენკომ მასწავლა. მეც მიყვარდა ეს და მის დასახვეწად ბეჯითად ვირჯებოდი“ — ამბობს გოჩა ტყებუჩავა. ამ სიმართლეს მალე „ვიტ ჯორჯიას“ მეკარეებიც გამოსცდიან ვარჯიშების დროს საკუთარ თავზე, რადგან ასე იყო ამ ცოტა ხნის წინ თბილისის „დინამოშიც“, გოჩას ცაცია მოჭრილები განსაკუთრებით ძნელად მოსაგერიელებელი გახლდათ დინამოელი მეკარეებისთვის.

### ჩამომაგურულეს

მოსკოვში ორი სეზონი დაჰყო ტყებუჩავამ და ახალდაოჯახებული იყო, შვებულების დროს თბილისში რომ ჩამოვიდა. სწორედ მაშინ გააბრუეს ის გურულებმა. „ერთ საღამოს ევგრაფი შევარდნაძის გამოგზავნილი ხალხი მესტუმრა, მანქანაში ჩამსვეს და ლანჩხუთში გამაქანეს — ევგრაფი შევარდნაძემ მითხრა, ქართველი კაცი ხარ, სამშობლოს და ქართული გუნდის სამსახურში ჩადექი, პირობებზე კი ნუ იდარდებო. მეც დავთანხმდი და ლანჩხუთის „გურიასთან“ ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, მაგრამ მაინც შევცდი, იმ გუნდში უნდა ითამაშო, რომელიც უფრო მაღალი კლასისაა და ტიტულოვანიც — გოჩა ტყებუჩავამ ჯერ სამი წელი გაატარა „გურიაში“ (1984-87), რომელთან ერთად უმაღლეს ლიგაში მეორეჯერ 1989 წელს ალზევდა, მაგრამ მაშინ საბჭოთა ფეხბურთს ხელი დავუქნიეთ და რაიონული ცენტრის გუნდსაც აღარ დასცალდა საბჭოთა ელიტაში დაბრუნება.

### ფული და ისრაელი იქით იყოს

თბილისის „დინამო“ ტყებუჩავამ ეროვნულ ჩემპიონატშიც დააჭაშნიკა (1989-91) და მერე საბურთაოდ ფინეთში გაეშურა, იქაურ „ტამპერეში“ ორი წელი გაატარა და შემდეგ ისრაელში გადაბარგდა. ებრაული უმაღლესი ლიგის „ჰაპოელ აშქელონის“ გარდა ქვედა დივიზიონის რამდენიმე გუნდშიც გამოდიოდა, ბოლოს მეორე ლიგის „მაკაბი რამატგანში“, რომელთანაც კონტრაქტი 2002 წელს ეწურებოდა, მაგრამ... „მწვრთნელობა ჩემი ოცნება იყო. არველაძეებმა თბილისის „დინამოში“ გადმოსვლა შემომთავაზეს მეორე მწვრთნელად და მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში უკეთესი პირობები მქონდა, მაინც „დინამო“ ვამჯობინე. თუმც ფეხბურთის თამაში კვლავაც შემეძლო, რეჟიმში ვიყავი, მაქსიმალურად ვცდილობდი ფორმის შენარჩუნებას, არც მასაჟებს ვიკლებდი და არც საუნას, მაგრამ დრო დადგა და მწვრთნელობა ვარჩიე“ — ასე მოვიდა „დინამოში“ შარშან გოჩა ტყებუჩავა, რომელიც მეთორმეტე ეროვნულის მეორე ეტაპიდან გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა, თბილისის „დინამო“, რომელიც 13-მა ფეხბურთელმა დატოვა, გამოუცდელი ახალგაზრდებით შეივსო და მესამე ადგილი დაიკავა წინა ჩემპიონატში.

### ერთი ყველასთვის ყველა ერთისთვის

გოჩა ტყებუჩავას ინიციატივით „დინამოში“ ახალი წესები შემოიღეს. ფეხბურთელებს დისციპლინის დარღვევისთვის აჯარიმებდნენ, „ჩემი დედასთვის“ და ბაზის შენობაში ბუცებით სიარულისთვისაც კი. დისციპლინის დარღვევისთვის ფეხბურთელებს ვარჯიშიდანაც კი აძევებდა ტყებუჩავა და მოთამაშეები ამისთვისაც იხდიდნენ ფულად ჯარიმას. ერთხელ თვით ზაზა ზირაქიშვილიც, მეთორმეტე ეროვნულის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, გააძევეს შუა ვარჯიშიდან, მაგრამ წყენა და ბოღმა ერთ დინამოელსაც არ ჩაუდია გულში.

„როცა თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი გავხდი, ჩემს თავზეც დავფიქრდი. ვიცოდი, ვარჯიშების ჩატარების მხრივ პრობლემა არ მექნებოდა, თუმც ფეხბურთელებთან მიდგომა ხომ სულ სხვა რამ არის, მაგრამ ბიჭებთან პირველივე შეხვედრისთანავე დავწყნარდი, დაძაბულობა უმალვე მომეხსნა, თანაც ნიკა ჩხეიძეც მხარში ამომიდგა და მუდმივად ვგრძნობდი მხარდაჭერას რევაზ არველაძესგანაც. შევძელი კიდეც ჩემი პოლიტიკის გატარება — სავარჯიშო და სათამაშო დისციპლინის მაღალი დონე. ბიჭებს თავიდან გაუჭირდათ, საერთო ჯამში კი კმაყოფილები დარჩნენ. ფეხბურთელი ყოველთვის ცდილობს, დიდად არ დაიტვირთოს თავი, ფიქრობს, საქართველოს ჩემპიონატში ფონს ასეც გავალო, მაგრამ ხომ შეიძლება, უცებ მისი მოსურნე უცხოური კლუბი გამოჩნდეს და ამიტომაც მეტს მოვითხოვდი ფეხბურთელებისგან. ფიზმომზადებაში ავთო ბერიძე გვეხმარებოდა და მოთამაშეებიც ჯანზე იყვნენ.

„ყოველი მატჩის ვიდეოჩანაწერს 2-3 საათი ვარჩევდით. ამა თუ იმ ფეხბურთელს მთელ გუნდთან ერთად მივუთითებდი შეცდომებზე, რათა მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეგრძნოთ. მოთამაშეებს რცხვენოდათ, მთელი გუნდის თანდასწრებით რომ დავანახებდი შეცდომებს და ყველანაირად ცდილობდნენ მის გამოსწორებას. საერთოდ, ყველაფერს გუნდთან ერთად ვწყვეტდით და ვაწესრიგებდით. მარტო, გუნდის გვერდის ავლით არაფერი ხდებოდა, მეგობრობა და ერთსულოვნება იყო, თუ მეგობრობა არ არის, არც არაფერი გამოვა. რაც შეეხება ჯარიმებს და ვარჯიშიდან გაგდებებს, ფეხბურთელები ამას სწორედ აღიქვამდნენ, თვითონაც გრძნობდნენ, რომ ეს საჭირო იყო“ — ესეც გოჩა ტყებუჩავას რიტორიკა.

### საყვარელი ოთხკუთხედი

ბრძოლა! ბრძოლა! ეს კი ტყებუჩავას საფირმო შეძახილია, როცა ის სათადარიგოთა სკამიდან უყურებს თავისი გუნდის თამაშს. მისი საყვარელი ვარჯიში კი რვაკაციანი კვადრატი გახლავთ, როცა ფეხბურთელები 4-4-ზე იყოფიან და ამავე დროს წყვილებად, რომლებიც ერთმანეთს გამუდმებით მეურვეობენ. „ასეთ დროს სულ უნდა იბრძოლო, მიეწებო მეტოქეს, იბრძოლო და არაფერი დაუთმო, ახლოს აიყვანო — ეს გოჩა ტყებუჩავას მიხაელ ფომენკოსგან და მოსკოვის „დინამოს“ დამრიგებელ ვიაჩესლავ სოლოვიოვისგან მოსდევს — ამ მწვრთნელების ხელში ბევრი ვისწავლე, აგრეთვე ფინეთშიც, სადაც ჩვენს გუნდს შოტლანდიელი გოფორდი წვრთნიდა, ისრაელშიც კარგი მწვრთნელები იყვნენ, ევროპაში მიღებული განათლებითა და სტაჟირებით. მე ყველასგან ვსწავლობდი, კონსპექტებსაც კი ვადგენდი“.

### გლაზგოს და „რეინჯერსს“, მცხეთა და „ვიტ ჯორჯია“ სჯობია

როგორ გაუშვეს „დინამოდან“ რევაზ არველაძე, გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე, ყველამ კარგად იცის. ტყებუჩავას გოჩა ჯამარაულმა უთხრა, „ციურიხში“ სტაჟირებას და თეორიულ მეცადინეობას გაგიხერხებთ, მერე იგივე შოთა არველაძემაც შესთავაზა „რეინჯერსში“, მაგრამ გოჩამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო — „ვიტ ჯორჯიას“ გაწვრთნა. „რომ არა „ვიტ ჯორჯია“ და მისი პრეზიდენტი გურამ რუხაძე, მე, როგორც მწვრთნელი, ბევრს დავავიწყდებოდი. უკვე შევხვდი „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებს, რომლებსაც პირდაპირ განვუცხადე: ჩვენი მიზანი ზეექვსეულია და არ გეგონოთ, რომ რახან ახალგაზრდები ხართ, თუ მიზანს ვერ მივაღწევთ, გეტყვით, არა უშავს-მეთქი. მინიმუმ ათი ქულა გვჭირდება ზეექვსეულში მოსახვედრად, ამას მხოლოდ ბრძოლით თუ მოვახერხებთ“ — ბრძოლის გარეშე ტყებუჩავასთან მართლა არ გამოვა...

**დავით თავართქილაძე**



გოჩა ტყებუჩავა (შუაში) და „დინამო“ წინა სეზონში ბრინჯაოს ერთად ხარობდნენ

# გურჯუ გოლჯუ ფუტბოლჯუ

## დაუმი და ბეშიქთაში დემეტრაძეს ეძახიან



გიორგი დემეტრაძე

**თურქეთის „ბეშიქთაშს“**, რომელსაც სკანდალებში გახვეული გერმანელი კრისტოფ დაუმი წვრთნის, ესპანეთის „სოსიედადის“ ქართველი თავდამსხმელის გიორგი დემეტრაძის გადაბირება მოუსურვებია.

თურქული კლუბის წარმომადგენელმა იქაურ მედიას განუცხადა: „ქართველი საკმაოდ სწრაფი და მოხერხებული ფორვარდია. მართალია, ის წლეულს ტრავმებმა გატანჯა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დემეტრაძე ჩვენს გუნდს გამოადგება. ის გურჯუ გოლჯუ ფუტბოლჯუა (ქართველი მეგოლე ფეხბურთელია).

ჯერჯერობით ვაპირებთ, რომ ქართველი სეზონის ბოლომდე ვითხოვოთ, მერე კი „სოსიედადს“ საბოლოო ტრანსფერზე დაველაპარაკებით“.

„ბეშიქთაშში“ გადასვლის წინააღმდეგი, თუ თურქებს ვერწმუნებით, არც თავად დემეტრაძეა — „საქართველოსა და რუსეთის ბომბარდირი გავხდი, საკმაოდ ბევრი გავიტანე კიევის „დინამოსთვის“, მითამაშია ჰოლანდიურ „ფეიენოორდში“, ახლა კი „სოსიედადის“ წევრი ვარ. „ბეშიქთაში“ კარგი გუნდია და თუ კარიერა თურქეთში გავაგრძელე, ვფიქრობ, იქაც ბევრს გავიტანო — უთქვამს ქართველ ფეხბურთელს.

ჩვენ კი დემეტრაძესთან დაკავშირება ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ. ის ამჟამად მადრიდშია და ჩემპიონ „რეალთან“ სათამაშოდ ემზადება.

წლეულს გიორგი დემეტრაძე პრიმერადივიზიონში იშვიათად თამაშობს, თუმც ისიც სათქმელია, რომ ის არც შარშან თამაშობდა ხშირად. ქართველი თავდამსხმელის ესპანური კარიერა ვერ აეწყო, ამის მიზეზი მისი ტრავმებიცაა. კიევის „დინამოდან“ „სოსიედადში“ ახალგადასული იყო, როცა მენისკის ოპერაცია დასჭირდა, შემდეგ მეორე ფეხი იტკინა, ბოლოს კი უცხო ვირუსი შეეყარა და დაახლოებით ერთი თვე ამის გამო გაუცდა.

ყოველივეს გათვალისწინებით, დიდია შანსი, დემეტრაძემ „ბეშიქთაშში“ ითამაშოს.

**ქოგა ინასარიძე**

საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი ქუთაისის „ტორპედო“ პირველი ეტაპის განახლებამდე, ალბათ, რამდენიმე ფეხბურთელს შეელევა და ეგებ მნიშვნელოვნადაც დასუსტდეს.

როგორც გავიგეთ, ქუთაისელთა ორი თბილისელი, მცველები ვალერი აბრამიძე და რევაზ ქემოკლიძე, „ტორპედოს“ უახლოეს მომავალში დატოვებენ და კარიერას უცხოეთში გააგრძელებენ.



ერთი, ორი... ვალერი აბრამიძე რუსულ ჯარში მიდის

# ტორპედო ბაზარზე გავიდა

## აბრამიძე მოსკოვს მეორედ ნახავს, ქემოკლიძე უცხოეთს პირველად

აბრამიძეს მოსკოვის ცსკა და მისი ახალდანიშნული მწვრთნელი ვალერი გაზაევი ეპატიჟებიან, ქემოკლიძესთან საქმე კი ფიფას დანიელ აგენტ ივან ბენეშს დაუჭერია და შოტლანდიაში, სამი ქართველის „დანდიში“ თამაში შეუთავაზებია. ფეხბურთელებს, აბა, ასეთი ვარიანტების საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონდეთ. ისინი შემოთავაზებულ წინადადებებზე თანახმანი არიან, დღესდღეობით ფორმის შესანარჩუნებლად ინდივიდუალურად ვარჯიშობენ და მათ მოსურნე კლუბებს მალევე უნდა შეუერთდნენ.

აქვე გეტყვით, რომ აბრამიძე და ქემოკლიძე თბილისის „თბილისში“ და ქვეყნის ახალგაზრდულ და ეროვნულ გუნდებში თამაშობდნენ. შემდეგ მათი გზები გაიყარა, აბრამიძე „ლოკომოტივში“ აღმოჩნდა, ქემოკლიძე — „ვიტ ჯორჯიაში“, ბოლოს კი რევაზ ძოძუაშვილმა ორივე „ტორპედოში“ წაიყვანა.

აბრამიძისთვის რუსეთში გამგზავრება უცხო არ იქნება, წლინახევრის წინ ის მოსკოვის „ტორპედოში“ ისინჯებოდა. უფრო ადრე კი ლატვიაშიც იმყოფებოდა და „სკონტოში“ ვარჯიშობდა. ქემოკლიძისთვის კი შოტლანდიური „დანდი“ პირველი უცხოური კლუბი იქნება.

ვნახოთ, რა გამოვა, თუმც ფაქტია, ორივე ფეხბურთელით სქოთები და რუსები სერიოზულად არიან დაინტერესებულნი.

ჩემპიონი „ტორპედო“ კი შვებულებაშია და 5 იანვარს შეიკრიბება. იქამდე ზოგიერთი ქუთაისელი, ალბათ, თბილისის სპორტის სასახლეში „ბენდელას თასზე“ ითამაშებს. 23 იანვრიდან „ტორპედო“ ესენგეს ჩემპიონთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, მერე კი ჩემპიონატისთვის მზადებას ქუთაისში გააგრძელებს.

**ქოგა ინასარიძე**



# კარლო ანჩელოტი კარგი ფსიქოლოგია

## მილანი კალაძის სატკივარს გრძნობს

**თითქმის** წელიწადია, კახა კალაძე იტალიის „მილანის“ ფეხბურთელია და წინა კვირამდე მას სერია A-ს მატჩი არ გამოუტოვებია. ის სტაბილურად თამაშობდა „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში. სათადარიგოდ ქართველი მცველი „მილანის“ მწვრთნელებს აქამდე სულ ორჯერ გაუმწესებიათ, მაგრამ მეორე ტაიმში მაინც უთამაშებიათ, თანაც როცა გასჭირვებიათ და კახას მცირე ტრავმაც აწუხებდა.

კვირას კი, „მილან“ — „იუვენტუსის“ მატჩისას, რომელიც ფრედ დასრულდა, კალაძემ მთელი 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა და გუშინწინ დილით ისიც შევიტყვეთ, აქაოდა, მწვრთნელი ქართველს არც „ლაციოსთან“ სათასო მატჩში ჰპირდება ადგილსო. ეს შეხვედრა ავდრის გამო, მოგეხსენებათ, იანვრისთვის გადაიდო, ჩვენ კი კახას გუშინ დავუკავშირდით და უთამაშებლობის მიზეზზე ვკითხეთ.

— სერიოზული არაფერია, არც ტრავმა მაწუხებს და მწვრთნელთანაც ძველებური, ნორმალური ურთიერთობა მაქვს. ეგაა, გადაღლილი ვარ, ფსიქოლოგიურად მიჭირს, ხომ იცით ჩემი ოჯახური პრობლემები. ანჩელოტი ამას კარგად ამჩნევს და „იუვენტუსთან“ ამიტომაც არ მათამაშა. „ლაციოსთან“ სათასო მატჩისთვის კი მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში დამასახელა, თუმც მილანში დიდი თოვლი მოვიდა და თამაში გადაიდო. „სპორტინგთან“ უეფას თასის საპასუხო შეხვედრის დროსაც ვერ ვგრძნობდი თავს მთლად კარგად. ისე კი, ანჩელოტი, როგორც მეუბნება, ჩემი მომზადების დონით უკმაყოფილო არ არის. სტრესიდან, ალბათ, მალე გამოვალ და ვიმედოვნებ, კვირას „რომას“ წინააღმდეგ ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, ვატყობ, ანჩელოტი ძირითადი შემადგენლობისთვის მამზადებს.

**ქოგა ინასარიძე**





ქართულის ფეხბურთის ვარსკვლავთმრიცხველმა
რევაზ შენგელიამ მეათედ გამოსცა
**ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი.**
12 ეროვნული ჩემპიონატის სრული სტატისტიკა,
უმაღლესი პირველი და რეგიონული ლიგის კლუბთა
შარშანდელი შედეგები და წლევანდელი
**მონაწილეთა განაცხადები**
გუნდური ფოტოებით და პორტრეტებითურთ.
2000-01 წლების ჩემპიონატის შედეგები და
თასის გათამაშების ყველა მატჩი,
**საქართველოს ნაკრების შეხვედრები,**
ევროპის საკლუბო ტურნირები და მსოფლიოს
ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩები.
ეს ყველაფერი ქართული ფეხბურთის შესახებ
**5 ლარად**




რევაზ ქემოკლიძე (№6), სავარაუდოდ, თემურ ქეცბაიას თანაგუნდელი გახდება




ჟერარ ულიე

# ხალხი: ოუენი, ლივერპული, ულიე

**„უორლდ სოკერ მეგეზინი“** 1982 წლიდან ატარებს სეზონის საუკეთესო გუნდის, ფეხბურთელისა და მწვრთნელის გამოსავლენ რეფერენდუმს. გამოკითხვაში გულშემატკივრები მონაწილეობენ.

19 წელიწადი გავიდა და ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა, ხოლო მომავალში თუ მოხდა, ოდენ შედეგის გამეორება იქნება, „ლივერპული“ კი დარჩება პირველ გუნდად, რომელმაც სამივე ნომინაციაში იმარჯვა.

წლის საუკეთესო გუნდის შერჩევაში ქომაგთა ხმები თითქმის თანაბრად განაწილდა „ლივერპულსა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის. სახწორის ინგლისურ პინაზე ხუთი ტიტული იდო — უეფას თასი, ინგლისის ასოციაციისა და ლიგის თასები, ასევე ინგლისისა და ევროპის სუპერთასები, ხოლო გერმანულზე სამი — გერმანიის ჩემპიონობა, ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასები.

რაოდენობამ ხარისხს გადაძალა და „ლივერპულმა“ მცირე უპირატესობით მოიგო წლის საუკეთესო გუნდის ნომინაცია. მესამეადგილოსანი არგენტინის ნაკრებია, თუმცა კარგა გვარიანად ჩამორჩა პირველ ორს.

წლის მოთამაშედ ქომაგმა მაიკლ ოუენი მიიჩნია. ლივერპულელმა შორს ჩამოიტოვა დევიდ ბექემი. არადა, შიდაბრიტანულ რეფერენდუმებში მანჩესტერელმა ორჯერ აჯობა ოუენს. „უორლდ სოკერის“ მკითხველმა ისიც გადაწყვიტა, მესამე რაულიაო.

წლის მწვრთნელობაზე ბიულეტენშიც უფრო მეტმა ჟერარ ულიე მოხაზა, ვიდრე ოტმარ ჰიცფელდი და ფრანგმაც აჯობა გერმანელს. ის კი არა, ჩემპიონთა ლიგის მომგებ მწვრთნელს ლამის ინგლისის ნაკრების თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმაც გადაასწრო.

**ნიკა ზუბლაძე**

**წლის მოთამაშე**

1. მაიკლ ოუენი (ლივერპული) ---------- 30,72
2. დევიდ ბექემი (მანჩესტერ იუნაიტედი) ---------- 16,46
3. რაული (რეალი) ---------- 11,89

**წლის მწვრთნელი**

1. ჟერარ ულიე (ლივერპული) ---------- 28,35
2. ოტმარ ჰიცფელდი (ბაიერნი) ---------- 20,26
3. სვენ გორან ერიკსონი (ინგლისის ნაკრები) ---------- 18,53

**წლის გუნდი**

1. ლივერპული ---------- 26,35
2. ბაიერნი ---------- 25,56
3. არგენტინის ნაკრები ---------- 14,92

# დღეს მაიკლის დღეობაა, გამოაცხოს გოლი

**გუშინ** მას 22 წელი შეუსრულდა. 11 წლისა სკოლის გუნდშიც ბურთს აგორებდა და სეზონში 79 გოლიც გაუტანია. ის სკოლაში იყო, ახლა კი პრემიერლიგაში თამაშობს. კი არ თამაშობს, დაფრინავს. თავის 99-ე პრემიერლიგული გოლი ზუსტად ერთი კვირის წინ „მიდლსბროსთან“ მატჩში შეაგდო. 180 მატჩი ოთხწელიწადნახევარში და 99 გოლი. პირველი პრემიერლიგური კი 18 წლის ყმაწვილმა „უიმბლდონს“ გაუტანა. ვინ იტყოდა მაშინ, რომ ის ინგლისის იმედი გახდებოდა? ალბათ, თითო-ოროლა კაცი, დღეს კი ყველა იცნობს და ეთაყვანება. მას მაიკლ ოუენი ჰქვია.




მაიკლ ოუენი

სანაკრებო დონეზე ჯერ კიდევ მაშინ დაიქუხა, როცა 1998 წელს საფრანგეთში არგენტინის ნაკრების ორი მცველი და მეკარე მათ კარში გატანილი ულამაზესი გოლის მოწმეები გახადა. იმ ეპიზოდში მისი მოძრაობა მინდორზე გენიალური მხატვრის მიერ ტილოზე ფუნჯის მოსმას უფრო ჰგავდა. თუმცა ის, რაც ამ შემოდგომაზე ოუენმა გერმანიას და რუდი ფიოლერს დამართა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო ინგლისელთათვის. ლივერპულელმა ბიჭუნამ მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გააკეთა ის, რაც ჯეფრი ჰერსტის შემდეგ ნაკრებში ვერავის მოეხერხებინა. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჰერსტმა ჰეთ-თრიქი შეასრულა გერმანიასთან. მაშინ ინგლისელებმა ჩემპიონობა იზეიმეს, მაგრამ ის ინგლისში იყო. აი, სტუმრად გერმანელთა 5:1 დამცირება და მათ შორის სამი ოუენური გოლით, ეს უკვე ამ ბიჭის გმირად აღიარების ტოლფასია.

„ლივერპულის“ მწვრთნელი ფილ ტომპსონი ამბობს, რომ მაიკლ ოუენს ნებისმიერი პოზიციიდან შეუძლია მეტოქის კარის დალაშქვრა. ნაკრების შემადგენლობაში 14-ჯერ გაიტანა და თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, ყველანაირი შანსი აქვს, თავად ბობი ჩარლტონსაც კი აჯობოს, რომლის ანგარიშზეც 49 სანაკრებო გოლია. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ტრავმის გამო ლივერპულელმა ბიჭმა 1999 წლის ნახევარზე მეტი გამოტოვა. ოუენს მხოლოდ ამ ტრავმისა ეშინია, რომელმაც ოდნავ შეახსენა კიდეც თავი წლეულს, თუმც ყველაფერი კარგად დასრულდა.

აბა, გავიხსენოთ რამდენი თასი მოიგეს ლივერპულელებმა წინა სეზონში? უეფას თასი, ევროპის სუპერთასი, ინგლისის ლიგის, ასოციაციის და სუპერთასები. მიმდინარე სეზონში კი ყველაზე მთავარი და სანუკვარი მიზანი, ალბათ, მაინც პრემიერლიგის მოგება იქნება. კორეა-იაპონიაშიც ინგლისის ნაკრები საკმაოდ სერიოზული მიზნებით მიემგზავრება. კი მაგრამ, ვის იმედზე არიან „ლივერპულისა“ და ინგლისის ნაკრების ქომაგნი? პასუხი მარტივია და ერთმნიშვნელოვანი — მაიკლ ოუენის.

ბედნიერებაა, როცა მილიონობით ადამიანს უყვარხარ იმის გამო, რომ მათ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებ. ბედნიერებაა, როცა უამრავი გულშემატკივარი დაბადების დღეს გილოცავს. ღმერთმა გულუხვად დააჯილდოვა მაიკლ ოუენი ნიჭით და, ალბათ, ყურშიც ჩასჩურჩულა: „მაიკლ, შენ უნდა გაიტანო, რათა გაახარო“. ოუენს სწამს ღმერთის, ის უბრალოდ კარგი ბიჭია.

**გაგა ხუციშვილი**



დასჯილი ჯონათან ვუდგეიტი

# ბოიერი შეანჯღა, ვუდგეიტს შრომა გამოასწორებს

**საშველი** დაადგა გაჭიმულ სასამართლო პროცესს, რომელიც თვეების მანძილზე მიმდინარეობდა ჰალის სამეფო სასამართლოში: „ლიდსის“ საჩინო ფეხბურთელებს პაკისტანელი სტუდენტის, საფრაზ ნაიჯების უწყალო ცემა ბრალდებოდათ. ადვოკატებმა დიდებულად იმუშავეს, შედეგად ბოიერი სავსებით უდანაშაულოდ მიიჩნიეს, ხოლო ვუდგეიტს მცირე სასჯელი, 100 საათით გამოსასწორებელი სამუშაოები დაუნიშნეს საზოგადოების სასარგებლოდ. აზიელის ცემა კი ვუდგეიტის ძმაკაცს, პოლ კლიფორდს დაბრალდა და ის 6 წელი ციხეში იყურყუტებს.

ბოიერმა ავტომატურად მიიღო ინგლისის ნაკრებში თამაშის უფლება, თუ მწვრთნელი ამას ისურვებს, ხოლო ვუდგეიტის შესახებ ინგლისური ფეხბურთის მამები ჯერ კიდევ იმსჯელებენ.



მართალი ლი ბოიერი

# კვიცი ფერგიუსონზე ხტის

**ალექს ფერგიუსონის** „წითელმა ეშმაკუნებმა“ შუა კვირაში „დერბი ქაუნთის“ კი გადაუარეს, მაგრამ ამ პრემიერლიგაში ხეირიანი მეტი არაფერი უქნიათ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, სერ ალექსს იმედად თავისი კვიცი, „გიბრალტარის ქვა“ შერჩა.

„გიბრალტარის ქვა“ ვერონსა და ბექემზე ნაკლებ გრაციოზულად როდი მოძრაობს, მისი შენახვაც უფრო იაფი ჯდება და თან, ამ ბოლო დროს საქმისადმი მიდგომითაც სჯობს ჩემს ფეხბურთელებს — ეს ღირსსახსოვარი სიტყვები, ალბათ, მიხვდით, სერ ალექსს ეკუთვნის, რომლიც მან იორკის იპოდრომზე, სწორედ „გიბრალტარის ქვის“ გამარჯვებისადმი მიძღვნილ სადილზე წარმოთქვა.

რა ქნას კაცმა, გუნდი არ უმართლებს, მისმა კვიცმა კი ორი წლის ბრიტანულ ულაყებში საუკეთესოს სახელი დაიგდო და გაისად ნიუმარკეტის სახელგანთქმულ დოლშიც ყველაზე დიდ ფსონს სწორედ მასზე ჩადიან.

ფერგი „მანჩესტერის“ ფეხბურთელებს არაერთსულოვნებას საყვედურობს და ამბობს, მხოლოდ გუნდური მუშაობითა და საქმისადმი უფრო სერიოზული მიდგომით შეიძლება წარმატების მიღწევაო: „მართალია, ჩემი გუნდი სწორედ ამ კომპონენტში, გუნდურ თამაშში მოიკოჭლებს, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, ბრიტანული საცხენოსნო სპორტის წარმატებაც მხოლოდ ერთსულოვნებითაა შესაძლებელი“ — თქვა ცხენების მოყვარულმა შოტლანდიელმა და ჰგებ, გულშიც გაივლო, რომ შემეძლოს „გიბრალტარის ქვას“ მოვარგებდი „მანჩესტერის“ ალისფერ მაისურასო...

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე“ მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59



ვიტორიო ჩეკი გორი



რობერტო მანჩინი

# წაეთრიე!

## უკიჟინებენ პრეზიდენტს

**ალბათ,** არც ერთი მწვრთნელი რობერტო მანჩინის ადგილზე ყოფნას არ ისურვებდა.

კი უნდა მანჩინის რიგიანი გუნდი და კარგი შედეგების მიღწევა, მაგრამ ყველაფერს რომ ფული სჭირდება, ესეც მშვენივრად იცის. ამიტომაც მოუვიდა კამათი კლუბის აღმასრულებელ დირექტორ ლუჩანო ლუნასთან. კარგ გუნდს მაღალი კლასის ფეხბურთელები სჭირდებაო, უპასუხა რობერტომ ლუნას, როცა მისგან საყვედური მიიღო, შენი გაწვრთნილი გუნდი საზიზღრად თამაშობსო. „ფიორენტინას" მწვრთნელს სინიშა მიხაილოვიჩის, დეიან სტანკოვიჩისა და სიმონე ინძაგის დარი ბიჭების ხილვა სდომებია გუნდში.

სურვილი ერთია, მაგრამ დღევანდელი „ფიორენტინა" ვისი და რისი მყიდველია, როცა თვითონ იყიდება. დალონებული მანჩინი ვიტორიო ჩეკი გორისთან მისულა და დაუჩივლია, ლუნა მჩაგრავსო. დიახ, სწორედ კლუბის პრეზიდენტთან, რომელიც ფლორენციული კლუბის ბიუჯეტის გაფლანგვაშია მხილებული. გამოდის, რომ მგლისფერი ძაღლისგან განაწყენებულმა მწვრთნელმა პირდაპირ მგელს მიაკითხა.

ვიტორიო ჩეკი გორის კი, როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოში სიარული მოუწევს, მას ხომ ფინანსურ მაქინაციებში ედება ბრალი. თუმცა სანამ ჩეკი გორი სასამართლოში მივა, აქეთ მიაკითხეს...

არა იმიტომ, რომ უშუქობა აწუხებთ, არც უწყლობაა მიზეზი — „ფიორენტინას" გულშემატკივრებს კლუბის პრეზიდენტის ვიტორიო ჩეკი გორის მოშორება სწადიათ. ამის გამო მათ ფლორენციის მთავარ მოედანზე მოიყარეს თავი და პრეზიდენტის რეზიდენციისკენ გასწიეს.

აქციის დაწყების დრო დანიშნული კი იყო, მაგრამ ვინ დაგიდევდათ, არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებაო და დაგეგმილ დრომდე კარგა ხნით ადრე ზღვა გულშემატკივარი მიაწყდა ჩეკი გორის ოფისს. „ჩეკი გორი, წაეთრიე"! — მოკლედ და გასაგებად ეწერა პლაკატებზე. მაგრამ რად გინდა, მრავალტანჯული კლუბის პრეზიდენტმა მომხდურთ განუცხადა, არსად წასვლას, მით უმეტეს, წათრევას არ ვაპირებო:

„ფიორენტინას" პოტენციური მყიდველები წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ და ამიტომაც ჩემი საყვარელი გუნდის გაყიდვა გადავიფიქრე. მინდა გამცნოთ, რომ გამოჩნდა ახალი საქმიანი პარტნიორი, რომელიც „ფიორენტინას" ფეხზე წამოდგომაში დაეხმარება. მე ადრეც ვთქვი ამის შესახებ, მაგრამ ვიმეორებ, განზრახული მაქვს, კლუბი კვლავ ავაღორძინო. ამ ეტაპზე მთავარი „ფიორენტინას" გადარჩენაა. ახლა მხოლოდ ამაზე ვფიქრობ" — ბრძანა ვიტორიო ჩეკი გორიმ.

ამას ჩვენ ვერაფერს შევაგნებინებთო, იფიქრეს აქციის მონაწილეებმა და ისევ ქალაქის მთავარ მოედანზე დაბრუნდნენ, მერე, ცხადია, ნელ-ნელა დაიშალნენ.

**გაგა ხუციშვილი**

# ტონი შეარჩიე, დიდიე!



მარკო სიმონე და დიდიე დეშანი



**დიდი დრო** არ გასულა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა დიდიე დეშანმა მოთამაშის კარიერა დაასრულა. ალბათ, უკვე დროც იყო. დეშანის საფეხბურთო კარიერის მიწურულს შეიძლება წარუმატებელიც კი ვუწოდო — „ვალენსიას" სათადარიგოთა სკამზე გატარებულ სეზონს ვგულისხმობთ, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს საყვარელი საქმიანობისთვის თავი დაენებებინა.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სახელოვანმა ფეხბურთელმა სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი. თუმცა მწვრთნელობაცაა და მწვრთნელობაც — დიდიე დეშანმა პირველივე ცდაზე ამბიციური „მონაკო" ჩაიბარა. ეტყობა, დეშანს ხისტი ხასიათი აქვს, ამას, გამოუცდელობაც დაემატა და შედეგმაც არ დააყოვნა.

„მონაკოში" დიდიე დეშანის მისვლის შემდეგ საქმე მთლად კარგად ვერაა. კრისტიან პანუჩიმ გუნდი დატოვა და „რომას" მიაშურა, წასვლით მარსელო გალიარდოც იმუქრება, მარკო სიმონე კი არენდით „მილანშია" გაშვებული. ამ უკანასკნელმა, რომელიც ჭირვეულობით გამოირჩევა, დეშანის კრიტიკისთვის ძალ-ღონე არ დაიშურა. ძან თავისი დამოკიდებულება დეშანისადმი „ფრანს ფუტბოლის" ჟურნალისტებს გაანდო.

„დეშანის საქმისადმი მიდგომამ „მონაკო" კატასტროფამდე მიიყვანა. მას გუნდის გასაძღოლად საკმაო ცოდნა არა აქვს, ხშირად ისე იქცევა, როგორც ფეხბურთელი და არა მწვრთნელი".

სიმონე დღეს „მილანშია" და სათადარიგოთა სკამზე ზის. „მონაკოსთან" კი კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. სეზონის ბოლოს იჯარის ვადაც უმთავრდება და, ალბათ, ისევ დეშანის ხელში აღმოჩნდება. მაგრამ ეს ორი კაცი რომ ვერ შეთანხმდება, ხომ ცხადია? ასე რომ, ფეხბურთელი ერთობ წინდაუხედავად იქცევა.

მარკო სიმონე დიდიე დეშანის გადადგომასაც კი ითხოვს: „დეშანი უნდა წავიდეს. მას თავი საკმაოდ ჭკვიანი ჰგონია და მსოფლიოს ჩემპიონთა კაპიტნის გადმოსახედიდან გველაპარაკება. მე „მონაკოში" დაბრუნებას ვაპირებ. თუმცა თუ ასე გაგრძელდა და დეშანი არ წავიდა, ალბათ, სხვა გუნდს მოვძებნი".

ამის შემდეგ ცხადია, ვერც დეშანი გაჩუმდებოდა და სიმონესი არ იყოს, მანაც ცოტა გადაამეტა. ჟურნალისტებთან საუბრისას მწვრთნელმა თქვა: „ფეხბურთელს ადრინდელ კლუბ, პსჟ-შიც ჰქონდა პრობლემები, „მონაკოში" ჩემს წინამორბედ კლოდ პუელთანაც ვერ გახლდათ შეხმატკბილებული, ახლა კი თურმე მე ვუშლი".

კაცმა რომ თქვას, მარკო სიმონეს გალანძღულთა ნუსხა იმხელაა, სიმართლის სასწორს დეშანისკენ ხრის, თუმცა ამ ლოგიკით არც მწვრთნელია ფრთიანი ანგელოზი. აკი, კრისტიან პანუჩი და ჩემოდანზე მჯდომი მარსელო გალიარდოც სწორედ რომ ახალი მწვრთნელის უხასიათობას და უჟიათობას უკავშირებენ „მონაკოსგან" გამიჯვნას.

დიდიე დეშანი კი ირწმუნება, გუნდში ყველაფერი რიგზეა, ერთი-ორი ფეხბურთელის თავნებობა დიდი არაფერიაო. ჟურნალისტებთან საუბრის ბოლოს კი მანამდე თავშეკავებულს, ეტყობა, პატივმოყვარეობის ჭია შეუძვრა, და თავისი ინტერვიუ ირონიულად გაასრულა: „მილანში" სიმონე მოედანზე ძალიან იშვიათად ჩნდება. მის ამბიციას კი ეს ვერაფრით დააკმაყოფილებს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მილანური მოღვაწეობის შემდეგ მარკო სიმონესთვის „მონაკოს" მწვრთნელის ანაც სპორტული დირექტორის თანამდებობა ხომ არ შეგვეთავაზებინა?"

**გიორგი გაგარდაშვილი**



# გოლზედიანი შევჩენკო

## სწორია: რონალდო
## შეცდომაა: რომარიო

*გოლიც არის და გოლიც, მაგრამ როგორიც ანდრეი შევჩენკომ წინა კვირას სერია A-ს „მილანი" — „იუვენტუსის" მატჩში გაიტანა, მთელი საფეხბურთო ევროპა აღაფრთოვანა. შეხვედრის 23-ე წუთზე უკრაინელმა გზად ოთხი ტურინელი მცველი მოიტოვა და საჯარიმოს კუთხიდან ისეთი მოიქნია, კომენტატორებს კინაღამ ხმა ჩაუწყდათ.*

*ეს ინტერვიუ შევჩენკოს „კორიერე დელა სერას" ჟურნალისტმა ჩამოართვა*

— მატჩის შემდეგ ათჯერ მაინც ვნახე ჩემი გოლი. ასეთი ბურთი არასდროს გამიტანია. ვფიქრობ, შემთხვევით გამომივიდა.

**— ესე იგი, ეს მაინც ბედის საჩუქარია...**

— მე ერთის თქმა შემიძლია, ასეთი ლამაზი გოლი ჩემი კარიერის მანძილზე არ გამიტანია.

**— მაგრამ თქვენ ხომ სხვა საუცხოო ბურთებიც შეგიგდიათ...**

— რა თქმა უნდა. მაგალითად, შარშან უდინეში. 2000 წლის თებერვალში „ბარისთან" მატჩში მოედნის ცენტრიდან დაწყებული დრიბლინგი გოლით დავასრულე, მაგრამ „იუვეს" კარში გატანილი უფრო მომეწონა.

**— ყველაზე უფრო ვინ შეგიქოთ ეს გოლი, რომელი კომპლიმენტი მოგეწონათ?**

— 11 დეკემბერს მამაჩემს, ნიკოლაის 55 წელი შეუსრულდა და მან მითხრა, დიდებული საჩუქარი გამიკეთე დაბადების დღეზეო. ეს გოლი აგრეთვე მინდა მივუძღვნა პიპო ინძაგის, რომელიც დიდხანს ემზადებოდა „იუვენტუსთან" სათამაშოდ, მაგრამ სამწუხაროდ, ტრავმამ შეუშალა ხელი.

**— მარჩელო ლიპიმ თქვენს შედევრს „დარტყმა-ჩაწოდება" უწოდა...**

— ალბათ, ის მართალია, რადგან ასეთ ბურთს ვერ გაიტან, თუ ბედი არ გწყალობს.

**— ეს გოლი თქვენთვის ამ სეზონში მეათეა. გოლი გოლად, მაგრამ ინძაგის ტრავმის შემდეგ „მილანის" თავდასხმას უჭირს...**

— ნაწილობრივ გეთანხმებით. ჩვენ ახლა საუკეთესო ფორმაში არ ვართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მატჩიდან მატჩამდე უნდა მოვუმატოთ, თუ გვინდა, რომ წლეულს რომელიმე ტურნირი მოვიგოთ. კოლექტიური თამაშის მომხრე ვარ, მინდორზე გასულ ყველა ფეხბურთელს შეუძლია, გოლის გატანა.

**— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, კიდევ ერთ ფორვარდს ხომ არ შეიძენდით?**

— ჩემი აზრით, ხავი მორენო და მარკო სიმონე შესანიშნავი თავდამსხმელები არიან, დაუმატეთ ხოსე მარიც, რომელიც სულ მალე შემოგვიერთდება. რაც შეეხება თქვენს კითხვას, არენდით ავიყვანდი.

**— ამბობენ, „მილანში" რომარიო გადმოდისო...**

— ბავშვობაში რომარიო ჩემი კერპი იყო, მაგრამ მისი მოწვევა სწორი არ მგონია, უფრო ახალგაზრდა ფორვარდს ვამჯობინებდი.

**— მიუხედავად იმისა, რომ ინძაგი და სერჟინიო გამოგაკლდათ, სკუდეტოსთვის მაინც იბრძოლებთ?**

— რა თქმა უნდა. თუმც მათი დახმარებით უფრო გაგვიადვილდებოდა მეტოქეთა დამარცხება.

**— როგორ ფიქრობთ, „ინტერი" ფავორიტია?**

— არა, მიუხედავად იმისა, რომ ის პირველ ადგილზეა. რონალდოს დაბრუნებამ გამახარა, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. მეორე წრიდან კონკურენცია უფრო და უფრო გაიზრდება.


სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა

- კვალიფიციური კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33

# იტალია

პაპუნა კედია



ექტორ რაულ კუპერი

# ორი X-ის საიდუმლო

| XV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ინტერი | - | კიევო |
| ხვალ | | |
| ატალანტა | - | პარმა |
| ბოლონია | - | პერუჯა |
| ფიორენტინა | - | ბრეშა |
| იუვენტუსი | - | პიაჩენცა |
| ლეჩე | - | ტორინო |
| რომა | - | მილანი |
| ვენეცია | - | უდინეზე |
| ვერონა | - | ლაციო |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 13 | 8 | 4 | 1 | 24:12 | 28 |
| კიევო | 13 | 8 | 2 | 3 | 26:15 | 26 |
| რომა | 13 | 7 | 5 | 1 | 20:9 | 26 |
| ლაციო | 13 | 6 | 5 | 2 | 18:7 | 23 |
| მილანი | 13 | 6 | 5 | 2 | 22:15 | 23 |
| იუვენტუსი | 13 | 5 | 6 | 2 | 20:12 | 21 |
| ბოლონია | 13 | 6 | 2 | 5 | 9:11 | 20 |
| ვერონა | 13 | 5 | 4 | 4 | 18:18 | 19 |
| უდინეზე | 13 | 5 | 3 | 5 | 22:22 | 18 |
| ბრეშა | 13 | 4 | 5 | 4 | 19:23 | 17 |
| ატალანტა | 13 | 5 | 2 | 6 | 16:23 | 17 |
| პიაჩენცა | 13 | 4 | 3 | 6 | 18:17 | 15 |
| ტორინო | 13 | 3 | 4 | 6 | 15:19 | 13 |
| პერუჯა | 13 | 3 | 4 | 6 | 11:16 | 13 |
| ლეჩე | 13 | 3 | 4 | 6 | 14:20 | 13 |
| პარმა | 13 | 2 | 5 | 6 | 14:19 | 11 |
| ფიორენტინა | 13 | 3 | 1 | 9 | 15:29 | 10 |
| ვენეცია | 13 | 0 | 4 | 9 | 6:20 | 4 |

**დღეს** „სან სიროზე“ „ინტერს“ „კიევო“ ჩააკითხავს. იქ გაირკვევა, ვინ იქნება სერია A-ს ცხრილის სათავეში მომავალი კვირის განმავლობაში. ახლა ლიდერი „ინტერია“, ორი კვირის წინ „კიევო“ იყო.

ხოლო „კიევო“ რომ არ იყოს, იტალიელ ჟურნალისტებს რა ეშველებოდათ? ალბათ, მოუწევდათ გაცვეთილი სიტყვების და ფრაზების წერა: დერბი, შავ-წითლები, ბებერი ქალბატონი... ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც უკვე ზეპირად ვიცით და გულს აღარ ხვდება. ახლა კი, როდესაც სერია A-ში „კიევოა“, მათ ხელ-ფეხი გაეხსნათ, „რომეო და ჯულიეტაო“, „მფრინავი ვირებიო“, „კონკიაო“ და აი, ბოლოს: „დავითი და გოლიათიო“. ესე იგი, გოლიათი „ინტერია“, ხოლო დავითი „კიევო“. ისე, თუ „კიევო“ დავითია, მაშინ გაგრძელებაც დავითისა უნდა ჰქონდეს — იმეფოს და იმეფოს, მაგრამ მოდით, ნუ ვიჩქარებთ, დიდ მეფობამდე ჯერ გოლიათი დაამარცხოს.

ორი კვირის წინანდელი ამბავი ვახსენეთ. მაშინ ის იყო, რომ „კიევომ“ იმავე „სან სიროზე“ „მილანთან“ წააგო, სხვათა შორის, ერთობ საეჭვო პენალტის გამო და სწორედ იმ დღეს გადაასწრო „ინტერმა“. მაგრამ, თუ ორი კვირის წინანდელი ვთქვით, ექვსი კვირის წინანდელმა რაღა დააშავა — ექვსი კვირის წინ „ინტერი“ იყო წინ და ჩამორჩა, „კიევომ“ გადაასწრო. ერთი სიტყვით, ერთმანეთის გადამსწრებ-გადმომსწრები დღეს პირისპირ შეიყრებიან და უშუალოდ გაარკვევენ ვინ უფრო ლონიერი ბიჭია.

და წარმოგიდგენიათ, „კიევოს“ პრეზიდენტის, ლუკა კამპედელის განცდები? ის ბავშვობიდან „ინტერის“ ქომაგია, თავგამოდებული ქომაგი...

აქ მცირე განმარტებაა საჭირო. მოგეხსენებათ, ყველა ქვეყანას თავისი უცნაურობა ახასიათებს. იტალიელთა უცნაურობად შეგვიძლია ის ჩავთვალოთ, რომ მათ ქვეყანაში იმისთვის, რომ მაგალითად, „რომას“ უქომაგო, სულაც არ არის აუცილებელი რომაელი იყო და პირიქით, რომაელი თუ ხარ, სულ არ არის სავალდებულო მაინცდამაინც შენი ქალაქის გუნდი გიყვარდეს. იტალიაში ნახავთ უამრავ მილანელს, რომელიც „იუვენტუსს“ უჭერს მხარს, ფლორენციელს, რომელიც „ინტერის“ ტიფოზია... და, ცხადია, ეს გაცილებით მკაფიოდ პატარა ქალაქებში ჩანს. ვთქვათ, მილანელისთვის მაინც უფრო ლოგიკური „მილანის“ ან „ინტერის“ მხარდაჭერაა (რაღა შორს ეძებოს საყვარელი გუნდი), აი, ვერონელისთვის ან ტრიესტელისთვის კი საქმე ცოტა სხვაგვარადაა. ხოლო სინიორ კამპედელი (სხვათა შორის, საკმაოდ ახალგაზრდა კაცი) სწორედ ასეთთა რიგებს განეკუთვნება. თან, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მისი „კიევო“ სერია A-ში ავიდოდა და ამიტომაც თავის აუტკივებლად იჯდა და ქომაგობდა „ინტერს“.

ქომაგობდა და აი, ბატონო: „ინტერი“ — „კიევო“, ვინც გაიმარჯვებს ჩემპიონატის ლიდერია და სინიორ კამპედელი ამბობს, რომ სამწუხაროდ, დღეს იმ გუნდის წინააღმდეგ უნდა დადგეს, რომელიც მისი ბავშვობის სიხარულთან არის დაკავშირებული. მისმა „კიევომ“ თუ გაიმარჯვა, ერთი, რომ ლიდერობას დაიბრუნებს, მეორე ის, რომ ისტორიაში ყველაზე დიდ გამარჯვებას მოიპოვებს, და მესამე ის, რომ „ინტერის“ შემდეგ „ლაციოსა“ და „რომასთან“ აქვს სათამაშო და ამ თამაშების წინ ქულებითაც მომაგრდება, ფსიქოლოგიურადაც და... აქ, მკითხველს ერთ შეკითხვას შევბედავთ: თქვენ რომ „კიევოს“ მწვრთნელი იყოთ და „ინტერთან“, „ლაციოსთან“ და „რომასთან“ შეხვედრები გელოდეთ, რამდენ ქულას დაგეგმავდით? ამ სამ მატჩში რამდენი ქულის აღებას ჩათვლიდით კარგ შედეგად?

მაშ ასე: „ინტერი“ — კიევო“. „ინტერი“ ლიდერია, შინ თამაშობს, ყველა თვალსაზრისით ფავორიტია, მოედანზე რონალდო-ვიერის საოცნებო დუეტი ჰყავს, რონალდომ ორწლიანი შესვენების შემდეგ გოლის გემო გაიხსენა... ოღონდ, ეგ არის, რამდენიმე დღის წინ ვიცე-პრეზიდენტი, ჯუზეპე პრისკო გარდაეცვალა. პრისკო 80 წლისა გახლდათ და, იყო ერთ-ერთი უკანასკნელთაგანი, ვინც 60-იანი წლების მსოფლიოს უძლიერესი კლუბის, „ილ გრანდე ინტერის“ ანუ „დიადი ინტერის“ გულსა და სულში ტრიალებდა.

60-იანი წლების „ილ გრანდე ინტერი“? დღევანდელ და იმ გუნდს შორის ფორმალურად მართლაც ბევრია საერთო. თუნდაც არგენტინელი მწვრთნელი. მაშინ იყო ელენიო ერერა, დღეს ექტორ კუპერია. კუპერი შეუვალი დაცვის და სწრაფი კონტრშეტევების დიდოსტატია, ერერა კი ამ სისტემის მამამთავარი გახლდათ. სისტემას მაშინ „კატენაჩო“ შეარქვეს და ნიშნების მოყვარულთათვის ერთსაც ვიტყვით: როგორც მაშინდელი, ასევე დღევანდელი არგენტინელი მწვრთნელის სახელი ასო H-ზე იწყება, ოღონდ ეგაა, ესპანურში, სიტყვის თავში ეგ „ჰ“ არ იკითხება. თუმცა, ჩვენთვის, რეალისტებისთვის ეგ H არაფერს ნიშნავს, მკითხავებს კი შეუძლიათ დაფიქრდნენ და ხილვის შემთხვევაში ტოტალიზატორებს მიაკითხონ.

ძალიან კი გაგვიგრძელდა სიტყვა. სხვა წყვილებზე არაფერი გვითქვამს, არადა, რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომა“ — „მილანია“.

„რომა“, მოგეხსენებათ, „კიევოსთან“ ტოლადაა, ასე, რომ თავისი შედეგიც ძალიან აინტერესებს და იმ თამაშისაც, ამდენი რომ ვილაპარაკეთ. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ „ინტერი“ და „კიევო“ კარგია, ოღონდ ორშაბათს რომ გაიღვიძებთ, ლიდერად წინა სეზონის ჩემპიონი თუ დაგხვდათ, მაინცდამაინც ნუ გაიკვირვებთ.

„იუვენტუსი“, რატომღაც ძალიან გაუსახურებული, „დელე ალპიზე“ „პიაჩენცას“ მასპინძლობს. „პიაჩენცა“ კი იმითაა საინტერესო, რომ ამ სეზონში უკვე 12 გოლის გამტანი დარიო უბნერი ჰყავს.

აი, „ვენეცია“ კი გარდა იმისა, რომ ბოლო ადგილზეა, სულ ნაკლები და ნაკლები მაყურებლის წინაშე უხდება თამაში. ცხადია, ხალხს გასაცოდავებული გუნდის ქომაგობა აღარ უნდა. მაგრამ შემოსავალი? ამიტომაც, კლუბმა ასეთ ხერხს მიმართა — ბილეთის ფასი დაწია. თუ „ვენეციას“ თამაშზე დასწრება გსურთ, ყველაზე მეტი 4,5 დოლარის ტოლფასი, 10 ათასი ლირა გექნებათ გადასახდელი. ქალებსაც? არა, ქალების ბილეთი ათასი ლირა ღირს. ამ ფასად კაფეში ერთ ჭიქა კაპუჩინოსაც კი ვერ დალევთ.

# ინგლისი

# აზრზე მოდი, ხიდზე გადი

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბოლტონი | - | ჩარლტონი |
| ევერტონი | - | დერბი ქაუნთი |
| მიდლსბრო | - | მანჩესტერი |
| ნიუკასლი | - | ბლეკბერნი |
| საუთჰემპტონი | - | სანდერლენდი |
| ტოტენჰემი | - | ფულემი |
| ვესტ ჰემი | - | არსენალი |
| ხვალ | | |
| ლიდსი | - | ლესტერი |
| ჩელსი | - | ლივერპული |
| ზეგ | | |
| ასტონ ვილა | - | იფსვიჩი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 15 | 10 | 3 | 2 | 25:11 | 33 |
| არსენალი | 15 | 8 | 5 | 2 | 33:17 | 29 |
| ლიდსი | 15 | 7 | 7 | 1 | 18:9 | 28 |
| ნიუკასლი | 15 | 8 | 3 | 4 | 25:18 | 27 |
| მანჩესტერი | 16 | 7 | 3 | 6 | 36:27 | 24 |
| ჩელსი | 16 | 5 | 9 | 2 | 19:12 | 24 |
| ასტონ ვილა | 16 | 6 | 6 | 4 | 21:18 | 24 |
| ტოტენჰემი | 16 | 7 | 3 | 6 | 25:23 | 24 |
| ფულემი | 16 | 5 | 8 | 3 | 17:13 | 23 |
| ჩარლტონი | 16 | 5 | 6 | 5 | 21:20 | 21 |
| ევერტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:19 | 20 |
| ბოლტონი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:21 | 20 |
| სანდერლენდი | 16 | 5 | 5 | 6 | 13:15 | 20 |
| ბლექბერნი | 16 | 4 | 7 | 5 | 22:19 | 19 |
| მიდლსბრო | 16 | 5 | 4 | 7 | 17:22 | 19 |
| ვესტ ჰემი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:28 | 19 |
| საუთჰემპტონი | 15 | 4 | 1 | 10 | 15:24 | 13 |
| დერბი ქაუნთი | 16 | 3 | 4 | 9 | 11:29 | 13 |
| ლესტერი | 16 | 3 | 4 | 9 | 9:29 | 13 |
| იფსვიჩი | 16 | 1 | 6 | 9 | 14:25 | 9 |



ბრაიან დინი: პირველი პრემიერლიგური

**წავიდა ჰეე,** ის ცხოვრება აღარ არის, როცა „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლამის საახალწლოდ ინაღდებდა ჩემპიონობას — სერ ალექსის გუნდი ამჟამად მეხუთეა და ლიდერს 9 ქულით ჩამორჩება;

ეს ცხოვრება კიბე არის: ზოგი ადის, ზოგი ჩადის — რადგან „მანჩესტერი“ ჩადის, შესაბამისად ვიღაც ადის. ეს ვიღაც დღესდღეობით „ლივერპულია“, რომელსაც ადრეული სექტემბრიდან პრემიერლიგაში მარცხი არ განუცდია და უახლოეს მდევარს 4 ქულით უსწრებს;

რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება — ეს უფრო პრემიერლიგის ლიდერობას შეეფერება, განსაკუთრებით დეკემბერ-იანვრის არქიინტენსიური კალენდრის გადამკიდე;

ეს ცხოვრება უსასრულოდ დიდია, ერთი ბეწო საცალფეხო ხიდია — ფინიშამდე 23 ტურია დარჩენილი და პირველი მთავარი ხიდი, ლიდერმა „ლივერპულმა“ რომ უნდა გადაიაროს, სამხრეთ-დასავლეთ ლონდონის „სტემფორდ ბრიჯია“ (ჩვენებურად „სტემფორდის ხიდი“)...



ალან შირერი: ყველაზე მეტი პრემიერლიგური

არადა, მერსისაიდელებს ნამეტანი უჭირთ ამ წინაღობის გავლა: ჩადიან „სტემფორდზე“ და აგებენ. ასე ხდება ბოლო 5 წლის განმავლობაში. და საერთოდ, „ჩელსისთან“ სტუმრობა „ლივერპულისთვის“ ბოლოს 1989 წელს გამოდგა წარმატებული.

მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა — ულიეს და ტომპსონის გუნდმა მიმდინარე ჩემპიონატის 7 გასვლითი შეხვედრიდან 5 მოიგო, რანიერისამ კი 7 საშინაო მატჩში მხოლოდ ორჯერ იმარჯვა. ასე რომ... მაგრამ შუა კვირაში „ჩელსიმ“ ლიგის თასზე გაიხარა, „ლივერპულმა“ კი შენახულ თამაშში ხვალინდელი მეტოქის მეზობელ „ფულემს“ ვერ სძლია. ასე რომ, მერსისაიდელებს აზრზე მოსვლა და ლიდერობის განმტკიცება მართებთ.

მაიკლ ოუენი კი კვლავ შეეცდება თავისი მეასე ლივერპულული გოლის გატანას. ინგლისის ნაკრების ფორვარდს, გუშინ 22 წლისა რომ შესრულდა, იტალიელი კარლო კუდიჩინი დაუპირისპირდება. რანიერის თანამემამულე მეკარე ახლა ბრწყინვალე ფორმაშია და სულაც არ აპირებს მეტოქისთვის საჩუქრის მირთმევას. თავის მხრივ, არც ფილ ტომპსონი ნერვიულობს საიუბილეო გოლის თაობაზე. „ახლა ყველა მაიკლის მეასე გოლზე საუბრობს, მაგრამ ჩვენ ამაზე სულაც არ ვფიქრობთ. ეს პრობლემა არაა — ადრე თუ გვიან ეს მოხდება და მაშინ აღვნიშნავთ“ — ამშვიდებს შეგირდს „ლივერპულის“ დროებითი თავკაცი.

ეს მართლაც დროის ამბავია, აი, ერთი იუბილე კი დღეს აუცილებლად შედგება. საქმე ის გახლავთ, რომ 1992 წელს დაარსებულ პრემიერლიგაში დღემდე 9999 გოლია გასული. ასე რომ, დღეს გატანილი პირველი გოლი მსოფლიოს უმდიდრესი ლიგისთვის მეათიათასე გამოდგება. ორმაგი იუბილეს აღნიშვნა ოუენს ნაღდად არ შეუძლია, ვინაიდან ტურის უმთავრესი შეხვედრა ხვალ შედგება. ასევე თითქმის გამორიცხულია, რომ ეს პატივი ამჟამად ლესტერელ ბრაიან დინს ხვდეს — სწორედ მან, იმ დროს „შეფილდ იუნაიტედის“ ფორვარდმა, ჩაუყარა საფუძველი პრემიერლიგურ გოლებს 1992 წლის 15 აგვისტოს, როცა „ბრამალ ლეინზე“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაუტანა. „მახსოვს, ახლო მძელთან ჩამომაწოდეს და თავით შევაგდე. მერე მომავალ ჩემპიონს პენალტიც გავუტანე და 2:1 მოვიგეთ“ — იხსენებს 33 წლის დინი, რომლის ახლანდელი კლუბი ხვალ ლიდსს სტუმრობს.

მაგრამ არსებობს ვარიანტი, რომლის დროსაც საზეიმო გოლის ავტორობის შანსი დინსაც აქვს და ოუენსაც — თუ დღევანდელი შვიდივე მატჩი 0:0 დამთავრდება. თქვენ წარმოიდგინეთ, „უილიამ ჰილს“ ეს შემთხვევაც კი გაუთვალისწინებია: თუ დღეს გოლი არ გავიდა (ამ შემთხვევაში 1 გირვანქაზე მოგება 7234851 გირვანქას შეადგენს), ხვალ კი ყველაზე სწრაფად სწორედ ბრაიან დინი გაიტანს „ელანდ როუდზე“, ამ ვარიანტზე ფსონის ჩამსვლელს დადებულის 50 მილიონზე გადამრავლებული თანხა ერგება.

ვითომ ღირს თუნდაც პენსის გაღება? ალბათ, არა. საიუბილეო გოლის გატანის უფრო რეალური შანსები, იმავ „უილიამ ჰილის“ აზრით, არსენალელ ტიერი ანრის (ერთი 14-ზე) და ნიუკასლელ ალან შირერს (ერთი 16-ზე) აქვთ. „ეს პრემიერლიგაში ჩემი ცხრაწლიანი თამაშის ღირსეული დაგვირგვინება იქნება“ — ოცნებობს შირერი, ვინც ამ ლიგის საუკეთესო ბომბარდირია 186 გოლით. მეორეზე ენდი კოულია 140 ზუსტი დარტყმით. საინტერესოა, რომ მხოლოდ ამ ორს მოუხერხებია დღემდე ერთ პრემიერლიგურ შეხვედრაში 5 გოლის გატანა.

# გერმანია

სოლომონ გულისაშვილი

## შტეფან ეფენბერგმა, ყველამ თავის მამიდას მიხედოსო...

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მიუნხენი | - | გლადბახი |
| ჰერტა | - | ლევერკუზენი |
| ნიურნბერგი | - | ზანქტ პაული |
| ვერდერი | - | დორტმუნდი |
| ჰამბურგი | - | ფრაიბურგი |
| კიოლნი | - | კოტბუსი |
| ჰანზა | - | ბაიერნი |
| **ხვალ** | | |
| ვოლფსბურგი | - | შალკე |
| ლაუტერნი | - | შტუტგარტი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 16 | 12 | 3 | 1 | 42:19 | 39 |
| დორტმუნდი | 16 | 12 | 1 | 3 | 27:9 | 37 |
| ლაუტერნი | 16 | 11 | 1 | 4 | 35:20 | 34 |
| ბაიერნი | 16 | 10 | 3 | 3 | 34:10 | 33 |
| ვერდერი | 16 | 10 | 2 | 4 | 27:16 | 32 |
| ჰერტა | 16 | 8 | 4 | 4 | 25:19 | 28 |
| შალკე | 16 | 7 | 5 | 4 | 19:17 | 26 |
| შტუტგარტი | 16 | 6 | 5 | 5 | 18:16 | 23 |
| მიუნხენი | 16 | 7 | 2 | 7 | 21:27 | 23 |
| ვოლფსბურგი | 16 | 5 | 4 | 7 | 26:24 | 19 |
| ფრაიბურგი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:26 | 17 |
| ჰამბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 19:26 | 16 |
| ჰანზა | 16 | 4 | 4 | 8 | 15:22 | 16 |
| გლადბახი | 16 | 3 | 6 | 7 | 17:24 | 15 |
| კოტბუსი | 16 | 3 | 4 | 9 | 13:28 | 13 |
| კიოლნი | 16 | 3 | 3 | 10 | 11:28 | 12 |
| ნიურნბერგი | 16 | 3 | 2 | 11 | 12:31 | 11 |
| ზანკტ პაული | 16 | 1 | 4 | 11 | 16:34 | 7 |

**ამ შაბათ-კვირას** ბუნდესლიგის პირველი წრე დამთავრდება და შემოდგომის ჩემპიონიც გაირკვევა. თუმცა წლეულს ერთი ტური კიდევ გაიმართება, მომავალ უქმეებზე ბუნდესგუნდები მეორე წრის პირველ ტურს გამართავენ და მერე 26 იანვრამდე სატრანსფერო საქმეებს მიხედავენ.

მიუნხენის „ბაიერნი“, რომელსაც ზედიზედ ცხრა მოგების შემდეგ უკვე ოთხი ტურია არ გაუმარჯვია, დღეს როსტოკში „ჰანზასთან“ ითამაშებს. ოტმარ ჰიცფელდის ერთ-ერთმა თანაშემწემ, მიხაელ ჰენკემ ხუთშაბათის ვარჯიშის მერე განაცხადა, რომ ძირითადის ხუთ ფეხბურთელი ჯანზე ვერ არის. სამუელ კუფური და პაულო სერჯიო მსუბუქად დაშავდნენ, ბიქსენტ ლიზარაზუს აქილევსის მყესის ტრავმა გაუმიზეზდა, ჩირიაკო სფორცას გრიპი შეყრია, ხოლო ვილი სანიოლს კუჭის ტკივილი ტანჯავს.

გერმანიაში უკვე ჩემპიონის კრიზისზეც ალაპარაკდნენ, თუმცა მიუნხენელი ფეხბურთელები ცდილობენ ვითარება შეარბილონ. ჭაბუკი ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი ამბობს: „ბაიერნის“ სიძლიერე უმთავრესად იმაშია, რომ ცოტა გოლს უშვებს. „ვოლფსბურგთან“ ბოლო მატჩში კი სამი ბურთი მივიღეთ. მოკლედ, რაღაც მოიშალა, მაგრამ საკმარისი გამოცდილება გაგვაჩნია იმისთვის, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დავაბრუნოთ. ამისთვის აუცილებლად გვჭირდება შტეფან ეფენბერგი, ის ხომ გუნდის ჭეშმარიტი ლიდერია. თუ ეფე და სხვა დაშავებულები მალე დაგვიბრუნდებიან, ჩვენი დამარცხება ძალიან ძნელი იქნება“.

თავად ეფე კი ამ დღეებში კლუბის მენეჯერული ჰიონესს წაეკიდა, რომელსაც უთქვამს, ეფენბერგი სეზონის ბოლოს მადრიდის „ატლეტიკოში“ აპირებს გადასვლას, მაგრამ მისებრ გამორჩეულ ფეხბურთელს ესპანეთის მეორე ლიგაში თამაში არ ეკადრებაო. ეფენბერგს უთქვამს, ჯობს, ეგ ხალხი საშობაო ნაძვის ხესთან დასხდეს და თავის პრობლემებს მიხედოს, ჩემი მომავლის ამბავი კი მხოლოდ ჩემი ოჯახის საქმეაო.

„ჰანზა“ კი ახალ მწვრთნელს ელის. არმინ ვეჰი მეორე ბუნდესლიგის „როიტლინგენში“ საზამთრო შესვენებამდე დარჩება, მერე კი იური შლიუნცს შეცვლის, ვინც თავის მხრივ გუნდში ფრიდჰელმ ფუნკელის ნაცვლად მივიდა.

ტურის მთავარი მატჩი კი ბრემენში გაიმართება. ბოლო დროს აწყვეტილი „ვერდერი“ მეორე საფეხურზე მდგარ „დორტმუნდს“ დაუხვდება. კლუბის სპორტული დირექტორი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი კლაუს ალოფსი ამბობს, გუნდი ახლა ალმა მიდის და ხელმძღვანელობამ ყველა ლონე უნდა ვიხმაროთ, რათა ეს წინსვლა არ შეფერხდესო. შეგახსენებთ, რომ „ვერდერმა“ ბუნდესლიგის ბოლო ათ მატჩში ცხრა მოიგო და ლიდერებს კვალში ჩაუდგა.

დორტმუნდელთა მწვრთნელ მათიას ზამერს თავისი პრობლემები მოსძალებია. ბრემენში ის მცველ კრისტოფ მეცელდერსა და საუკეთესო ბომბარდირ ბრაზილიელ მარსიო ამოროზოს ვერ ათამაშებს. ამ ფეხბურთელების ჯანმრთელობის ამბავი ახლა ყველაზე მეტად მაღელვებსო — თქვა ზამერმა. ამოროზოს ფეხის ტრავმა აწუხებს, ხოლო მეცელდერს ცხვირი აქვს გატეხილი.

ლიდერი „ლევერკუზენი“ ბერლინში „ჰერტას“ ესტუმრება და თუ არ წააგო, შემოდგომის ჩემპიონი გახდება. ჩვენებურთა „ფრაიბურგი“ კი ჰამბურგში ჩავა. „კიკერის“ ცნობით, სამივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

კვირას კი მესამეადგილოსანი „კაიზერსლაუტერნი“ ცხრილის შუაში მყოფ „შტუტგარტს“ უმასპინძლებს. „ლაუტერნის“ ხელმძღვანელობა კვლავაც ცდილობს ფრანგ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ იური ჯორკაეფს ძირითადში ადგილი მოუძებნოს. ცნობილია, რომ ჯორკაეფს მწვრთნელ ანდრეას ბრემესთან მეტად დაძაბული ურთიერთობა აქვს. ახალხან ჯორკაეფმა ფრანგ ჟურნალისტებს განუცხადა, ძალიან მსურს ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სათამაშო პრაქტიკა არ მექნა, შესაძლოა ნაკრებიდანაც მომკვეთონ და კორეა-იაპონიაში არ წამიყვანონო.

დაბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ „1860“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ უმასპინძლებს. გერმანელმა ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ „მიუნხენს“ შინ „გლადბახთან“ 1969 წლის მერე აღარ წაუგია...



მარსიო ამოროზო ამ ტურში ვერ ითამაშებს და, შესაბამისად, ვერც გაიხარებს

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

## მანეს ჭკუით, კოლოჩინის შესრულებით

| XVII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეალი | - | სოსიედადი |
| ესპანიოლი | - | ვალენსია |
| ლას პალმასი | - | ოსასუნა |
| **ხვალ** | | |
| ვილიარეალი | - | ბარსელონა |
| სელტა | - | სარაგოსა |
| ალავესი | - | სევილია |
| ბილბაო | - | რაიო ვალეკანო |
| ვალიადოლიდი | - | ტენერიფე |
| ბეტისი | - | მალიორკა |
| მალაგა | - | დეპორტივო |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 16 | 9 | 3 | 4 | 19:9 | 30 |
| დეპორტივო | 16 | 9 | 2 | 5 | 29:21 | 29 |
| რეალი | 16 | 8 | 4 | 4 | 29:19 | 28 |
| ბეტისი | 16 | 8 | 4 | 4 | 18:13 | 28 |
| ბილბაო | 16 | 7 | 6 | 3 | 24:22 | 27 |
| სელტა | 16 | 6 | 7 | 3 | 31:20 | 25 |
| ბარსელონა | 16 | 6 | 6 | 4 | 24:15 | 24 |
| ვალენსია | 16 | 5 | 9 | 2 | 15:12 | 24 |
| ვილიარეალი | 16 | 6 | 4 | 6 | 17:16 | 22 |
| სევილია | 16 | 5 | 6 | 5 | 26:21 | 21 |
| ესპანიოლი | 16 | 6 | 3 | 7 | 20:26 | 21 |
| ვალიადოლიდი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:26 | 21 |
| მალაგა | 16 | 5 | 5 | 6 | 18:21 | 20 |
| სარაგოსა | 16 | 6 | 2 | 8 | 15:21 | 20 |
| ლას პალმასი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:14 | 19 |
| მალიორკა | 16 | 5 | 4 | 7 | 17:22 | 19 |
| ოსასუნა | 16 | 5 | 3 | 8 | 14:22 | 18 |
| ტენერიფე | 16 | 5 | 2 | 9 | 11:19 | 17 |
| სოსიედადი | 16 | 4 | 3 | 9 | 16:24 | 15 |
| რაიო ვალეკანო | 16 | 3 | 2 | 11 | 15:29 | 11 |

**„ალავესმა“** რომელსაც „ბარსელონას“ დამარცხება არ გასჭირვებია, ეგებ ამ ტურის მერეც შეინარჩუნოს ლიდერობა. როგორ? სულ უბრალოდ, მშობლიურ „მენდისოროსაზე“ „სევილიას“ უნდა მოუგოს, ან იმის იმედად იყოს, რომ უახლოესი მდევრებიც წააგებენ. თუმცა, ცხადია, პირველი ვარიანტი მეორეს სჯობს.

არა, მაინც რა გუნდია, ეს „ალავესი“! მთელი 77 წელი სახეირო არაფერი უკეთებია და აგერ: პრიმერადივიზიონში მეექვსე ადგილი (1999-2000), უეფას თასის ფინალი (2000-01), ახლა კი დივიზიონის ლიდერობა. არადა, წინა სეზონის შემდეგ ხავი მორენო და კოზმინ კონტრა რომ გაყიდა, კაცი იფიქრებდა, წასულია მისი საქმე, ერთხელ გაიხარა და ეყოფაო.

ვიტორიელთა ასეთი წარმატების საიდუმლო? ისეთი ფეხბურთელები, „რეალს“ და „ბარსელონას“ რომ ჰყავს, არც დაესიზმრება, მაგრამ „ალავესის“ თამაშები თუ გინახავთ, შეამჩნევდით, მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში ისინი რიცხობრივ უპირატესობას ფლობენ, რაც საბოლოოდ, სათამაშო უპირატესობაში გადადის და შედეგიც მოაქვს. მოკლედ, მანუელ ესნალ პარდოს ან უბრალოდ მანეს, ჭკვიანურ სამწვრთნელო მუშაობაში უნდა იყოს საიდუმლო. და თუ მაინცდამაინც შემსრულებლებზე მიდგა საქმე, „მილანიდან“ იჯარით აყვანილი 19 წლის არგენტინელი ფაბრიციო კოლოჩინი უნდა ვახსენოთ — მცველი, რომელმაც უკვე ოთხი გოლი გაიტანა, ხოლო მისივე ლიდერობით დაცვამ ყველაზე ნაკლები გაუშვა ესპანეთში.

ბასკთა მეტოქე „სევილიასაც“ ჰყავს ერთი უნიჭიერესი ბიჭი, სევილიაში დაბადებული და აღზრდილი ხოსე ანტონიო რეიესი და თუ „სევილია“ „ალავესთან“ რამეს გამორჩება, ალბათ, სწორედ მისი წყალობით. ჰო, ეს ის რეიესია, ახლახან თანაგუნდელმა ფრანსისკო გალიარდომ მამაკაცურ ღირსებაზე რომ უკბინა.

სხვაგან კი ასეთი ამბებია:

ჯონ ტოშაკის ტანჯული „რეალ სოსიედადი“ ნალდ „რეალს“ შეებმება „სანტიაგო ბერნაბეუზე“. ხომ გახსოვთ, ტოშაკი როგორც გააგდეს მადრიდიდან, სანამ დელ ბოსკეს მოიყვანდნენ? ჰოდა, უელსელს თუ ბოღმა ჩარჩენია გულში, აჰა, ბურთი და მოედანი, შური იძიოს. მაგრამ, ვაი, „რეალის“ ძლევა ასე იოლი არ არის, მით უმეტეს, რომ მიმდინარე სეზონში „ბერნაბეუზე“ ჯერ არ დამარცხებულა. ისე, საინტერესო დამთხვევაა — „რეალთან“ მატჩი ტოშაკისთვის 450-ე ესპანური იქნება. პრიმერადივიზიონში ამაზე მეტჯერ ოდენ მხცოვან ლუის არაგონესს გაუყვანია თავისი გუნდები.

ეს რა უბედურებაა — „ბარსელონას“ ბოლო ოთხი მატჩი ვერ მოუგია. მეხუთეს მაინც მოიგებს? ეგებ, ასეც მოხდეს, მაგრამ რივალდოსა და პატრიკ ანდერსონის გარეშე მოუწევს სამი ქულის აღება. რივალდო ფეხს იტკივებს, ხოლო შვედი, გეხსომებათ, წინა ტურში ბეწვზე გადაურჩა კისრის მოტეხვას. ისიც გავიხსენოთ, რომ „ვილიარეალისა“ და „ბარსელონას“ წინა სეზონის მატჩი 4:4 დასრულდა, ხოლო ხვალინდელმა მასპინძლებმა ამდენივე გაუტანეს შუა კვირაში ხიხონის „სპორტინგს“ სამეფო თასზე.

„რეალ ბეტისი“ შინ აშკარად უკეთ თამაშობს, ვიდრე სტუმრად, ამიტომ „მალიორკასთან“ ფავორიტად ითვლება. ესეც რომ არა, კუნძულელთა თამაში ამ სეზონში ისეთი ვეღარაა, როგორიც წინაში იყო და თან ვისენტე როდრიგესი წლის ბოლომდე დამტვრეული ჰყავს.

ზედიზედ ოთხი გასვლითი მატჩის წამგებ „დეპორტივოს“ ამ ტურშიც სტუმრად უწევს თამაში. გალისიელთა მეტოქე „მალაგა“ — არცთუ ძლიერი გუნდი, მაგრამ ხავიერ ირურეტას ვიქტორი, ალდო დუშერი და ლიონელ სკალონი დაშავებულები ჰყავს.

ბოლოს „ვალენსიაზეც“ ვთქვათ. „ვალენსიამ“ წინა ხუთი მატჩიდან ერთიც ვერ მოიგო, ამ სეზონში სტუმრად საერთოდ არ გაუმარჯვია და რაც ყველაზე საინტერესოა, ბარსელონაში „ესპანიოლი“ არასდროს დაუმარცხებია, თან ერთი თავდამსხმელიც არ ჰყავს საუკეთესო ფორმაში.



ანტონიო კარმონას დონის ფეხბურთელები მანემ ძლიერ გუნდად შეკრა

# NANDROLONE

# სამართალი სასამართლომ დაადგინოს



## გვარდიოლამ ბუცი გაიხადა და რკინის ქალამანი ჩაიცვა

**ხოსეპ გვარდიოლამ** განაცხადა, ჩემი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ყველა ღონეს ვიხმარ და უახლოეს მომავალში სასამართლო პროცესსაც წამოვიწყებო. ორიოდ სიტყვით შეგახსენებთ, რატომ დასჭირდა „ბარსელონას“ ყოფილ კაპიტანს უდანაშაულობის მტკიცება: „ბრეშაში“ ჩარიცხულმა ესპანელმა სერია A-ს ერთ-ერთი ტურის შემდეგ დოპინგზე ანალიზი ჩააბარა და სისხლში ნანდროლონის გადაჭარბებული დოზა აღმოაჩნდა. ახლახან განმეორებითი ანალიზის პასუხიც გამოქვეყნდა და არაფერი შეცვლილა. „მეორე ტესტმა პირველის შედეგი დაადასტურა. სისხლში ნანდროლონის მაღალი შემცველობაა“ — გავრცელდა ცნობა იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ლაბორატორიიდან.

ამის პასუხად ხოსეპ გვარდიოლამ თქვა: „თუ იტალიელებს თავიანთი სიძლიერის დამტკიცება განუზრახავთ, ეს შესძლეს. მათ სურდათ, ეჩვენებინათ, რა მაღალ დონეზეა ქვეყანაში დოპინგ-კონტროლი. ამით დანარჩენ ევროპას ნიშნი მოუგეს, თქვენ ვერ აღმოაჩინეთ, ჩვენ კი ვიპოვეთო. მე უბრალოდ მინდა, ჩემი უდანაშაულობა დავამტკიცო. ამ საქმეს იმ შემთხვევაშიც გავაგრძელებ, თუ დამნაშავედ მიმიჩნევენ და დისკვალიფიკაციას მომცემენ. სიმართლის დამტკიცების საუკეთესო საშუალება კი სასამართლოა“.

ბოლოს გვარდიოლას ადრინდელ სიტყვებსაც შეგახსენებთ — თუ ჩემი სიმართლე ვერ დავამტკიცე, ფეხბურთს საერთოდ დავანებებ თავსო.

**ნიკა ზუბლაძე**

# ბრუკნერს მერი ჩააბარეს

**„მას დიდი** ავტორიტეტი აქვს და ყველა ასაკის ფეხბურთელთან შეუძლია მუშაობა“ — ასე შეაქო ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა იან ობსტმა ეროვნული გუნდის ახალი თავკაცი კარელ ბრუკნერი.

62 წლის სპეციალისტი ბოლოს ჩეხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა, მანამდე კი ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა. ამ უკანასკნელს შარშან ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოაპოვებინა. კარელ ბრუკნერს მიზნად, ცხადია, ჩეხეთის ნაკრების 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე გაყვანა დაუსახეს.

ბრუკნერამდე მთავარ კანდიდატად „ბანიკის“ დამრიგებელი იოჟეფ იარაბინსკი ითვლებოდა, რომელიც ჩეხეთში ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად ითვლება. მისი ხელმძღვანელობით პრაღის „სპარტა“ სამჯერ (1979, 89 და 95 წლებში) გახდა ქვეყნის ჩემპიონი. 57 წლის სპეციალისტს აგრეთვე ესპანურ „ბეტისში“, ბერძნულ აეკ-სა და რამდენიმე თურქულ კლუბში უმუშავია.

შეგახსენებთ, რომ ჩეხეთის ნაკრები უმწვრთნელოდ 20 ნოემბერს, იოჟეფ ხოვანეცის წასვლის შემდეგ დარჩა. მიზეზი კი ჩეხეთის ნაკრების ბელგიასთან პლეი ოფში დამარცხება და შესაბამისად, კორეა-იაპონიაში წაუსვლელობა გახდა

**ლაშა გეგეჭკორი**

# კოვაჩევიჩმა სოსიედადი გაიხსენა

**„ლაციოს“** თავდამსხმელი დარკო კოვაჩევიჩი აცხადებს, რომ ალბათ შორს არ არის ის დრო, როცა ის „რეალ სოსიედადში“ დაბრუნდება. თავისთავად „სოსიედადში“ თამაშს „ლაციოში“ ყოფნა სჯობს, მაგრამ იუგოსლაველი ბოლო ხანს თითქმის ვერ ხვდება ძირითად შემადგენლობაში და რომიდან წასვლაც ამიტომ გადაწყვიტა.

„ვფიქრობ, „სოსიედადში“ მალე ჩავირიცხები, სან სებასტიანში სამი ჩინებული სეზონი გავატარე და იქ სიამოვნებით დავბრუნდები. ოსკარ დე პაულასთან ერთად უკვე მითამაშია, ის ძალიან კარგი ფორვარდია. იანკაუსკასის გოლებიც მინახავს, რაც მის სიძლიერეზე მეტყველებს. თუ მათთან ერთად მომიწია თამაშმა, მჯერა, რომ „სოსიედადში“ სასიკეთოდ შეიცვლება ვითარება“ — განუცხადა კოვაჩევიჩმა მასმედიას.

იმავდროულად, ვრცელდება ცნობა, რომ იუგოსლაველის შეძენით „მილანი“ დაინტერესდა. შეგახსენებთ, რომ „შავწითელთა“ ფორვარდი ფილიპო ინძაგი სერიოზულად დაშავდა და მწვრთნელი კარლო ანჩელოტი მის შემცვლელს ეძებს. კოვაჩევიჩს კი ანჩელოტი „იუვენტუსიდან“ კარგად იცნობს, მისი მწვრთნელობისას იუგოსლაველი „ბებერ ქალბატონში“ თამაშობდა. ისიც გავიხსენოთ, რომ ფორვარდი ზაფხულში გადავიდა „იუვენტუსიდან“ „ლაციოში“. სააგენტოების გავრცელებული ინფორმაციით, კოვაჩევიჩი „ბენფიკასაც“ ჰყოლია შეგულებული, თუმცა ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იუგოსლაველი პორტუგალიაში გადავიდეს.

„რეალ სოსიედადი“ კი არა მარტო დარკო კოვაჩევიჩით აპირებს გაძლიერებას. BBC-ის ცნობით, სანსებასტიანელები „ლივერპულთან“ აწარმოებენ მოლაპარაკებას, რათა ჰოლანდიელი მეკარე სანდერ ვესტერფელდი ჩაიგდონ ხელში. ამ გოლკიპერის გადაბირება „გლაზგო რეინჯერსსაც“ ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.



დარკო კოვაჩევიჩს (მარჯვნივ) გულმა ესპანეთისკენ გაუწია

„ლივერპულმა“ ვესტერფელდი 3.5 მილიონ გირვანქად შეაფასა და ჰოლანდიელიც, ალბათ, დატოვებს „ენფილდს“, რადგან ირჟი დუდეკთან და კრის კირკლენდთან კონკურენციას ვერ უძლებს და მესამე მეკარედ ითვლება.

**ნიკა ზუბლაძე**



**იტალიური** „ტორინოს“ ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელ დავიდე პალაცეტის ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯეს. მას სხვადასხვა აკრძალული პრეპარატების შენახვა და მოხმარება ედება ბრალად. პროკურორი ჯანფრანკო კოლაჩე ათთვიან სასჯელს ითხოვდა. საქმე კი მას შემდეგ აღიძრა, რაც 1998 წელს „რომას“ ყოფილმა მწვრთნელმა ზდენეკ ზემანმა საჯაროდ განაცხადა იტალიურ ფეხბურთში დოპინგის ფართომასშტაბიან გამოყენებაზე.

**ინგლისური სააგენტოების ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მადრიდის „ატლეტიკოს“ არგენტინელ მეკარე ხერმან ბურგოსს დაადგა თვალი. თუმც ბურგოსს მადრიდულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი აქვს და მისი სატრანსფერო ღირებულებაც საკმაოდ დიდია.**

**ბრაზილიის** ნაკრების ყოფილი თავკაცი ვანდერლეი ლუქსემბურგო კვლავ უმუშევარი დარჩა. „კორინთიანსის“ ხელმძღვანელობამ ტეტრაკამპეონთა ექსთავკაცი მას შემდეგ გაათავისუფლა, რაც კლუბი ეროვნული ჩემპიონატის პლეი ოფიდან გავარდა. ლუქსემბურგოს შემცვლელად ოსვალდო ოლივეირას ასახელებენ, რომელმაც მისგან ერთხელ უკვე გადაიბარა „კორინთიანსში“ მწვრთნელის პოსტი.

**ჰოლანდიური „სიტარდის“ მთავარი მწვრთნელი ჰანს ვერელი პოსტიდან გაათავისუფლეს. „სიტარდი“ ჩემპიონატში 16 თამაშიდან 6 ქულით ამჟამად ბოლო ადგილზეა. ვერელმა გუნდი სეზონის წინ ჩაიბარა. ის იან ვან დიიკისა („როდა“) და კო ადრიანსეს („აიაქსი“) შემდეგ მესამეა ჰოლანდიაში, ვინც წლეულს კლუბიდან გაუშვეს. აღსანიშნავია, რომ „სიტარდი“ წინა სეზონშიც ძლივს გადაურჩა პირველი დივიზიონიდან გავარდნას.**

**გერმანულმა** „ვერდერმა“ შვეიცარიის ნაკრებისა და „ლუგანოს“ მოთამაშე ლუდოვიკ მანინის კონტრაქტი გაუფორმა. 22 წლის მანინიმ კლუბთან 4,5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რაც „ვერდერს“ 770 ათასი ევრო დაუჯდა. შვეიცარიელს ბუნდესლიგაში თამაში უკვე 1 იანვრიდან შეეძლება.

**ბერძნული სააგენტოები „პანათინაიკოსისა“ და ფრანგული „ლილის“ თავკაც ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის მოლაპარაკებებზე იუწყებიან. ერთ-ერთი გაზეთის ცნობით კი, ბერძნული კლუბი მზადაა, ფრანგებისგან მწვრთნელის გამოსასყიდად 28 მილიონი ფრანკი გადაიხადოს. ჰალილჰოჯიჩმა კომენტარისგან თავი შეიკავა. „ვერაფერს გეტყვით. ამის შესახებ სეზონის დასრულების მერე ვილაპარაკოთ“— განაცხადა ბოსნიელმა მწვრთნელმა.**

**იაპონიის** ნაკრების ფრანგი თავკაცი ფილიპ ტრუსიე ერთ-ერთია იმ კანდიდატთაგან, რომელთაც შოტლანდიის ნაკრების თავკაცობას სთავაზობენ. თუმც თავად ტრუსიეს სურს, იაპონიის ნაკრები ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზე ათამაშოს. 46 წლის ფრანგს ადრე სამხრეთ აფრიკის, ნიგერიის, კოტ დივუარისა და ბურკინა ფასოს ნაკრებებში უმუშავია.

**გერმანული „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰიონესმა დაადასტურა, რომ „ფრაიბურგის“ მცველი სებასტიან კელი 2003 წლის ზაფხულში მიუნხენში გადავა. 21 წლის ფეხბურთელზე „ბაიერნის“ გარდა ბერლინის „ჰერტა“ და დორტმუნდის „ბორუსიაც“ ნადირობდნენ. იმავდროულად ჰიონესმა ჭორი უწოდა ცნობას, თითქოს კელის ანგარიშზე კლუბს 10 მილიონი მარკა გადაერიცხოს.**

**რუმინეთის** ნაკრებისა და ბელგიური „ანდერლეხტის“ ნახევარმცველი ალინ სტოიკა ფრანგულ „მონაკოსთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას. ტრანსფერის დასრულებას ორიოდ დღეში ვარაუდობენ.

**ინგლისური „ლიდსისა“ და სამხრეთ აფრიკის ნაკრების მცველმა ლუკას რადებეს ტრავმა გაუმიზეზდა და სამი თვე ვერ შეძლებს თამაშს. წინა ტურში „სანდერლენდთან“ მატჩისას რადებე მეორე ტაიმში დაშავდა და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მან მუხლის მყესები დაიზიანა. „სანდერლენდთან“ მატჩი რადებესთვის პირველი იყო მაისის შემდეგ. მაშინ მან ორი ოპერაცია გაიკეთა მუხლზე და ფეხბურთს ექვსი თვით ჩამოშორდა. „ეს სერიოზული დარტყმა იყო ჩემთვის, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს“ — განაცხადა უიღბლო რადებემ.**

**იტალიის** ნაკრებისა და „მილანის“ ყოფილმა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციასთან და მოსალოდნელია, ამ ქვეყნის ნაკრები ჩაიბაროს. თუმც მანამდე პირადი კონტრაქტის პირობებია შესათანხმებელი. „მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატი შესაძლოა ჩემთვის მეოთხე გამოდგეს. ამიტომაც ძალიან მოხარული ვარ, რომ პარაგვაელებმა არჩევანი ჩემზე შეაჩერეს“ — განაცხადა 69 წლის იტალიელმა სპეციალისტმა.

**თურქული „გალათასარაის“ წარმომადგენლებმა უარყვეს ხმები, თითქოს მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ გუნდიდან წასვლას აპირებდეს. რუმინელმა სპეციალისტმა თქვა, რომ მზადაა, ბოდიში მოუხადოს კლუბის ხელმძღვანელობას კრიტიკისთვის. შეგახსენებთ, რომ ლუჩესკუმ კლუბის მიერ დაჯარიმებული ფეხბურთელები დაიცვა და ხელმძღვანელობა უსამართლო გადაწყვეტილებების მიღებაში დაადანაშაულა.**

**ესპანური** „რეალის“ მცველი აიტორ კარანკა იტალიურ „მილანთან“ წინასწარ შეთანხმებულა და სავარაუდოდ იანვრიდან აპენინებზე გადაბარგდება. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის თასზე „ხიმნასტიკთან“ შეხვედრაში ესპანელმა მცველმა ავტოგოლი მიითვალა და მადრიდელები 0:1 დამარცხდნენ. კარანკას „მილანთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმც სავარაუდოდ ამ კლუბს ოთხი წლით დაუკავშირებს ბედს. 28 წლის მცველის სატრანსფერო ღირებულება კი 4 მილიონი გირვანქაა.

**გერმანული „შალკეს“ დანიელი თავდამსხმელი ებე სანდი ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გამოკითხვაში ტრადიციულად დანიის ფეხბურთელთა კავშირმა და ერთ-ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა მიიღეს მონაწილეობა. საუკეთესო ქალ ფეხბურთელად კი „ფორტუნას“ წევრი კრისტინა ბონდე მიიჩნიეს.**

**იტალიური** „უდინეზეს“ ლიდერ რობერტო მუცის გადაწყვეტილი აქვს, კლუბი დატოვოს. „ყველასათვის ცნობილია, რომ მუცი ტრანსფერზე დაყენებას ითხოვს. თუ ხელსაყრელ წინადადებას მივიღებთ, აუცილებლად განვიხილავთ“ — განაცხადა ახალმა მწვრთნელმა ჯამპიერო ვენტურამ.

**არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ დირექტორ მარსელო ლონდონის თქმით, შესაძლოა, კლუბის კოლუმბიელი მეკარე ოსკარ კორდობა მალე ინგლისის პრემიერლიგის რომელიმე გუნდში აღმოჩნდეს. არგენტინული პრესის ცნობით, კოლუმბიელით „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ დაინტერესდნენ. „ბოკა ხუნიორსი“ მეკარეს 5 მილიონ დოლარად აფასებს.**


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



მერკონორტეს თასი

ფინალი. 1 მატჩი. 13 დეკემბერი

მილიონარიოსი (კოლუმბია) ✕ ემელეკი (ეკვადორი)

მსაჯი: ლუის სოლორსანო (ვენესუელა)

საპასუხო მატჩი 20 დეკემბერს გაიმართება

ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი მოსკოვი (რუსეთი)

# ივანჩუკი — პონომარიოვი: უკრაინა ფინალშია

## რა უყოს ბავშვმა ამდენ ფულს?!



ვასილი ივანჩუკი ჟურნალისტებმა ადრინდელზე მეტად შეაწუხეს

**28 იანვარს** ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას (ფიდე) ახალი ჩემპიონი ეყოლება, მოქმედი ვიშვანათანან ანანდი ტახტიდან უკვე ჩამოაგდეს. ეს მოხდა მოსკოვში, ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ვაჟთა ნახევარფინალები დასრულდა და 8 პარტიისგან შემდგარი ფინალი უკვე მომავალ წელს, 16-დან 28 იანვრამდეა დაგეგმილი, მაგრამ სად? როცა ქალთა მსოფლიოს ჩემპიონი და პრეტენდენტიც ქართველები იყვნენ (გაფრინდაშვილი და ალექსანდრია, გაფრინდაშვილი და ჩიბურდანიძე, ჩიბურდანიძე და ალექსანდრია, ჩიბურდანიძე და იოსელიანი), ფინალებს ხშირად თბილისი ან სულაც თელავი მასპინძლობდა, ახლა კი სიტუაცია სწორედ ანალოგიურია, ფინალში მსოფლიოს ჩემპიონი უკრაინის ნაკრების ორი წევრი გავიდა. სულსწრაფმა ჟურნალისტებმა უკვე დასვეს კითხვები ფინალის კიევში გადატანასთან დაკავშირებით, მაგრამ ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა გეორგიოს მაკროპულოსმა, ამ საქმეზე იმდენი ფულია დახარჯული, ეს ვარიანტი სერიოზულად არ განიხილებაო.

ანანდი დაილუპა ნახევარფინალის მე-4 პარტიაში, რომელშიც თეთრებით მის წაგებას არავინ ელოდა. უარეს შემთხვევაში ქულა მაინც უნდა გამოემუშავებინა და მერე ტაიბრეიკი იქნებოდა. პირიქით, ექსპერტები ამბობდნენ, დღეს ვიში ივანჩუკს შეუტევს და შეეცდება, წერტილი დასვასო, მაგრამ არაფერი მსგავსი. დებიუტში (სიცილიური დაცვა იყო), როგორც შეჰფერის, თეთრებმა მცირე უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა შემდეგ ანანდმა ინიციატივის გასაღვივებლად არაფერი იღონა. 22-ე სვლაზე შექმნილი კრიტიკული პოზიციდან ინდოელს ორი უზუსტობა მოუვიდა, როცა კუ და ლაზიერი მოვლენათა ეპიცენტრს განაშორა — გარი კასპაროვის კომენტარს მოგახსენებთ. პაიკის ძლიერი წინსვლით ივანჩუკმა ანანდის მეფის პოზიციას მტკივნეულად დაარტყა და შავი ლაზიერ-მხედრის შემტევმა დუეტმა სუსტი თეთრი პაიკებით მოილხინა.

ლაზიერთა გაცვლის შემდეგ ინდოელს დანებება შეეძლო, მაგრამ ხუთიოდე სვლა კიდევ გააკეთა, მერე კი უილაჯოდ მოაწერა ხელი კაპიტულაციას. დასკვნითი პოზიცია დიაგრამაზე იხილეთ. „ვფიქრობ — წერს კასპაროვი — ანანდის წაგებაში საბედისწერო როლი დროის ახალმა კონტროლმა ითამაშა. მოჭადრაკეს ფიქრის დრო აღარ დაუტოვეს და მით უფრო, თუ ის დღე მისი არ არის, ნებისმიერი „სასწაული" ხდება. რეიტინგის პირველი ათეულის მოთამაშეები ამას ხედავენ, მაგრამ ჭადრაკის დამღუპველ ექსპერიმენტებში მონაწილეობას აგრძელებენ. ტურნირები ლას ვეგასში და დელიში გაცილებით საინტერესო გამოდგა, მეტი სადებიუტო იდეებით, რთული ბრძოლით და აზრიანი თამაშით, რადგან დროც მეტი იყო. კენჭისყრის სისტემაც ვერ უძლებს კრიტიკას. ბევრი ძლიერი მოჭადრაკე მეტად ადრე შეხვდა ერთმანეთს, თუნდაც შიროვი და ტოპალოვი."

კასპაროვის კრიტიკის ფონზე მაინც თვალში საცემია, რომ „ნოკაუტ ტურნირები" ადგილს იმკვიდრებს. ამ დღეებში მოსკოვში გვარიანი აზარტი სუფევს და უნდა ითქვას, რომ წარმატებულ მოჭადრაკეებს ჰონორარებსაც მრგვალ-მრგვალს გადაუხდიან, რაც ჭადრაკის გაპროფესიონალების მთავარი პრინციპია. რუსლან პონომარიოვმა ფიდე-ს ფინალში გასვლით მეოთხედი მილიონი დოლარი უკვე გამოიმუშავა. 17 წლის ყმაწვილისთვის სწორედ კარგი ჯამაგირია, რაც უაღრესად მძიმე შრომითა და ფაქტობრივად ნახევარი რუსული ელიტის გაბითურებით მოიპოვა. ადრეულ გამარჯვებათა შემდეგ პონომარიოვმა მიყოლებით გააგდო ალექსანდრ მოროზევიჩი, ევგენი ბარეევი და ბოლოს, ნახევარფინალიდან პიოტრ სვიდლერი, რომელსაც ადრე ერთი პარტია მოუგო და მე-4 რაუნდში ყაიმიც ჰყოფნიდა.

ბრძოლა არ ყოფილა. ადრეული ბატალიებით გამოფიტულმა სვიდლერმა (15 დღეში 23 პარტია რომ ითამაშა) ორ საათში, მე-18 სვლაზე საზავო წინადადება წარმოთქვა და პონომარიოვს რომ რატომღაც უარი ეთქვა. მოკლედ, კრამატორსკელი თინეიჯერი, მეორე კურსის სტუდენტი სამართლის განხრით და ასე შემდეგ, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა.

„სწავლა ბევრ დროს მართმევს — თქვა მასმედიასთან ურთიერთობას ნაკლებად ნაჩვევმა პონომარიოვმა — ჭადრაკის გარდა განსაკუთრებული ინტერესები არ გამაჩნია, ხოლო იმ მეოთხედი მილიონი დოლარის დანიშნულება ჯერ ვერ მოვიფიქრე, არ ვიცი, რისთვის დავხარჯავ".

ვისთან უფრო ისურვებდი ფინალის თამაშსო, ჰკითხეს პონომარიოვს და ივანჩუკი დაასახელა. კასპაროვი ამ აზრს ეთანხმება: „ვასიასთან მას შანსი ექნება, რაც თითქმის გამორიცხული იქნებოდა ანანდის შემთხვევაში. აუხსნელი ჩავარდნები, რომლებიც ივანჩუკს თან სდევს, შეიძლება პონომარიოვმა გამოიყენოს. შანსებს ორმოცდათხუთმეტი-ორმოცდახუთზე ვაფასებ ივანჩუკის სასარგებლოდ".

ქალებს კი ყაიმები შეჯავრდათ. რუსმა ალექსანდრა კოსტენიუკმა ფინალის პირველი პარტია მოუგო ჩინელ ჩენ ჟუს, მერე ორი წააგო და რომ ეგონათ, მორჩა, ეგ არისო, შავებით შემოატრიალა საქმე. იმ პარტიაში ჟუ აშკარად ყაიმზე თამაშობდა და ფიგურას ფიგურაზე ცვლიდა. ერთხელ გადაწყვიტა, ლაზიერსაც შევტენი მეტოქესო, მაგრამ კოსტენიუკმა დაფის შემდგომ დაცარიელებას თავი აარიდა და პოზიცია ნელნელა აიწყო. მერე ჩინელმა დათმო ხარისხი და 57-ე სვლაზე დანებდა. შედეგად 2:2 და ტაიბრეიკი... აქ კი თავი იჩინა ჩინელთა ზოგადმა უპირატესობამ ნებისყოფასა და გამძლეობაში: ჟუმ ტაიბრეიკის 4-დან 3 პარტია მოიგო, 1 წააგო — მოკლედ, არცერთი ყაიმი, ქალთა ჭადრაკს კი ახალი ჩემპიონი ჰყავს, ყოფილი დედოფლის თვისტომი.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
|---|
| ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 2,5:1,5; რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) 2,5:1,5 |

| ქალები |
|---|
| ჩენ ჟუ (ჩინეთი) — ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 2:2 |





ევროპის ჩემპიონატი ანტვერპენი (ბელგია)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ემა იგელსტრომი

# საპატარწყლოს არაუშავს!

**მოცურავეთა** შარშანდელი ევროპის ჩემპიონატიდან წამოსულმა კონტინენტურმა დინებამ ამჯერად გეზი ბელგიის ანტვერპენისკენ აიღო.

პატარა წყლის ევროპის ჩემპიონატზე 35 ქვეყნის 370-მდე სპორტსმენი, ვინ 2000 წელს ესპანურ ვალენსიაში მოპოვებული ჩემპიონის ტიტულის დასაცავად, ზოგიც შედეგის გასაუმჯობესებლად იბრძოლებს. თანაც მოსკოვის 2002 წლის „პატარა წყლის" მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ერთგვარ გენერალურ რეპეტიციასაც გაივლიან.

პირველ დღეს მოცურავეებმა მედლების რვა კომპლექტი ჩამოირიგეს. გამარჯვების წყურვილი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ანტვერპენის 25-მეტრიან აუზში რამდენიმე მსოფლიო დონის შედეგის მოწმენი გავხდით.

50 მეტრზე ბრასით ცურვაში შვედმა ემა იგელსტრომმა წინასწარი გაცურვებიდან მოყოლებული ფინალამდე ისე გაწვლო, მეტოქეებს წარმატების არანაირი შანსი არ დაუტოვა. თავად კი შედეგს შედეგზე აუმჯობესებდა. ჯერ საკვალიფიკაციო გაცურვისას აღმოაჩნდა პირველი შედეგი — 31,23, მერე ნახევარფინალში ჩემპიონატის საუკეთესო დრო აჩვენა — 30,72, ხოლო ფინალში სულაც ჩინელი მოცურავეების — ლუო სუესა და ლი ვეის საზიარო მსოფლიოს რეკორდი გაიმეორა — 30,56 და ვალენსიაში მოპოვებული ჩემპიონის ტიტულიც შეინარჩუნა.

„ასეთ შედეგს ველოდი. ვიცი, მეტიც შემიძლია. მინდა, მარტო მე მეკუთვნოდეს მსოფლიოს რეკორდი და ამისთვის კბილებსაც ვილესავ" — საბრძოლო განწყობა აქვს იგელსტრომს.

თანამემამულისგან განსხვავებით, მსოფლიოში საუკეთესო დრო არ გაუმეორებია სტეფან ნისტრანდს, მაგრამ ახლოს კი იყო ახალა მსოფლიოს რეკორთან. მას სულ რაღაც ორი მეასედი წამი დააკლდა ამისთვის. თუმც ევროპის რეკორდით მაინც დატოვა აუზი, თანაც შვედთა ყულაბაში თავისი წილი ოქროც ჩააჩხრიალა და 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ტიტულიც შეინარჩუნა.

„არ მეგონა, თუ ასე სწრაფად გავცურავდი. ასეა თუ ისე, შედეგით კმაყოფილი ვარ. ამჟამად ჩემი მთავარი საზრუნავი 100 მეტრზე პიტერ ვან დენ ჰოგენბანდის დამარცხებაა" — აი, რა სწადია ნისტრანდს. ესეც რომ არა, აქაც ტიტული აქვს დასაცავი. რაც შეეხება ოლიმპიურ ჩემპიონ ჰოგენბანდს, მას მესამე შედეგი აღმოაჩნდა.

როგორც უმეტესად ხდება ხოლმე, კარგად აიღო სტარტი კომპლექსურ ასპარეზობათა დედოფალმა, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, უკრაინელმა იანა კლოჩკოვამ, თუმც გერმანელ ნიკოლ ჰეტცერთან წარმატებისთვის საკმაო ჯაფა დაადგა. 200 მეტრზე კომპლექსურში, ვიდრე საქმე ბოლო თავისუფალ სტილზე არ მიდგა, უკრაინელი გერმანელ მეტოქეს ჩამორჩებოდა, მაგრამ როდესაც ფინიშამდე 20 მეტრიღა რჩებოდა, აქ უკვე კლოჩკოვამ იძალა და ტიტულიც შეინარჩუნა. ახლა მას იგივეს გაკეთება იმავე დისციპლინაში 400 მეტრზეც მოუწევს და, ალბათ, აქაც მას ვიხილავთ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

ევროპულ წყალში არაერთი უშელავათო პაექრობა გაიმართა. მათ შორის ყველაზე დაძაბული 200 მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობა გახლდათ. მთელი პაექრობის განმავლობაში ძნელი იყო იმის განჭვრეტა, ვინ მიიჭრებოდა პირველი აუზის კიდესთან. ასეთი რამ ერთბაშად ხუთ სპორტსმენს შეეძლო. თუ საწყის 50 მეტრზე ბრიტანელმა ნიკოლა ჯეკსონმა მოიპოვა უპირატესობა, 100 მეტრზე მისივე თანამემამულემ გეორგინა ლი დაწინაურდა, მას კი კვალდაკვალ დანიელი სოფია სკიუ მიჰყვებოდა. იგი ლის სულ რაღაც ერთი მეასედი წამით ჩამორჩებოდა, თუმც 150 მეტრის შემდეგ წინ უკვე დანიელი გაიჭრა, ხოლო ამ დროს მეხუთე პოზიციაზე მყოფმა პოლონელმა ოტილია ედრჟეიჩაკმა იმდენი მოახერხა, რომ ყველა მათგანი უკან მოიტოვა და ჩემპიონობაც მოიპოვა.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მესამედ გაიხარა ჩემპიონობით იტალიელმა ემილიანო ბრემბილამ. 400 მეტრზე „თავისუფალში" 1996 და 1998 წლების ევროპის ჩემპიონობას იტალიელმა ერთიც შემატა. არადა, 150 მეტრის გაცურვამდე იგი მეტოქეებს ჩამორჩებოდა, თუმც ამის მერე თავად დაწინაურდა და ფინიში აღარც დაუთმია.

ჩემპიონატის რეკორდით დასრულდა 200 მეტრზე კომპლექსურის ფინალი. რეკორდის ავტორმა, სლოვენიელმა პეტერ მანკოჩმა მანძილი ერთ წუთსა და 56,18 წამში დაფარა.

და მაინც, ევროპის პირველობაზე ყველაზე უკეთ გერმანელები გაისარჯხენ. 4X50 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში არიელთა კვარტეტმა მსოფლიოს რეკორდი ორჯერ გააუმჯობესა. თავდაპირველად მათ ეს საკვალიფიკაციო გაცურვისას შეძლეს, როდესაც შვედებთან ზიარ ამ მიღწევას 37 მეასედი წამი ჩამოაჭრეს — 1.35,14. მოგვიანებით კი ფინალში ხელმეორედ ამოყვეს თავი აუზიდან მსოფლიოს რეკორდსმენებმა — 1.34,78.

„ჩვენ მთელი მონდომებით გავისარჯეთ წინასწარი გაცურვისას და მივხვდით, რომ მეტი შეგვეძლო. ეს დავამტკიცეთ კიდეც" — განაცხადა ოთხეულის ერთ-ერთმა წევრმა მარკ ვარნეკმა.

გერმანელებს კონტინენტურმა დინებამ ასპარეზობის მეორე დღესაც მოუტანა მსოფლიოს რეკორდი. კომბინირებულ ესტაფეტაში წარმატების შემდეგ გერმანელმა ტომას რუპრატმა ამჯერად თანაგუნდელებისგან დამოუკიდებლად შეძლო, ყველაზე სწრაფად გაეცურა — 50,26. 100 მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობისას რუპრატმა გარდა იმისა, რომ შვედი ლარს ფროლანდერი ჩამოიტოვა, მას მსოფლიოს რეკორდიც ჩამოართვა, და ამასთანავე ტიტული შეინარჩუნა.

ფროლანდერმა კი ასეთი მიღწევით შარშან 17 მარტს ათენში გამოიჩინა თავი — 50,44.

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა ინგე დე ბრუინმა საკუთარ მედლების კოლექციას კიდევ ერთი შემატა, თუმც საკმაო ძალისხმევა დასჭირდა, რათა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულს დაეტოვებინა აუზი. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის რეკორდი მაინც დაამყარა — 52,65.

გუშინდელ ასპარეზობებში ერთ მსოფლიოს საუკეთესო შედეგთან ერთად ორი ევროპის რეკორდიც დაემხო. ევროპული წამზომი დროზე ადრე გერმანელმა ანე პოლესკამ 200 მეტრზე ბრასით ცურვისას შეაჩერა — 2.21,93, ხოლო ჩეხმა ილონა ჰლავაკოვამ ეს 100 მეტრზე გულაღმა ასპარეზობისას შეძლო — 57,75.

**გიგა გურასპაშვილი**

### ვაჟები

400 მ. თავისუფალი
1. ემილიანო ბრემბილა (იტალია) 3.41,27
2. იორგ ჰოფმანი (გერმანია) 3.42,09
3. იაკობ ფრილუნდი (დანია) 3.42,28

200 მ. გულაღმა
1. გორდან კოჟული (ხორვატია) 1.53,37
2. იოაბ გათი (ისრაელი) 1.54.15
3. სიმონ დუფო (საფრანგეთი) 1.54,21

200 მ კომპლექსური
1. პეტერ მანკოჩი (სლოვენია) 1.56,18
2. იანი სიევინენი (ფინეთი) 1.56,60
3. ალესიო ბოჯიატო (იტალია) 1.57,52

50 მ. თავისუფალი
1. სტეფან ნისტრანდი (შვედეთი) 21,15
2. ალექსანდრ ვოლინეცი (უკრაინა) 21,60
3. პიტერ ვან დენ ჰოგენბანდი (ჰოლანდია) 21,65

4X50 კომბინირებული
1. გერმანია (სტივ ტელოკი, მარკ ვარნეკი, ტომას რუპრატი, კარსტენ დემლოვი) 1.34,78
2. დიდი ბრიტანეთი 1.35,19
3. შვედეთი 1.35,68

400 მ. კომპლექსური
1. ალესიო ბოჯიატო (იტალია) 4.06,99
2. რობინ ფრანსისი (დიდი ბრიტანეთი) 4.08,49
3. იაკობ ფრილუნდ კარსტენსენი (დანია) 4.08,58

100 მ. ბრასი
1. ოლეგ ლისოგორი (უკრაინა) 59,02
2. ჯეიმს გიბსონი (დიდი ბრიტანეთი) 59,23
3. დანიელ მალეკი (ჩეხეთი) 59,51

100 მ. ბატერფლაი
1. ტომას რუპრატი (გერმანია) 50,26
2. ლარს ფროლანდერი (შვედეთი) 50,58
3. ჯეიმს ჰიკმანი (დიდი ბრიტანეთი) 51,32

50 მ. გულაღმა
1. სტივ ტელოკი (გერმანია) 23,97
2. ანტე მასკოვიჩი (ხორვატია) 24,53
3. პეტერ მანკოჩი (სლოვენია) 24,54

### ქალები

200 მ. კომპლექსური
1. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 2.09,52
2. ნიკოლ ჰეტცერი (გერმანია) 2.09,70
3. ალენკა კეიზარი (სლოვენია) 2.10,82

200 მ. ბატერფლაი
1. ოტილია ედრჟეიჩაკი (პოლონეთი) 2.07,95
2. მეტე იაკობსენი (დანია) 2.08,13
3. გეორგინა ლი (დიდი ბრიტანეთი) 2.08,14

50 მ. ბრასი
1. ემა იგელსტრომი (შვედეთი) 30,56
2. იანე შაფერი (გერმანია) 30,92
3. ვერა ლიშკა (ავსტრია) 31,37

800 მ. თავისუფალი
1. ფლავია რიგამონტი (შვეიცარია) 8.17,20
2. ანია კარნანი (სლოვენია) 8.20,31
3. ირინა უფიმცევა (რუსეთი) 8.23,28

200 მ. ბრასი
1. ანე პოლესკა (გერმანია) 2.21,93
2. მირნა იუკიჩი (ავსტრია) 2.22,26
3. ემა იგელსტრომი (შვედეთი) 2.23,36

100 მ. თავისუფალი
1. ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია) 52,65
2. მარტინა მორავცოვა (სლოვაკეთი) 52,97
3. იოჰანა სიობერგი (შვედეთი) 53,01

100 მ. გულაღმა
1. ილონა ჰლავაკოვა (ჩეხეთი) 57,75
2. სარა პრაისი (დიდი ბრიტანეთი) 59,46
3. ჟანინ პიჩი (გერმანია) 59,79

50 მ. ბატერფლაი
1. ტერეზა ალსამარი (შვედეთი) 25,73
2. ანა-კარინ კამერლინგი (შვედეთი) 25,88
3. ნატალია საუტიგინა (რუსეთი) 27,25

4X50 თავისუფალი
1. შვედეთი (ჯეტრონ კარლსონი, იოანა სიობერგი, ტერეზა ალსამარი, ანა-კარინ კამერლინგი) 1.38,29
2. ჰოლანდია 1.39,02
3. გერმანია 1.39,60

# თამაში ცრემლივით წამ-წამზე ჰკიდია

## ცალი ხელით ცენტრიდან სტყორცნა... არის!

**ხორვატმა** გულშემატკივრებმა თავს უნდა დაბრალონ, რომ მათმა „ზადარმა" სლოვენიურ „კრკასთან" წააგო. 6 დეკემბერს, როდესაც ხორვატიული კლუბი ბელგრადის „პარტიზანს" მასპინძლობდა, გუნდის უნიათო თამაშით უკმაყოფილო ქომაგებმა ჯავრი მსაჯებზე და იუგოსლაველ კალათბურთელებზე იყარეს, ტრიბუნებიდან კენჭები, შუშხუნები, ხურდები და სხვა საგნები დაუშინეს. სანაცვლოდ კი ევროლიგის დისციპლინარებისაგან დაისაჯნენ — „ზადარის" მომავალ საშინაო მატჩზე მშობლიურ „იაზინ ჰალადან" ფეხი ამოიკვეთეს.

სწორედ რომ „კრკასთან" სჭირდებოდა ხორვატიულ გუნდს ქომაგობა. თანაბარ ბრძოლაში მიმდინარე მატჩში გამარჯვებული დამატებით დროში გამოვლინდა და რომ არა უტყვი ტრიბუნები, ადვილი შესაძლებელი იყო, მასპინძლებს ემარჯვათ. მატჩის გმირი კი სლოვენიელი იაკა ლაკოვიჩი გახდა. ამ შეხვედრაში მისი ერთადერთი იარაღი სამქულიანი სროლა იყო. იგი ბევრს ეცადა, საშუალო დისტანციიდან ჩაეგდო, მაგრამ 11 სროლიდან ერთხელ იხეირა, ექვსმეტრიან ხაზსმიღმიდან კი ხუთჯერ ჩააგდო და ნოვომესტოელებს გამარჯვება დაუბევა. გამარჯვებისა კი დამატებითი ხუთწუთეულის დასრულებამდე წამებით ადრე საჯარიმოდან ჩააგდო — 98:97.

A ჯგუფში ამბები დატრიალდა, დედა შვილს არ აიყვანდა. ოთხივე შეხვედრა უდაძაბულესი გამოდგა, რომლებშიც გამარჯვებულთა საბოლოო უპირატესობამ მხოლოდ ქულა შეადგინა. თურქეთით დავიწყოთ, სადაც „ეფესმა" წაგების სიმწარის უჩვევ გულშემატკივარს ზედიზედ მეორე მარცხი აწვნია. მატჩის ფინალი მეტად დრამატული გამოდგა. უნიათოდ დაწყებული თამაში თურქებმა მეფარეების — კასპარას კამბალასა და მეჰმეთ ოქურის მეცადინეობით გამოასწორეს და საფინალო სირენამდე 5 წამით ადრე 79:77 დაწინაურდნენ — მარკუს ბრაუნმა საჯარიმოები ჩააგდო. გადაჭედილი დარბაზი მოგებას ზეიმობდა, როცა პირეოსელმა ჯეიმს ფორესტმა 9 მეტრიდან სირენასთან ერთად სასწაულებრივად ჩააგდო და 8 ათას თურქს ენა მუცელში ჩაუგდო.

კიდევ უფრო დრამატული იყო მალაგაში გამართული მატჩის ბოლო წუთი. ესპანური „უნიკახა" იტალიურ „ბენეტონს" შეერკინა და ბოლო სამი წლის მანძილზე შინ უცხოური კლუბისგან პირველი მარცხი იწვნია. ისევე როგორც სტამბოლში, მასპინძლები აქაც ბოლო წამებზე დამწუხრდნენ. არადა, „უნიკახას" მარცხს „მარტინ კარპენა ჰოლში" შეკრებილი 8500 გულშემატკივრიდან ყველაზე პესიმისტიც ვერ წარმოიდგენდა. ესპანელები მატჩის ბოლო წუთზე 67:62 იგებდნენ, როცა მარსელო ნიკოლამ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ კი მალაგელ მუსტაფა სონკოს დაუფარა და „ბენეტონს" შანსი უბოძა. ბოლო შეტევაში ხორხე გარბახოსას შეეძლო, მალაგელთა ფარს მიახლოვებოდა და შეეტია, მაგრამ მან შორიდან სროლა ირჩია, ჩააგდო და ტრევიზოლული გუნდი ლიდერთა შორის გაამაგრა.

ბელგიურ „შარლერუას" დამატებითი დრო დასჭირდა, რათა პოლონეთში „შლიონსკი" დაემარცხებინა. ამ მატჩში დატრიალებული სასწაულების აღწერას მთელი გვერდი დასჭირდებოდა, მაგრამ მოკლედ გეტყვით და მხოლოდ ციფრებს მოვიშველიებთ, შეხვედრის ძირითადი დროის დამთავრებას 47 წამი უკლდა, მასპინძლები 84:75 იგებდნენ და საბოლოოდ ისე მოხდა, ბელგიელმა ჟაკ სტასმა სირენასთან ერთად მოედნის ცენტრიდან ცალი ხელით გამთანაბრებელი ჩააგდო — 84:84.

ოვერტაიმში კი ყველაფერი პირიქით მოხდა: „შარლერუა" დამატებითი დროის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე 93:87 ლიდერობდა, მაგრამ ახლა მასპინძლებმა გამოიღეს ხელი და მაიკლ ჰოკინსის სროლის შემდეგ ქულით დაწინაურდნენ. შემდეგ ეს საოცარი მატჩი ჯიმ პოტერის სირენასთან ერთად ჩატენვით დასრულდა და ბელგიელებმაც პირველი გასვლით შეხვედრაში გაიმარჯვეს.

ქართველების საევროლიგო მონაგარი კი ამ ტურში 8 წუთი და 6 ქულაა. ეს ყველაფერი ზაზა ფაჩულიას ეკუთვნის, რომლის „ულქერიც" ბრიტანეთს ეწვია და მაჩანჩალა „ლონდონ თაუერზი" კიდევ უფრო დააძაბუნა. ინგლისელებს ჯალათად სლოვენიელი მილან გოლიოვიჩი მოევლინა, რომელიც ყველა წერტილიდან აგდებდა. თურქთა ზორბა შავკანიანი, ბად ელი კი ფარქვეშ გამაგრებულიყო და მისი შემჩერებელი კუნძულელთაგან არავინ აღმოჩნდა. სტამბოლელებმა საქმე პირველი ნახევრის შემდეგვე მოამთავრეს, როცა 40:20 დაწინაურდნენ. დარჩენილ დროში მასპინძელთაგან 29 ქულის მომხვეჭი ბრეტ ეფჰაიმერი ამაოდ ცდილობდა თანაგუნდელთა აყოლებას, მაგრამ ინგლისელებს თავს ზემოთ ძალა არ ეყოთ.

ლიუბლიანის „ოლიმპიამ" მხოლოდ მეოთხე ათწუთეულში გატეხა ბერძნული „პერისტერი". სლოვენიელთა მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა ტრადიციას არ უღალატა და ვლადიმერ ბოისა, როგორც ყველა გასვლით მატჩში, სათადარიგოდ ამყოფა.



ხორხე გარბახოსამ მომძე ესპანელები ბოლო წამებზე გაამწარა

**ირაკლი ბერტაია**




REUTERS

ეფესი — ოლიმპიაკოსი. ჯეიმს ფორესტმა ქრომ ტუნჩერიც (ზურგით) შეაჩერა და მთელი „ეფესიც"

## ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 12-13

### A ჯგუფი

**ეფესი 79:80 ოლიმპიაკოსი**

ეფესი: ბრაუნი (11), ონანი (6), შტომბერგასი (9), ვექილოღლუ (6), თუნჩერი (6), ილმაზი (5), ოქური (18), კამბალა (18)

ოლიმპიაკოსი: პაპალუკასი (3), პაპანიკოლაუ (9), ამანატიდისი (7), რიზაშე (10), ფორდი (18), ტომიჩი (3), ნიკაგბატსე (7), თემურლინგი (6), ჯ. ფორესტი (17), დე მიგელი

**შლიონსკი 94:95 შარლერუა**

(ძირითადი დრო 84:84)

შლიონსკი: პაცესასი (9), ბიგუსი (2), რაიტი (5) ჰოკინსი (16), ზიელინსკი (10), ადომაიტისი (13), ფეტისოვი (16), ენიკისი (9), ტომჩიკი (14)

შარლერუა: ელისი (17), როუვი (9), ჯეროში (6), ვან დე ვონდელი (2), ჰიუგინსი (27), სტასი (19), პოტერი (11), ენგელანტი (4)

**უნიკახა 67:68 ბენეტონი**

უნიკახა: ბ. როდრიგესი, მრშიჩი (7), ფილიპი (7), აბრამსი (9), ვასკესი (4), კაბესასი (4), გუროვიჩი (8), კორნგაი (8), ვეისი (6), სონკო (14)

ბენეტონი: ნიკოლა (10), იდნი (11), პიტისი, მარკონატო (13), ბულერი, ჩიკალკინი (9), ტომიდი (4), ნახბარი (11), გარბახოსა (10)

**ალბა 64:65 მაკაბი**

ალბა: როდლი (8), ი. ლუტკე (6), შულცე (5), პეშიჩი, ფელპსი (16), ოზთურქი, კოტუროვიჩი (8), გარისი (8), ალექსისი (13)

მაკაბი: ჰენფელდი (8), ბრისკერი (3), შარფი (6), ჰაფმანი (10), პარკერი (13), ბურშტეინი, საფარი (7), მაკდონალდი (12), ბეშოქი (6)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 8 | 6 | 2 | 601:564 | 14 |
| ბენეტონი | 8 | 6 | 2 | 679:657 | 14 |
| ოლიმპიაკოსი | 8 | 5 | 3 | 702:632 | 13 |
| ეფესი | 8 | 4 | 4 | 613:613 | 12 |
| უნიკახა | 8 | 4 | 4 | 603:607 | 12 |
| ალბა | 8 | 3 | 5 | 617:633 | 11 |
| შლიონსკი | 8 | 2 | 6 | 591:619 | 10 |
| შარლერუა | 8 | 2 | 6 | 601:681 | 10 |

### B ჯგუფი

**ბარსელონა 90:81 სკაილაინერზი**

ბარსელონა: ი. როდრიგესი, დე ლა ფუენტე (4), ეკონომუ, ოკულაია (11), დიგბე (16), ნავარო (8), დუენიასი (12), იასიკევიჩუსი (15), რენციასი (4), კარნიშოვასი (20)

სკაილაინერზი: სტანესკუ (6), დიარა (4), გორეე (14), როლერი (18), ოსტინი (29), მარასი (4), ლოხმანჩუკი (6)

**ჟალგირისი 91:67 კინდერი**

ჟალგირისი: გინევიჩუსი (7), ხიჟნიაკი (9), ვუდბერი (15), სალენგა (26), ტ. მასიულისი (5), სლანინა (23), ა. მასიულისი (6)

კინდერი: ჯინობილი (14), აბიო, ბეჩიროვიჩი (12), ფროზინი (5), დ. ანდერსენი (4), რიგოდო (10), გრიფიტი (4), სმოდიში (10), იარიჩი (8)

**პერისტერი 67:75 ოლიმპია**

პერისტერი: დინკინსი (11), პაპამაკარიოსი (9), პაპადატოსი (1), პელეკანოსი, პანდაზოპულოსი, ვოიჩიკი (33), ცარცარისი (11), კოუპელი (2)

ოლიმპია: ველში (21), გოლემაცი (21), ილიევსკი (2), მოდრიჩი (2), უდრიში (13), სუბოტიჩი (2), ავოჯობი (10), რადოევიჩი (4), მუეძინოვიჩი

**ლონდონ თაუერზი 75:93 ულქერი**

ლონდონ თაუერზი: ბეიკერი (6), ეფჰაიმერი (29), ჩუნგი (15), ვაიტი (15), ტომიჩი, იონგბლადი, ჰიკი (5), კენტი (3), რობინსი (2)

ულქერი: ლოლისი (12), ფარსი (4), აბი (3), შტელმახერსი (6), გოლიოვიჩი (28), ერდენაი (11), ელი (16), აჩიკი (2), გონლუში (2), ფაჩულია (8 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა), გიულერი (3)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 8 | 6 | 2 | 656:555 | 14 |
| ბარსელონა | 8 | 6 | 2 | 677:608 | 14 |
| ულქერი | 8 | 5 | 3 | 659:562 | 13 |
| ოლიმპია | 8 | 5 | 3 | 609:562 | 13 |
| სკაილაინერზი | 8 | 5 | 3 | 593:627 | 13 |
| ჟალგირისი | 8 | 3 | 5 | 611:627 | 11 |
| პერისტერი | 8 | 2 | 6 | 625:660 | 10 |
| ლონდონი | 8 | 0 | 8 | 526:725 | 8 |

### C ჯგუფი

**ცსკა 80:69 პო ორტეზი**

ცსკა: მაკენტსი (10), მორგუნოვი (7), გორიჩევი (23), პაშუტინი (14), მიგლინიეკსი, დომანი (7), პეტრენკო (19)

პო ორტეზი: ფოტუ (8), ლუკოვსკი (14), მ. პიეტრუსი, დროზდოვი (7), ქსტელერი (11), ფ. პიეტრუსი (8), ლუისი, დიავი (2), მილინგი (3), სელერსი (16)

**სკიპერი 77:79 პანათინაიკოსი**

სკიპერი: გოლდვაირი (4), ბაზილე (11), ფუჩკა (14), ვეტიმოვი (10), საგიჩი (5), მენეგინი (13), მილიჩი (10), კოვაჩიჩი (2), გალანდა (8)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (9), სანჩესი (14), ჯ. როჯერსი (2), მულაომეროვიჩი (12), ბოდიროგა (24), დ. მიდლტონი (9), ალბანო (6), პაპადოპულოსი (2), გიანულისი (1)

**რეალი 90:71 ბუდუჩნოსტი**

რეალი: ა. ანგულო (6), სტრიულენსი (12), ჯორჯევიჩი (8), ლ. ანგულო (10), დუშან ვუკჩევიჩი (13), ტაბაკი (2), ერეროსი (9), ტარლაჩი (11), ლორენტე (1), იტურბე (7), ერნანდესი (3), იუმინი (8)

ბუდუჩნოსტი: ბაკიჩი (3), არსიჩი (2), სმილიანიჩი, რადონიჩი (11), რაკოჩევიჩი (16), სეკულიჩი (6), დრაგან ვუკჩევიჩი, რადუნოვიჩი (2), კუზმანოვიჩი (6), ჩაბარკაპა (13), პავლოვიჩი, იესტრატიევიჩი (12)

**ზადარი 97:98 კრკა**

(ძირითადი დრო 87:87)

ზადარი: ვლადონიჩი (7), რობინსონი (19), პერიჩიჩი (2), სპრალია (5), მარცელიჩი (21), დიანი (17), რუჟიჩი (10), ოდუკა (8), გრგატი (8)

კრკა: ანზულოვიჩი (7), გნიდიჩი (7), სკელინი (17), ლაკოვიჩი (20), ბენეტი (20), გრუში (4), დრობნიაკი (7), ჩაპინი (3), სამანიჩი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 8 | 7 | 1 | 682:597 | 15 |
| რეალი | 8 | 6 | 2 | 681:626 | 14 |
| ცსკა | 8 | 5 | 3 | 703:665 | 13 |
| პო ორტეზი | 8 | 4 | 4 | 656:656 | 12 |
| სკიპერი | 8 | 3 | 5 | 699:690 | 11 |
| კრკა | 8 | 3 | 5 | 694:715 | 11 |
| ზადარი | 8 | 2 | 6 | 653:719 | 10 |
| ბუდუჩნოსტი | 8 | 2 | 6 | 622:722 | 10 |

### D ჯგუფი

**აეკ 87:65 ვილერბანი**

აეკ: ჰოლდენი (18), ანტიჩი (2), ზისისი (2), კომაზეცი (21), ხაძისი (5), კიკილიასი (2), დიკუდისი (18), ბილბა (2), პასხალისი, ბეტსი (14), კაკიუზისი (3)

ვილერბანი: რადულოვიჩი (6), სი (9), ვუიჩიჩი (14), ბონატო (15), მრაზეკი, პეტროვი (2), ჰილი (3), ნევსი (5), სელესტენდი (11)

**ტაუ 81:58 ციბონა**

ტაუ: სკოლა (10), ნოჩიონი (5), ბენეტი (8), ლ. ფორესტი (18), ვიდალი, ტიმინსკასი (10), სკონოჩინი (2), ტომაშევიჩი (20), ობერტო (6), კორჩიანი (2)

ციბონა: ლონგინი (4), კუში, სესარი (17), პრკაჩინი (2), ბოუმენი (2), პლანინიჩი (2), რაჯა (13), მამიჩი (5), ფრიმენი (5), ჯიდიჩი, ოკულსკი (8)

**ოსტენდე 104:94 პარტიზანი**

(ძირითადი დრო 83:83)

ოსტენდე: მაიორი (4), ვან პაასენი (6), ბეგინი (5), ჩიზმიჩი (3), გედრაიტისი (29), ბიგსი (31), მენამა, კოტა (23), პრაშკევიჩუსი (3)

პარტიზანი: შჩეპანოვიჩი (30), პეტროვიჩი (7), ნადფეი, გაიჩი (2), ოსტოიჩი (2), სტანოევიჩი (21), მატერიჩი (4), გლინტიჩი, კრსტიჩი (3), ავდალოვიჩი (17), ჩანაკი (8)

**სკავოლინი 103:85 ურალ გრეიტი**

სკავოლინი: ბერიჩი (23), ბუკერი (10), ფერი, გიგენა (20), პეჩილე (4), ტრაინა (11), ტუშეკი (9), მაჯოლი (6), ბლერი (20)

ურალ გრეიტი: შუმაკოვი (7), ბაშმინოვი (19), პანოვი (1), კარასიოვი (10), შეიკო (4), ვაიშვილა (11), ავლეევი (21), დაინეკო (10), პეტრაიტისი, ბოუი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 8 | 6 | 2 | 686:605 | 14 |
| ტაუ | 8 | 5 | 3 | 714:616 | 13 |
| სკავოლინი | 8 | 5 | 3 | 661:640 | 13 |
| ურალ გრეიტი | 8 | 5 | 3 | 678:683 | 13 |
| პარტიზანი | 8 | 5 | 3 | 660:681 | 13 |
| ვილერბანი | 8 | 3 | 5 | 601:654 | 11 |
| ციბონა | 8 | 2 | 6 | 595:660 | 10 |
| ოსტენდე | 8 | 1 | 7 | 641:697 | 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# გრანტ ჰილის კოჭი მაკგრეიდისთვის გაგორდა




დენვერი — ვანკუვერი. სხვა ესპანელ-ლათინელებთან ერთად „დენვერს“ „ვანკუვერის“ ესპანელი თავდამსხმელი პაუ გასოლიც უტევს

13 დეკემბერი

**დენვერი 89:86 მემფისი**

დენვერი: ლენარდი (25), ვან ექსელი (20 ქულა, 14 მოხსნა)

მემფისი: ბეტიე (19), გასოლი (15 ქულა, 13 მოხსნა)

**ინდიანა 108:106 ჰიუსტონი**

(ძირითადი დრო 96:96)

ინდიანა: მილერი (25), ჰარინგტონი (23 ქულა, 15 მოხსნა), ონილი (23), როუზი (20)

ჰიუსტონი: ტორესი (24), ტომასი (22), მობლი (18)

**დალასი 102:82 კლივლენდი**

დალასი: ფინლი (22), ნეში (17), ჰარდევეი (17)

კლივლენდი: მიური (23)

**გოლდენ სტეიტი 100:105 ორლანდო**

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (25), დამპიე (21 ქულა, 10 მოხსნა), ჰიუზი (18 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

ორლანდო: მაკგრეიდი (40)

**დეტროიტი 99:97 ნიუ იორკი**

დეტროიტი: უილიამსონი (24), სტეკჰაუზი (19 ქულა, 13 პასი)

ნიუ იორკი: სპრიუელი (22), კემბი (20 ქულა, 16 მოხსნა), ჰიუსტონი (19), ჯექსონი (18)

**შარლოტი 104:90 ტორონტო**

შარლოტი: ნეილონი (19), კემბელი (18), დევისი (17 ქულა, 15 პასი), ვესლი (16)

ტორონტო: კარტერი (31), უილიამსი (21)

ახლა, როცა ირკვევა, რომ „ორლანდოს“ პოტენციურ ლიდერ (თუმც ვერ გალიდერებულ) გრანტ ჰილს ამ წელიწადში კოჭზე მესამე ოპერაციის გაკეთება დასჭირდება, ფლორიდულმა კლუბმა მეტად დააფასა 22 წლის სუპერჯეელი ტრეისი მაკგრეიდი. სეზონის დასაწყისში ერთგვარად შეზღუდულმა მაკგრეიდიმ ახლა შეტევაში სრული თავისუფლება მიიღო და ისიც ამოქმედდა. „გოლდენ სტეიტის“ კალათის დალაშქვრა მაკგრეიდიმ თამაშიდან 30-ჯერ სცადა, 19 წარმატებით დაასრულა და ოთხი ათეული ქულაც მოუგროვდა. მაკგრეიდის შეეშველნენ წინა სეზონის საუკეთესო ახალბედა მაიკ მილერი (15 ქულა) და ბეხრეკი პატრიკ იუინგი (14 ქულა) და „მეჯიქმაც“ ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ ამოისუნთქა.

შაბათს „ინდიანას“ დამარცხებით „ნიუ იორკის“ ახალი მთავარი მწვრთნელის დონ ჩეინის იღბლიანი დებიუტი შედგა, რამაც „ნიქსის“ ქომაგებს გული უკეთესი მომავლის იმედით ალღვსო, თუმც მას შემდეგ „ნიუ იორკმა“ აგერ მეორედ წააგო და აღმოსავლეთის ცხრილის შუაში გაიჩხირა. „ნიქსს“ კვლავ რამდენიმე ქულა დააკლდა, „ბოსტონთან“ ოვერტაიმში მარცხს „დეტროიტთან“ 97:99 მოჰყვა. რაც შეეხება „დეტროიტს“, ამ გამარჯვებამ ავტოქალაქელები მისისიპის გადმოღმა კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე დატოვა. „დეტროტის“ ლიდერმა ჯერი სტეკჰაუზმა კარიერაში უმეტესი, 13 პასის შეგროვებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სუპერვარსკვლავობისკენ და შეეცადა იმის დამტკიცებას, რომ ნამდვილი თამაში, რაც ბურთის ჩაგდებასთან ერთად გუნდურ მოქმედებასაც გულისხმობს, მისთვის უცხო არ არის.

კვლავ აღმოსავლეთ საშუალოწონოსნებში რჩება „შარლოტ ჰორნეთსი“, რომელიც კარგა ხანია, მთავარ დამრტყმელ ძალას, ჯამალ მაშბურნს მოისაკლისებს და როგორც თეთრხალათიანი პროფესორები ამბობენ, კიდევ ოთხი-ექვსი კვირით ვერ ეღირსება ლიდერს. „შარლოტის“ მიერ ძლეული „ტორონტოც“ შუაშია, მხოლოდ მას ცოტა ზევით სურს ყოფნა. ისიც ახსოვს, რომ ამისთვის სხვებზე მეტი თამაშის მოგებაა საჭირო, მაგრამ ცოდნა ერთია და შესრულება მეორე.

საშუალო გაქანების გუნდებით გადაჭედილ აღმოსავლეთში კიდევ ერთი, „ინდიანა პეისერზი“ ცდილობს წინ წაწევას, მაგრამ ეს ცუდად გამოსდის. იქნებ იმიტომ, რომ გუნდის მთავარი ძალა, ახალგაზრდობა, უგულოდ უგდებს ყურს გამოცდილთ, მაგალითად, რეჯი მილერს და მოგებებთან ერთად წაგებებიც ბლომად უგროვდებათ. ამ ხუთშაბათს ძველმა სნაიპერმა რეჯი მილერმა ვარსკვლავთსენშეყრილ ყმაწვილებს თავი და წარსული შეახსენა, როცა პირადად წყვეტდა მატჩის ბედს. „ინდიანამ“ სწორედ ბებერი ოქროსხელება რეჯის მარჯვენის წყალობით მოუგო გაძალიანებულ „ჰიუსტონს“. „ჰიუსტონს“ აქამდე ზედიზედ თერთმეტი წაეგო და ნავსის გასატეხად კბილებით ომობდა. მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 0,6 წამით ადრე ჰიუსტონელმა მუჩი ნორისმა სამქულიანი ჩააგდო, ანგარიში გაათანაბრა (96:96) და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. უხვქულიან დამატებით დროში გადამწყვეტი აღმოჩნდა რეჯი მილერის სამქულიანი. მილერისთვის 25 ქულა სეზონის რეკორდია.

ნავსი გატეხა რასისტულ სკანდალში გახვეულმა „დენვერ ნაგიტსმა“. მთავარი მწვრთნელის, დან აისელის გარეშე დარჩენილმა კოლორადოელებმა ხუთმატჩიანი წამგებიანი სერია ტრავმათა გამო რიგებშეთხელებული „მემფისის“ გაჭირვებით ძლევით დაასრულეს. მატჩის გმირის სახელი ირგუნა დენვერელმა ვოშონ ლენარდმა, რომელმაც 25 ქულიდან 13 ბოლო მეოთხედში მოინაგრა.




ეს ქალი სხვებისგან დაგბენილ „დენვერს“ გვერდში უდგას

# ქარიშხალი „ნადი“

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში, კონკრეტულად კი ქალაქ დენვერში, აჟიოტაჟი არ წყდება. ღელავს ქალაქის ლათინური წარმოშობის მოსახლეობა და ბოიკოტით, გაფიცვებით და სხვა ამგვარი არეულობებით იმუქრება იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის საკალათბურთო კლუბ „ნაგიტსის“ ხელმძღვანელობა ესპანურენოვან გულშემატკივრის მაგინებელ, გუნდის მწვრთნელ დან აისელს არ გადააყენებს. 11 დეკემბერს შინ „შარლოტთან“ დამარცხების შემდეგ „დენვერის“ თავკაცმა, ცხენად წოდებულმა დან აისელმა ტრიბუნიდან გულშემატკივრის გინებას გინებითვე უპასუხა — „წაეთრიე, შე მექსიკელო...“

გინებაში სიტყვა „მექსიკელოს“ ხმარება ქვეყნის ესპანური ძირის მოქალაქეებმა რასიზმის გამოვლინებად ჩათვალეს და ტალღაც აგორდა. კლუბი იძულებული გახდა, აისელისთვის ჯერ ოთხი თამაშის ხელფასი დაექვითა, შემდეგ კი სულაც ამ ოთხი შეხვედრის გამოტოვებით დაესაჯა. აისელმა ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ, ვერც ამან ჩააცხრო ქარიშხალი (ამ სიტყვის ხმარებას არ ერიდებიან ჩვენი ოკეანგაღმელი კოლეგები).

განსაკუთრებით აქტიურობს ესპანური სავაჭრო სახლი, რომლის წარმომადგენელმა ვერონიკა ბარელამ ამას წინათ პრესკონფერენციაზე „ცხენის“ გადაყენება მოითხოვა და დღემდე ითხოვს ამას. „ის გასახდელისკენ მიმავალი შეჩერდა და ტრიბუნებს ახედა, ხოლო როდესაც გულშემატკივარში „ლათინელი“ შეიცნო, გინებაში ხაზი გაუსვა მის წარმოშობას. ჩემი აზრით, მისი სიტყვები გულიდან მოდიოდა. ეს სხვა არაფერია, თუ არა რასიზმი და ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება ემსხვერპლოს ამას. ის, რომ ბატონი აისელი იმ დროს გაღიზიანებული იყო და შეურაცხმყოფელს უპასუხა, ეს ბუნებრივია, მაგრამ საკუთარმა თავმოყვარეობამ ხელი შეუშალა, დაეფარა ის ზიზღი, რომელსაც „მექსიკელების“ მიმართ გრძნობს. მან გამოავლინა რასიზმი სახალხოდ, ათასობით ადამიანის დასანახად. ბატონმა აისელმა ბოდიში მოიხადა და ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ თავის საქციელს ნანობს. მაგრამ მე ვერ დავიჯერებ, რომ მისი სინანული ალალია და არა ადგილის დაკარგვის შიშით ნასაზრდოები.“ — აი ასეთი განცხადება გააკეთა ქალბატონმა ბარელამ. ის დან აისელის გადაყენებას მოითხოვს და აცხადებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ესპანური სავაჭრო სახლი შეწყვეტს კლუბთან ურთიერთობას. ეს ორგანიზაცია „ნაგიტსს“ ეხმარება ბილეთების გასაღებაში და როგორც იტყობინება, უკვე ასზე მეტი „მექსიკელი“ გულშემატკივარი ითხოვს ბილეთის უკან დაბრუნებას.

აისელის გადადგომისთვის იბრძვიან აგრეთვე ვაშინგტონში დაფუძნებული ლათინო-ამერიკელი მოქალაქეების გაერთიანებული ლიგა, ცალკეული მოქალაქეები (აღარ დავაკონკრეტებთ წარმოშობით სადაური), ერთი სიტყვით, ყველა, ვინც აშშ-ს საზღვრებს გარეთ, ვთქვათ, მექსიკაში ან ვენესუელაში დაბადებულა, ცხოვრება კი ამ დოვლათუხვ ქვეყანაში სწადია.

ამასობაში გამოჩნდა აისელის გინების სამიზნე, 23 წლის ჯეელი, სახელად... ბობ ბოუმენი. მთელი ირონია იმაშია, რომ ეს ყმაწვილი არ გახლავთ მექსიკელი და საზოგადოდ არც ლათინელია. როგორც ჩანს, აისელმა ან გარეგნული იერით მიამსგავსა მექსიკელს, ანაც ვინმე მეზობელში აერია. პრესამაც „მექსიკელად“ მონათლა და შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება. ასე რომ, ირკვევა, ქალბატონმა ვერონიკა ბარელამ და სხვა მისთანებმა არც იცოდნენ, რომ მხარს უჭერდნენ არა მონათესავე სისხლის ადამიანს, არამედ უცხოტომელ უზრდელ ბიჭუნას, რომელმაც, დაუსჯელობაში დარწმუნებულმა, შეურაცხყო პატივცემული პირი.

სხვათა შორის, ბობ ბოუმენიც ითხოვს აისელის გადაყენებას, ოღონდ არა რასისტული სიტყვების გამო, არამედ მისი გუნდის უხეირო შედეგისთვის.

**ირაკლი ფირცხილი**



მსოფლიოს ჩემპიონატი ქალები

# ევროპელი ქალებისთვის მსოფლიო ზედმეტია

**იტალიაში** მიმდინარე ქალ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი მთავარი მატჩიღა დარჩა გასამართი. დღეს ორი ნახევარფინალია, ხვალ კი ფინალური ბრძოლა და მესამე ადგილისთვის შეხვედრაა.

მეოთხედფინალში ყველაზე დაძაბული დანია — ავსტრიის დაპირისპირება გახლდათ. ოლიმპიურ ჩემპიონ სკანდინაველებს თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ სადღეისოდ არც ისე ძლიერი მეტოქის ძლევა, მაგრამ ავსტრიელებმა ფავორიტებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს: პირველ ტაიმში ძალები თანაბარი იყო — 15:15 და მწვავე ბრძოლა არც შესვენების შემდეგ განელებულა. ფიასკოს წინაშე მდგომმა ჩემპიონებმა მატჩის მიწურულს წუთშესვენების უფლებაც გამოიყენეს და როგორც იქნა, მოახერხეს გამარჯვება. ავსტრიელებს მათი ბომბარდირის, ლიტვური წარმოშობის აუშრა ფრიდრიკასის სარეკორდო, 14-გოლიანმა შედეგიანობამაც ვერ უშველა.

ყველაზე ადვილად გაალწიეს გათამაშების ამ სტადიაზე იუგოსლავიელებმა, თუმცა საკმაოდ მოულოდნელად, რადგან ისინი ბოლო წლებში ოლიმპიურ და მსოფლიო სარბიელზე მეოთხედფინალს პირველად გასცდნენ.

ერთ-ერთ ფავორიტ რუსეთსაც არ გასჭირვებია მოგება, მიუხედავად იმისა, რომ სიდნეის ოლიმპიადის ვიცეჩემპიონ უნგრეთისა და სლავების შანსებს სპეციალისტები თამაშის წინ თანაბრად აფასებდნენ. რუსებმა თავბრუდამხვევი შეტევებისა და მათი საუკეთესო მოიერიშის ანა კარეევას შედეგიანობის (9) წყალობით პრაქტიკულად უკვე პირველი ტაიმის მოგებით — 15:10 გადაწყვიტეს მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ.

საბოლოო ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფრანგებს მსოფლიოს ჩემპიონ ნორვეგიელებისთვის დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ჩემპიონთა თამაშის ხარისხი მეტოქისას თავიდანვე აშკარად სჯობდა. მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო ფრანგთა მთავარი მეგოლე ლეილა ლეჟენე, რომელმაც ამჯერად რვა შედეგიანი ტყორცნა მიითვალა.

***ნახევარფინალში ერთმანეთს რუსეთი — დანია და იუგოსლავია — ნორვეგია შეხვდებიან.***

**გია ახალაძე**

| მეოთხედფინალი | | |
| --- | --- | --- |
| დანია | 27:26 | ავსტრია |
| რუსეთი | 30:23 | უნგრეთი |
| იუგოსლავია | 32:18 | შვედეთი |
| ნორვეგია | 29:26 | საფრანგეთი |



ასე იცის ერთი გოლით ბოლო წუთებზე გამარჯვებამ: ხარობენ დანიელები კრისტინა ანდერსენი და ლენე რანტალა (№ 1)

**გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.30 | 002 | ჰერტა-ლევერკუზენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.30 | 003 | ნიურნბერგი-ზტ. პაული | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-დორტმუნდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 006 | კიოლნი-კოტბუსი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.30 | 007 | ჰანზა-ბაიერნი | 4,0 | 3,2 | 1,75 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ვოლფსბურგი-შალკე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XVII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 013 | ბაბელსბერგი-აინტრახტი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 18.00 | 014 | როიტლინგენი-ზაარბრიუკენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | ჰანოვერი-ფიურტი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 18.00 | 016 | მაინცი-უნიონი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.00 | 017 | ბოხუმი-ალემანია | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.00 | 018 | ვალდჰოფი-შვაინფურტი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXI ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 023 | მიუნსტერი-ლიუბეკი | 3,5 | 3,3 | 1,85 |
| 17.00 | 024 | კოლი-ოსნაბრიუკი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 17.00 | 025 | დიუსელდორფი-ლევერკუზენი(მ.) | 2,2 | 3,2 | 2,9 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 026 | ვერდერი (მ.)-ურდინგენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი) გადადებული მატჩები.**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 027 | ანსბახი-რეგენსბურგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 17.00 | 028 | ელვერსბერგი-შტუტგარტი (მ.) | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 029 | ელვერსბერგი-შტუტგარტი (მ.) 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 030 | აალენი-ზიგენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 034 | ბოლტონი-ჩარლტონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 035 | ევერტონი-დერბი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 036 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 19.00 | 037 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 038 | საუთჰემპტონი-სანდერლენდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 039 | ტოტენჰემი-ფულემი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 040 | ვესტ ჰემი-არსენალი | 3,5 | 3,2 | 1,9 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 041 | ლიდსი-ლესტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 042 | ლიდსი-ლესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.00 | 043 | ჩელსი-ლივერპული | 2,4 | 3,1 | 2,6 |

17 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 044 | ასტონ ვილა-იფსვიჩი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXIV ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 050 | ბარნსლი-სტოკპორტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 051 | ბარნსლი-სტოკპორტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 052 | ქროუ-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 053 | ჯილინგემი-უოლსლი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 054 | ნორვიჩი-ქოვენტრი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 055 | როტერჰემი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 056 | უოლსოლი-გრიმსბი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 057 | უოტფორდი-კრისტალ პალასი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 058 | ვულვერჰემპტონი-ბირმინგემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.15 | 059 | სიტი-ბრედფორდი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.15 | 060 | უიმბლდონი-ნოტინგემი | 2,1 | 3,1 | 3,4 |

**ინგლისი. II დივიზიონი. XXII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 063 | ბლეკპული-კარდიფი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 064 | ბრენტფორდი-რექსემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 065 | ბრენტფორდი-რექსემი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 066 | კემბრიჯი-ბრისტოლი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 067 | ჩესტერფილდი-ქუინზ პარკი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 068 | კოლჩესტერი-პიტერბრო | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 069 | ნორთჰემპტონი-ბორნმუთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 070 | ნოტსი-ბერი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 071 | ოლდემი-უიგანი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 072 | სტოკი-უიკომბი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 073 | სუინდონი-ჰადერსფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 074 | ტრანმერი-პორტ ვეილი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XXII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 075 | რივერსი-ჰარტლპული | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 076 | ექსეტერი-კიდერმინსტერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 077 | ჰალიფაქსი-შრიუსბერი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 078 | ლინკოლნი-ტორკი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 079 | ლუტონი-რაშდენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 080 | მაკლსფილდი-ლეიტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 081 | ოქსფორდი-მენსფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 082 | პლიმუთი-დარლინგტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 083 | როჩდეილი-საუთენდი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 084 | სკანთორპი-ჰალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 085 | სუონსი-კარლაილი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 086 | იორკი-ჩელტენემი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

**იტალია. სერია „ა“. XV ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 087 | ინტერი-კიევო | 1,55 | 3,2 | 6,5 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 088 | ატალანტა-პარმა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 18.00 | 089 | ბოლონია-პერუჯა | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 18.00 | 090 | ფიორენტინა-ბრეშა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 091 | იუვენტუსი-პიაჩენცა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 092 | იუვენტუსი-პიაჩენცა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 18.00 | 093 | ლეჩე-ტორინო | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 18.00 | 094 | ვენეცია-უდინეზე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 095 | ვერონა-ლაციო | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 23.30 | 096 | რომა-მილანი | 2,0 | 2,8 | 3,8 |

**იტალია. სერია „ბ“. XVII ტური**

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 098 | ანკონა-მოდენა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 099 | კომო-სამპდორია | 1,8 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 100 | კოზენცა-კალიარი | 1,8 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 101 | ჯენოა-ემპოლი | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 102 | მესინა-ბარი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 103 | სალერნიტანა-პალერმო | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 18.00 | 104 | სიენა-ჩიტადელა | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 18.00 | 105 | ტერნანა-კროტონე | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 106 | ვიჩენცა-რეჯინა | 2,2 | 2,6 | 3,5 |

**იტალია. სერია „ც1-ა“. XVI ტური**

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 107 | ალბინოლეფე-ჩეზენა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 17.30 | 108 | კარარეზე-არეცო | 1,85 | 2,7 | 4,7 |
| 17.30 | 109 | ლეკო-პიზა | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 17.30 | 110 | ლივორნო-ტრევიზო | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 17.30 | 111 | ლუკეზე-ალძანო | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 17.30 | 112 | პადოვა-სპეცია | 3,1 | 2,6 | 2,4 |
| 17.30 | 113 | რეჯანა-მონცა | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 17.30 | 114 | სპალ-ლუმეცანე | 1,95 | 2,7 | 4,2 |
| 17.30 | 115 | ტრიესტინა-ვარეზე | 2,0 | 2,8 | 3,8 |

**იტალია. სერია „ც1-ბ“. XVI ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 120 | აკილა-ბენევენტო | 1,8 | 2,8 | 4,7 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 116 | ასკოლი-ჯულიანოვა | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 17.30 | 117 | აველინო-ლოდიჯანი | 1,55 | 3,1 | 6,0 |
| 17.30 | 118 | დი სანგრო-კატანია | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| 17.30 | 119 | კროტი-ვიტერბეზე | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 17.30 | 121 | ლანჩანო-ფერმანა | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 17.30 | 122 | ტორესი-ნოჩერინა | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 17.30 | 123 | ტარანტო-სორა | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 17.30 | 124 | პეზარო-პესკარა | 2,9 | 2,5 | 2,6 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. XVII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 125 | რეალი-სოსიედადი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 126 | რეალი-სოსიედადი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 00.30 | 127 | ესპანიოლი-ვალენსია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 01.00 | 128 | ლას პალმასი-ოსასუნა | 1,7 | 3,1 | 4,7 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 129 | ვილიარეალი-ბარსელონა | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 20.00 | 130 | სელტა-სარაგოსა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 131 | ბილბაო-რაიო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 132 | ბილბაო-რაიო 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 20.00 | 133 | ვალიადოლიდი-ტენერიფე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 134 | ბეტისი-მალიორკა | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 21.00 | 135 | ალავესი-სევილია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 136 | მალაგა-დეპორტივო | 2,8 | 3,1 | 2,3 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XIX ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 137 | ლევანტე-სპორტინგი | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 21.30 | 138 | სერესი-ხიმნასტიკი | 1,5 | 3,0 | 7,5 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 139 | ლეგანესი-ბადახოსი | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 15.00 | 140 | რასინგი-მურსია | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 20.00 | 141 | სალამანკა-უელვა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 20.00 | 142 | ფეროლი-ნუმანსია | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 20.00 | 143 | ეიბარი-ალბასეტე | 2,3 | 2,6 | 3,3 |
| 20.00 | 144 | ხაენი-კორდობა | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 20.00 | 145 | ბურგოსი-ელჩე | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 20.00 | 146 | ესტრემადურა-ატლეტიკო | 4,2 | 2,8 | 1,9 |
| 20.00 | 147 | ოვიედო-პოლი ეხიდო | 1,45 | 3,0 | 7,5 |

**პორტუგალია. I ლიგა. XV ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 148 | ლეირია-ჟილ ვისენტე | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 149 | ბელენენსეში-გიმარაეში | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 151 | ბეირა მარი-სანტა კლარა | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 20.00 | 152 | სალგეიროში-მარიტიმუ | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 21.00 | 153 | სეტუბალი-ფერეირა | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 21.00 | 154 | ალვერკა-ფარენსე | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 155 | პორტუ-ბრაგა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 156 | პორტუ-ბრაგა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 23.00 | 150 | ვარზიმი-ბოავიშტა | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 01.00 | 157 | ბენფიკა-სპორტინგი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**პორტუგალია. II ლიგა. XV ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 159 | ოლივეირენსე-რიუ ავე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 160 | ოვარენსე-ლამაში | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 161 | ნავალი-შავეში | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 162 | ფელგეირაში-ავეში | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 163 | მორეირენსე-აკადემიკა | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 164 | ამადორა-ნასიონალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 165 | კამპომაიორენსე-მაია | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 166 | პორტიმონენსე-ლეცა | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 01.00 | 167 | პენაფიელი-ესპინიუ | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. XVIII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 169 | ტვენტე-ალკმაარი | 1,85 | 3,2 | 3,5 |
| 22.30 | 170 | გრააფსხაპი-ტილბურგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 22.30 | 171 | როდა-აიაქსი | 3,2 | 3,2 | 1,95 |
| 22.30 | 172 | დენ ბოსხი-ვიტესი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 173 | ფეიენოორდი-პსვ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 17.30 | 174 | ვალვაიკი-სპარტა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.30 | 175 | ნაიმეგენი-ჰერენვენი | 2,6 | 3,1 | 2,3 |
| 17.30 | 176 | გრონინგენი-უტრეხტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. XVIII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 182 | როზენდალი-იგლსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.30 | 183 | ზვოლე-მაასტრიხტი | 1,35 | 3,8 | 5,0 |
| 22.30 | 185 | ვეენდამი-ვენლო | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 186 | ვეენდამი-ვენლო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.30 | 187 | ემენი-ვოლენდამი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.30 | 188 | ჰელმონდი-ეინდჰოვენი | 1,75 | 3,4 | 3,4 |

**ბელგია. II დივიზიონი. XVII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 189 | დესელი-დაინცე | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 190 | მეხელენი-მონსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 191 | პატრო-ფლაანდერენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 192 | სერული-ტინენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 193 | ინგელმუნსტერი-ვირტონი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 194 | ვიზეტი-ჰეუსდენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.30 | 195 | დენდერლეუ-სტრომბეკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 17.30 | 196 | რონსე-ლიეჟი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 197 | რუზელარე-გეელი | 1,9 | 3,0 | 3,8 |

**საბერძნეთი. X ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 202 | პანაჰაიკი-ირაკლისი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 204 | აკრატიტოსი-ოლიმპიაკოსი | 5,6 | 3,4 | 1,45 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 198 | ქსანთი-პანიონიოსი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 17.00 | 201 | ეგალეო-ეონიკოსი | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| 17.00 | 205 | პაოკ-ოფი | 1,4 | 3,5 | 6,5 |
| 19.00 | 199 | აეკ-არისი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 200 | აეკ-არისი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 21.00 | 203 | იონიკოსი-პანათინაიკოსი | 4,7 | 3,3 | 1,6 |

**თურქეთი. XVI ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 208 | გაზიანთეფი-იოზგათი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 15.30 | 209 | ანთალია-სამსუნი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 15.30 | 210 | დენიზლი-ანკარაგიუჯიუ | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 21.00 | 211 | გიოზთეფე-ბეშიქთაში | 4,0 | 3,1 | 1,8 |

16 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 212 | რიზე-ისთანბული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 15.30 | 213 | გენჩლერბირლიგი-ტრაბზონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 15.30 | 214 | მალათია-დიარბაქირი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 21.00 | 215 | გალათასარაი-ქოჯაელი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 216 | გალათასარაი-ქოჯაელი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. XVIII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 219 | სელტიკი-დანდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 220 | სელტიკი-დანდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 221 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 222 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 223 | ჰართსი-კილმარნოკი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 224 | ლივინგსტონი-სტ. ჯონსტონი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 225 | ლივინგსტონი-სტ. ჯონსტონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 21.35 | 226 | მაზერუელი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,45 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. XIX ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 227 | ერდრი-რეითი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 228 | ერდრი-რეითი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 229 | კლაიდი-ინვერნესი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 230 | ფოლკირკი-ეარი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 231 | პარტიკი-სტ. მირენი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 19.00 | 232 | როსი-არბროთი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. XVII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 233 | ალოა-ქუინი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 234 | ბერიკი-ფორფარი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 235 | მორტონი-ჰამილტონი | 2,1 | 3,3 | 3,0 |
| 19.00 | 236 | სტენჰაუზმური-კოუდენბითი | 1,9 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 237 | სტრანრარი-კლაიდბენკი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. XVII ტური**

15 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 238 | დამბარტონი-ისტ ფაიფი | 1,65 | 3,5 | 4,2 |
| 19.00 | 239 | მონტროუზი-ელგინი | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 19.00 | 240 | პიტერჰედი-ალბიონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 241 | ქუინზ პარკი-სტერლინგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

## 927 მსოფლიო ჩემპიონატი

| | |
|---|---|
| არგენტინა | 4,0 |
| ბრაზილია | 4,0 |
| იტალია | 5,0 |
| ინგლისი | 5,0 |
| საფრანგეთი | 6,0 |
| გერმანია | 8,0 |
| ესპანეთი | 10,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| ნიგერია | 25,0 |
| პარაგვაი | 40,0 |
| შვედეთი | 40,0 |
| კამერუნი | 40,0 |
| რუსეთი | 50,0 |
| პოლონეთი | 50,0 |
| ურუგვაი | 50,0 |
| ირლანდია | 50,0 |
| დანია | 50,0 |
| ხორვატია | 50,0 |
| ბელგია | 50,0 |
| სამხრეთ აფრიკა | 50,0 |
| მექსიკა | 50,0 |
| იაპონია | 75,0 |
| თურქეთი | 75,0 |
| ეკვადორი | 75,0 |
| სლოვენია | 100,0 |
| კორეა | 100,0 |
| აშშ | 100,0 |
| ჩინეთი | 100,0 |
| სენეგალი | 150,0 |
| ტუნისი | 150,0 |
| კოსტა რიკა | 150,0 |
| საუდის არაბეთი | 250,0 |

## 928. I ადგილი ჯგუფში

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი | 1,2 |
| ურუგვაი | 5,0 |
| დანია | 5,0 |
| სენეგალი | 20,0 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი | 1,4 |
| პარაგვაი | 4,0 |
| სამხრეთ აფრიკა | 8,0 |
| სლოვენია | 8,0 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 1,15 |
| თურქეთი | 5,5 |
| კოსტა რიკა | 10,0 |
| ჩინეთი | 15,0 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია | 1,5 |
| პოლონეთი | 3,2 |
| კორეა | 6,0 |
| აშშ | 10,0 |

**E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გერმანია | 1,55 |
| კამერუნი | 3,8 |
| ირლანდია | 4,0 |
| საუდის არაბეთი | 20,0 |

**F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| არგენტინა | 1,6 |
| ინგლისი | 2,4 |
| ნიგერია | 6,0 |
| შვედეთი | 8,0 |

**G ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იტალია | 1,4 |
| ხორვატია | [illegible],0 |
| მექსიკა | [illegible] |
| ეკვადორი | 7,0 |

**H ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რუსეთი | 2,5 |
| ბელგია | 2,5 |
| იაპონია | 3,0 |
| ტუნისი | 7,0 |

ჩემპიონისა და ჯგუფში გამარჯვებულის გადამრავლება არ შეიძლება

**საფრანგეთი. თასი. ოცდამეთორმეტედფინალი.**

**15 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 257 | ტრუა-ნიცა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 258 | ბასტია-ნანტი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 21.00 | 259 | სტრასბური-ლემანი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 260 | ლე ავრი-ნიმი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

**ბელგია. თასი. მერვედფინალი.**

**15 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 289 | გენკი-ვესტერლო | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**კალათბურთი.**

**15 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 531 | კლივლენდი-ფილადელფია | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 04.30 | 532 | შარლოტი-ბოსტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 533 | დალასი-მინესოტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 534 | სან ანტონიო-იუტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 535 | ჰიუსტონი-მაიამი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 05.30 | 536 | მილუოკი-ინდიანა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 537 | ჩიკაგო-ატლანტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 06.00 | 538 | დენვერი-ფინიქსი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 07.00 | 539 | პორტლენდი-ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.30 | 540 | გოლდენ სტეიტ-მემფისი | 1,3 | 12,0 | 2,5 |

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 541 | ტორონტო-ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 00.30 | 542 | კლიპერსი-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.00 | 543 | ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 06.00 | 544 | საკრამენტო-მემფისი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 06.00 | 545 | სიეტლი-ორლანდო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 06.30 | 546 | ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 6,0 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 547 | ფილადელფია-ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |

**ჰოკეი.**

**15 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 593 | ბოსტონი-ფილადელფია | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 594 | ტორონტო-მონრეალი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 595 | ოტავა-ნიუ ჯერსი | 1,75 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 596 | აილენდერსი-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 04.00 | 597 | რეინჯერსი-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 04.00 | 598 | ვაშინგტონი-ატლანტა | 1,55 | 4,0 | 2,8 |
| 05.00 | 599 | სტ. ლუისი-კალგარი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 05.00 | 600 | ნეშვილი-ჩიკაგო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 06.00 | 601 | ფინიქსი-დალასი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 07.00 | 602 | ვანკუვერი-დეტროიტი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 07.30 | 603 | ლოს ანჯელეს-კოლუმბუსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |

**16 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 604 | პიტსბურგი-კაროლინა | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 03.00 | 605 | მინესოტა-კოლორადო | 2,3 | 4,0 | 1,75 |
| 04.00 | 606 | ფილადელფია-ედმონტონი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 05.00 | 607 | ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,0 |

**17 დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 608 | რეინჯერსი-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 04.30 | 609 | მონრეალი-ტამპა ბეი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.30 | 610 | დეტროიტი-ჩიკაგო | 1,45 | 4,0 | 3,2 |
| 05.30 | 611 | დალასი-სან ხოსე | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 612 | ფინიქსი-კოლუმბუსი | 1,4 | 4,0 | 3,4 |

28 დეკემბრიდან „კროკოში" საახალწლო შესვენებაა. მუშაობა 4 იანვარს განახლდება

# თასის აღება

| 902 ჩემპიონთა თასი | | 901 უეფას თასი | |
|---|---|---|---|
| რეალი | 3,5 | მილანი | 3,5 |
| მანჩესტერი | 3,5 | ინტერი | 3,5 |
| იუვენტუსი | 4,0 | ლიდსი | 3,5 |
| რომა | 5,0 | ვალენსია | 4,0 |
| ლივერპული | 5,0 | პარმა | 6,0 |
| ბაიერნი | 5,0 | დორტმუნდი | 8,0 |
| ბარსელონა | 5,0 | რეინჯერსი | 15,0 |
| არსენალი | 7,0 | ლიონი | 15,0 |
| დეპორტივო | 7,0 | ლილი | 15,0 |
| ლევერკუზენი | 15,0 | პსვ | 20,0 |
| გალათასარაი | 30,0 | ფეიენოორდი | 20,0 |
| ნანტი | 30,0 | აეკ | 40,0 |
| ბოავიშტა | 30,0 | როდა | 50,0 |
| პორტუ | 30,0 | ჰაპოელი | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 30,0 | სერვეტი | 50,0 |
| სპარტა | 30,0 | ლიბერეცი | 50,0 |

## ტურში გატანილი გოლები

**15 დეკემბერი 18.30 781 გერმანია (მე-17) ---- 25 და ნაკლები - 1,9; ---- 27 და მეტი - 1,9**

**15 დეკემბერი 19.00 782 ინგლისი (მე-17) ---- 24 და ნაკლები - 1,9; ---- 26 და მეტი - 1,9**

**15 დეკემბერი 23.30 783 იტალია (მე-15) ---- 23 და ნაკლები - 1,9; ---- 25 და მეტი - 1,9**

**15 დეკემბერი 22.30 784 ესპანეთი (მე-17) ---- 25 და ნაკლები - 1,9; ---- 27 და მეტი - 1,9**

**15 დეკემბერი 19.00 785 პორტუგალია (მე-15) ---- 23 და ნაკლები - 1,9; ---- 25 და მეტი - 1,9**

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 15 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 18.30 | 701 | მიუნხენი-მიონხენგლად. | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 702 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | [illegible] |
| 18.30 | 703 | ნიურნბერგი-ზტ. პაული | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 5,0 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 704 | ვერდერი-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 705 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 706 | კიოლნი-კოტბუსი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 5,0 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 707 | ჰანზა-ბაიერნი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 5,0 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,[illegible] |
| 19.00 | 708 | ბოლტონი-ჩარლტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 19.00 | 709 | ევერტონი-დერბი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 710 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 5,0 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 19.00 | 711 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 19.00 | 712 | საუთჰემპტ-სანდერლენდი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 19.00 | 713 | ტოტენჰემი-ფულემი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 714 | ვესტ ჰემი-არსენალი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 23.30 | 715 | ინტერი-კიევო | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 22.30 | 716 | რეალი-სოსიედადი | 1,4 | 20,0 | 40,0 | 2,8 | 6,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 00.30 | 717 | ესპანიოლი-ვალენსია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 01.00 | 718 | ლას პალმასი-ოსასუნა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 20.30 | 719 | ვოლფსბურგი-შალკე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.30 | 720 | კაიზერსლ.-შტუტგარტი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.00 | 721 | ლიდსი-ლესტერი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 2,8 | 5,3 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.00 | 722 | ჩელსი-ლივერპული | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,9 |
| 18.00 | 723 | ატალანტა-პარმა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.00 | 724 | ბოლონია-პერუჯა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 725 | ფიორენტინა-ბრეშა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.00 | 726 | იუვენტუსი-პიაჩენცა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 2,8 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 727 | ლეჩე-ტორინო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 728 | ვენეცია-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.00 | 729 | ვერონა-ლაციო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 23.30 | 730 | რომა-მილანი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.00 | 731 | ვილიარეალ-ბარსელონა | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 20.00 | 732 | სელტა-სარაგოსა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 5,0 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 20.00 | 733 | ბილბაო-რაიო | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.00 | 734 | ვალიადოლ.-ტენერიფე | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 5,7 |
| 20.00 | 735 | ბეტისი-მალიორკა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 21.00 | 736 | ალავესი-სევილია | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,[illegible] |
| 23.00 | 737 | მალაგა-დეპორტივო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |

# ჩემპიონობა

| 911 გერმანია | | 912 ინგლისი | | 913 საფრანგეთი | | 914 იტალია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 1,4 | მანჩესტერი | 2,0 | ლანსი | 2,0 | იუვენტუსი | 3,0 |
| ლევერკუზენი | 3,0 | ლივერპული | 2,0 | ლიონი | 2,5 | მილანი | 3,0 |
| დორტმუნდი | 3,0 | ლიდსი | 3,0 | პსჟ | 3,0 | ინტერი | 3,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 | არსენალი | 3,0 | ლილი | 4,0 | რომა | 3,0 |
| შალკე | 10,0 | ჩელსი | 8,0 | ოსერი | 5,0 | ლაციო | 4,0 |
| ჰერტა | 10,0 | ასტონ ვილა | 10,0 | ბორდო | 7,0 | კიევო | 10,0 |
| მიონხენგლადბახი | 75,0 | ფულემი | 80,0 | ტრუა | 50,0 | პარმა | 50,0 |
| ჰამბურგი | 90,0 | სანდერლენდი | 80,0 | ნანტი | 80,0 | ბოლონია | 50,0 |
| | | | | | | ფიორენტინა | 90,0 |

| 915 ესპანეთი | | 916 პორტუგალია | | 917 ჰოლანდია | | 918 ბელგია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1,6 | პორტუ | 2,5 | აიაქსი | 2,0 | ბრიუგე | 1,4 |
| ბარსელონა | 2,3 | ბენფიკა | 2,5 | ფეიენოორდი | 2,0 | ანდერლეხტი | 2,5 |
| დეპორტივო | 3,0 | სპორტინგი | 2,5 | პსვ | 2,5 | გენტი | 5,0 |
| ვალენსია | 6,0 | ბოავიშტა | 3,5 | ვიტესი | 8,0 | სტანდარდი | 5,0 |
| სელტა | 10,0 | ბრაგა | 40,0 | ტილბურგი | 20,0 | გენკი | 7,0 |
| ალავესი | 10,0 | გიმარაეში | 40,0 | ჰერენვენი | 20,0 | ბეერსხოტი | 20,0 |
| ვილიარეალი | 40,0 | ბელენენსეში | 50,0 | ტვენტე | 50,0 | ლოკერენი | 40,0 |
| მალიორკა | 60,0 | ლეირია | 75,0 | როდა | 99,0 | ლიერსი | 75,0 |

| 919 საბერძნეთი | | 920 ჩეხეთი | | 921 პოლონეთი | | 922 თურქეთი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 | სპარტა | 1,1 | ვისლა | 1,75 | გალათასარაი | 1,4 |
| პანათინაიკოსი | 2,0 | სლავია | 6,0 | ლეგია | 2,0 | ფენერბაჰჩე | 2,3 |
| აეკ | 2,5 | ბოჰემიანსი | 6,0 | პოლონია | 4,0 | ბეშიქთაში | 6,0 |
| პაოკ | 7,0 | ქოჟკოვი | 6,0 | პოგონი | 4,0 | ისთანბული | 10,0 |
| ირაკლისი | 25,0 | ლიბერეცი | 10,0 | ამიცა | 4,0 | ტრაბზონი | 30,0 |
| არისი | 25,0 | ბანიკი | 15,0 | ოდრა | 6,0 | გაზიანთეფი | 30,0 |
| ოფი | 50,0 | სიგმა | 50,0 | რუხი | 10,0 | ანკარაგიუჯიუ | 40,0 |
| იონიკოსი | 50,0 | ბლშანი | 99,0 | კატოვიცე | 20,0 | გიოზთეფე | 50,0 |

| 923 შოტლანდია | | 924 ავსტრია | | 925 შვეიცარია | | 926 დანია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 1,02 | ტიროლი | 1,05 | გრასჰოპერი | 2,0 | ბრონდბიუ | 1,1 |
| რეინჯერსი | 6,0 | შტურმი | 5,0 | სტ. გალენი | 3,0 | კოპენჰაგენი | 4,0 |
| ლივინგსტონი | 40,0 | გრაცერი | 10,0 | ბაზელი | 3,0 | აკადემისკი | 4,0 |
| ჰართსი | 90,0 | ზალცბურგი | 30,0 | სერვეტი | 4,0 | ოლბორგი | 5,0 |
| ჰიბერნიანი | 90,0 | აუსტრია | 50,0 | ლუგანო | 5,0 | მიდტიულანდი | 20,0 |
| კილმარნოკი | 90,0 | კერნტენი | 75,0 | იანგ ბოისი | 8,0 | ოდენსე | 40,0 |
| დანდი იუნ. | 90,0 | რაპიდი | 90,0 | სიონი | 8,0 | ვიბორგი | 90,0 |
| დანდი | 90,0 | რიდი | 90,0 | ციურიხი | 10,0 | ლიუნგბიუ | 90,0 |

გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიურო
რუსთაველი კოსტავას გამზირი №23

# ქებათა ქება ტანვარჯიშისა და გიორგი ეგნატაშვილისა

**საქართველოში** სპორტის ყველა სახეობას მეტ-ნაკლებად მძიმე დროება უდგას. გამონაკლისი არც ტანვარჯიშია. არადა, იყო დრო, ამ სახეობის ქართველი ვარსკვლავები მსოფლიოს სპორტში უმაღლეს დონეზე კაშკაშებდნენ. მათ ოლიმპიურ თამაშებზე და მსოფლიოს ჩემპიონატებზე არაერთი ოქრო-ვერცხლი მოუპოვებიათ. 1936 წელს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა პირველ ათეულში ოთხი ქართველი სპორტსმენი იყო, სსრ კავშირის მთელს იმპერიაში კი სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებები პირველად მხოლოდ ჩვენს ტანმოვარჯიშეებს გიორგი ეგნატაშვილსა და მის აღზრდილ გიორგი (გულო) რცხილაძეს მიანიჭეს.

გიორგი ეგნატაშვილი მართლაც მშვენიერი ტანმოვარჯიშე, მწვრთნელი და აღმზრდელი იყო. იგი ქართული ტანვარჯიშის პატრიარქად და ერთ-ერთ მებალავრედ ითვლება გიორგი ნიკოლაძესთან ერთად. ნიკოლაძე თუ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად სპორტის მრავალი სახეობის განვითარებისთვის იყო თავგადადებული, ეგნატაშვილი მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას ტანვარჯიშული სკოლისთვის მტკიცე ბალავერის ჩაყრას ახმარდა.

ოღონდაც, ეს ბალავერი უხსოვარი დროიდან მტკიცე ნიადაგზე იყრებოდა. ამის დასტურად გვახსენდება ფიზიკური ვარჯიშის უებრო მცოდნე ფარნაკი, ვინც II საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი კოლხეთის ქალაქ სინოპიდან ბოსფორში მიუწვევიათ. გარდაცვლილი ფარნაკი ბოსფორშივე მიუბარებიათ მიწისთვის. ფარნაკს ისე გაუთქვამს სახელი, რომ მის საფლავზე ძეგლიც აღუმართავთ. ეპიგრაფიულ წარწერაში ვკითხულობთ: „ფარნაკ ფარნავის ძევ, მშვიდობით. მოგზაურო, შეხედე ფარნაკის ძეგლს, რომელიც მოსტეხა მძიმე აიდამ, გაახვია ბადეში უბედური ჭაბუკი, ხელობით გიმნასტიკის მასწავლებელი. ასაკით ახალგაზრდა, რომელიც თავისი სიმამაცით წავიდა სამშობლო სინოპიდან დასავლეთით. მის უნარს ინახავს ბოსფორის მიწა. ყველა გიმნასტი დასტირის მას მდუმარე ცრემლით. მისმა მამობილმა ხამეტიონმა მის სიყვარულში გადააჭარბა საკუთარ მამას და მის საფლავზე დაუდგა ქვის ძეგლი".

სიმბოლურად, ეს იყო არა მხოლოდ ფარნაკისადმი მიძღვნილი ძეგლი, არამედ ტანვარჯიშის აღიარებაც, რაკილა ამგვარი ვარჯიში სპორტის ნებისმიერი სახეობის საფუძველთა საფუძველი და ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთი საწინდარია.

ტანვარჯიშის მნიშვნელობა კარგად უწყოდნენ ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. 1878-79 წლებში გაზეთ „დროებასა" და ჟურნალ „ივერიაში" ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა მოღვაწენი წერდნენ, თუ როგორი დიდი აღტაცება გამოიწვია ჩვენს მოწინავე ინტელიგენციაში ქართული პროგიმნაზიის გახსნამ, რომლის სასწავლო წესდებით ტანვარჯიში სავალდებულო საგნად იყო მიჩნეული. ამ სასწავლებლისთვის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე ქართველმა საზოგადოებამ იყიდა რკინის ღერძი, შვედური კედელი და კიბე, უსახელურო ტაიჭი და კუსტარული ორძელი.

ტანვარჯიშის მიმართ გულგრილი არც „საქართველოს კალენდარი" დარჩენილა. 1897 წელს გამოცემულ საქართველოს კალენდარში დასტამბულია ფრიად საინტერესო სტატია „მოკლე მიმოხილვა თავის მოვლა-შენახვისა", სადაც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ფიზიკურ ვარჯიშზე, მის მნიშვნელობაზე. მომდევნო თავში დასტამბულია უფრო საინტერესო წერილი „გიმნასტიკა", სადაც მთავარი ყურადღება „საოჯახო გიმნასტიკზე" გაუმახვილებიათ. ძირითადად საუბარია ტანვარჯიშზე. თითოეულ ვარჯიშს თუ მოძრაობას ილუსტრაციის სახით ნახატები ახლავს.

რედაქცია წერს, რომ ეს ვარჯიშები „ჩვენ ამოვიღეთ ნემეცური წიგნიდან, სახელდობრ, „შინაური გიმნასტიკა ჯანმრთელთა და სნეულთათვის" პროფესორ პეტტენჰოფერისა და სახმარებელია ვაჟკაცთათვის. რა თქმა უნდა, აქ ყველაფერი არა გვაქვს მოხსენიებული და დასურათებული, რაც ამ წიგნშია მოხსენებული გიმნასტიკის შესახებ. თვითონ წიგნიც მოზრდილია და ბარე ასამდე ნახატია შიგ, მაგრამ უმთავრესი ვარჯიშობანი კი მოხსენებული გვაქვს ჩვენს კალენდარში".

იგივე წიგნიდან მოყვანილია „ქალების გიმნასტიკაც".

„საქართველოს კალენდრის" ტანვარჯიშისადმი ასეთი ყურადღება ამ სახეობისადმი საზოგადოების ინტერესის მანიშნებელიცაა, რაც შემდგომ უფრო გაიზარდა. 1902 წელს თბილისის მეორე გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებელმა, წარმოშობით ჩეხმა ა. სკოტაკმა გამოსცა თავისი ნაშრომი „ტანვარჯიშული თამაშები".

ტანვარჯიშის ერთ-ერთი პირველი ქართველი მასწავლებელი იყო იასონ გაბაშვილი. ამ სახეობაში ვარჯიშის წყალობით იგი საუკეთესო გარეგნობითა და ფიზიკური მონაცემებით ფრიად გამოირჩეოდა. იგი სულიერი თვისებებითაც ღირსეული პიროვნება იყო და როგორც ამ თვისებებით გამორჩეული და ჰარმონიული ახალგაზრდა, 1886 წელს, როცა თვრამეტის იყო, ლივადიაში (ახლანდელი ყირიმი) რუსეთის იმპერატორს წარუდგინეს.

ასე იყო თუ ისე, იასონ გაბაშვილის გარეგნობამ მოხიბლა მსოფლიოს საფოსტო კავშირის მესვეურნი, რომლებმაც ქართველი ახალგაზრდის გამოსახულებით ღია ბარათი გამოუშვეს და თითქმის ყველა ქვეყანაში გაავრცელეს.

მოგვიანებით, 1892 წელს, იასონ გაბაშვილი პეტერბურგში ტანვარჯიშის მასწავლებელთა კურსებზეა, სადაც იგი ამ ნევისპირა ქალაქის ყურადღებას იპყრობს, როგორც უბადლო ტანმოვარჯიშე და ტყვიის მსროლელი. მისი მეუღლე თამარ ამირეჯიბი-გაბაშვილი ვარაუდობდა, რომ მსოფლიოს საფოსტო კავშირის წარმომადგენლები, რომლებიც ეძებდნენ მომხიბლავი ტიპიური ქართველი მამაკაცის სახეს, იასონ გაბაშვილს სწორედ პეტერბურგში წააწყდნენ.

საქართველოში კლასიკური ტანვარჯიშის დაბადების თარიღად 1896 წელს მიიჩნევენ. მისი აკვანი სწორედ იმ წელიწადს დაირწა თბილისის იმპერატორ ალექსანდრე პირველის სახელობის ვაჟთა გიმნაზიაში. ამ გიმნაზიის დირექტორ მარკოვს პარიზში პრაღის „სოკოლის" ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლა უნახავს და ძალზე აღფრთოვანებულა. მისი მეცადინეობით ჩეხეთის „სოკოლის" ხელმძღვანელობამ თბილისში მოავლინა ტანვარჯიშის სპეციალისტი იულეს გრუმლიკი. მან გიმნაზიაში ჩამოაყალიბა ამ სახეობის მოყვარულთა წრე, რომელიც ტანვარჯიშული საზგადოების სახელით იყო ცნობილი. 1899 წელს სამშობლოში დაბრუნებული გრუმლიკი უფრო ცნობილმა ტანმოვარჯიშემ, მისმა თანამემამულე ანტონ ლუკეშმა შეცვალა. მან საქართველოში ჩამოაყალიბა საზოგადოება „სოკოლი", 1907 წელს კი მისი უცხოური ტანვარჯიშული დებიუტიც გაიმართა, როცა ჩვენი გუნდი ჩეხეთის „სოკოლის" მეხუთე შეკრებაზე გამოიყვანა. გუნდში თავად ლუკეშის გარდა იყვნენ მისი თანამემამულე ვასეკი, სომეხი ბოიახჩევი, რუსი ჟივენი, გერმანელი ელენვერი და ქართველი გიორგი ეგნატაშვილი. ამ ინტერნაციონალურმა ნაკრებმა II ადგილი დაიკავა, ხოლო ეგნატაშვილი 1800 ტანმოვარჯიშეს შორის XI აღმოჩნდა. მისი ვარჯიშით მოიხიბლნენ მაყურებლებიც და მსაჯებიც, რისთვისაც სხვებთან ერთად „დიდი დიპლომით" დააჯილდოვეს.

ორი წლის მერე ეგნატაშვილმა პრაღის უმაღლესი ტანვარჯიშული კურსები დაამთავრა და დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს, სადაც სათავადაზნაურო გიმნაზიაში ტანვარჯიშის მასწავლებლობა დაიწყო. 1912 წელს მისი ხელმძღვანელობით გიმნაზიის ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა მოეწყო. იმავე წელს საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გუნდმა ყველას აჯობა პრაღაში გამართულ სოკოლელთა შეჯიბრებაზე, სადაც იგი გვირგვინით შეამკეს, გიორგი ეგნატაშვილი კი მესამე იყო პირად პირველობაში.

1918 წელს გიორგი ეგნატაშვილმა გიორგი ნიკოლაძესთან ერთად ჩამოაყალიბა სპორტსაზოგადოება „შევარდენი": უფრო სწორად, მათ თავიანთი „სოკოლი" 1917 წელს დაარსებულ გაიოზ ბერელაშვილისა და დათა ჯავრიშვილის ტანვარჯიშულ საზოგადოება „ამირანთან" გააერთიანეს და უწოდეს „შევარდენი".

„შევარდენმა" უაღრესად მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა საქართველოში არა მხოლოდ ტანვარჯიშული მოძრაობის წინსვლაში, არამედ სპორტის სხვა სახეობათა დანერგვა-განვითარებაში და ერის ერთობის განმტკიცებაშიც. სამწუხაროდ, 1922 წელს საქართველოს რევოლუციურმა ხელისუფლებამ „შევარდენი" გააუქმა, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერე გიორგი ეგნატაშვილს არ მოუკლია ტანვარჯიშის განვითარებისადმი მზრუნველობა და გარდაცვალებამდე (1962წ.) მისთვის იღვწოდა. 1937-1941 წლებში იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრას, მუშაობდა მასწავლებლად ჯერ თბილისის უნივერსიტეტში, მერე — საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ყველგან თავის ნათელ კვალს ტოვებდა. მისი სახელი უწოდეს თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების ტანვარჯიშულ სპორტსკოლას.

ამ სკოლის ქორეოგრაფმა, გიორგი ეგნატაშვილის შვილიშვილმა ქალბატონმა ლენამ ერთხელ გვიამბო:

„პრაღაში მოგზაურობისას შევხვდი პაპაჩემის დიდ მეგობარს, ჭარმაგ კოუბას. წინათ, დიდი ხნის წინათ, ეს ჩეხი სპეციალისტი, ისე როგორც სხვა მისი თანამემამულენი, ფიზკულტურას ნერგავდა, ავითარებდა და დიდ პოპულარიზაციას უწევდა ტანვარჯიშს. კოუბამ პრაღაში დამათვალიერებინა ფიზიკური აღზრდის მუზეუმი, რომლის ერთ-ერთ ოთახში სიურპრიზიც მელოდა: აქ გამოფენილი იყო გიორგი ეგნატაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები".

— გიორგი ეგნატაშვილს ფანატიკური კრძალვა და რიდი ჰქონდა ტანვარჯიშული იარაღების მიმართ, — იხსენებდა წლების წინათ ქართული ტანვარჯიშის პატრიარქის სახელობის სპორტსკოლის ყოფილი დირექტორი, ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე მიხეილ იმნაძე — ჩვენც ამას გვასწავლიდა. აბა, ბიჭი იყავი და ტაიჭის ან ორძელის ქვეშ გამძვრალიყავი, ან ზედ შემომჯდარიყავი. ერთხელ, აბა, ამას რა დამავიწყებს, ბატონ გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით სამწყობრო სიარულს გავდიოდით. ერთმა ჩვენმა თანაჯგუფელმა იხუმრა და გამეცინა. ეს რომ ეგნატაშვილმა დაინახა, იმნაძე, ერთი კვირა შვებულებაო. შევცბი და შევწუხდი.

— ბატონო გიორგი — ვცადე თავის მართლება. სათქმელი არ დამემთავრებინა, ორი კვირა შვებულებაო! ორი კი არა, ერთი კვირაც რომ არ მევარჯიშა, ვერ წარმომედგინა და, მესამედაც რომ დავაპირე რაღაც ამომელუღლუღა, ერთ-ერთმა თანაჯგუფელმა შემაჩერა, თორემ ვინ იცის, იქნებ სამუდამო „შვებულებაც" მოეცა ჩემთვის.

გიორგი ეგნატაშვილი, როგორც მისი თანამედროვენი იხსენებენ, საოცრად პირუთვნელი, სამართლიანი, პატიოსანი იყო. მისი ერთ-ერთი საუკეთესო შეგირდი გიორგი ბაბილოძე იხსენებდა:

— 1939 წელს საქართველოს პირველობაში ჩავები. მთავარი მსაჯი ჩემი აღმზრდელი გიორგი ეგნატაშვილი იყო. ღერძზე ვვარჯიშობდი. ასპარეზობა რომ დავამთავრე, ტაშმა იქუხა. მსაჯებმა ერთხმად 10 ქულა დამიწერეს. ასეთი მაღალი შეფასება მეც მეკუთვნოდა და ჩემს აღმზრდელსაც. გაბრწყინებული თვალები მისკენ გავაპარე, ის კი კოპებშეკრული იდგა. ტაში რომ დაცხრა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

„ამხანაგებო, სამწუხაროდ, ჩემმა მოსწავლემ შეცდომა დაუშვა. ეტყობა, ვერავინ შენიშნა, რომ გოგლიკომ ერთი ზედმეტი აღმატრიალი გააკეთა. მწყინს, ძალიან მწყინს ჩემი მოსწავლის შეცდომა, მაგრამ სამართალი არ უნდა დავივიწყოთ".

— მეტი რა დარჩენოდათ მსაჯებს, ათის ნაცვლად ხუთი დამიწერეს. ბოლოს, მარტონი რომ დავრჩით, ეგნატაშვილი ჩემთან მოვიდა, ხელი მომხვია და მითხრა, ბიჭო, შენი მასწავლებელი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდაო.

ეს ეპიზოდი, უდაოდ, გიორგი ეგნატაშვილის მაღალ მოქალაქეობრივ კრედოზე მეტყველებს.

ისინი, რომლებიც გიორგი ეგნატაშვილს იცნობდნენ, მის სამართლიანობასთან და პატიოსნებასთან ერთად სიტყვაპუნწობასაც აღნიშნავენ. იმასაც ამბობენ, გარეგნულად აპოლონივით მოხდენილი იყოო.

ისევ ბაბილოძის ნაამბობი გავიხსენოთ:

— ჩვენს მასწავლებელს ხშირად დავყავდით ქალაქგარეთ, მტკვარზე საბანაოდ. ცურვის ტექნიკას გვიხსნიდა და გვასწავლიდა. თავად, რა თქმა უნდა, მშვენივრად ცურავდა. საამო სანახავი იყო, როცა ტანთ გაიხდიდა და წყალში გადაეშვებოდა. წყლიდან ამოსული და მზით გარუჯული ანტიკურ ბრინჯაოს ქანდაკებას ჰგავდა: ძლიერი მხრები, ღონიერი მკერდი, ქერა თმა, სწორი ცხვირი, აპრეხილი, კოხტა ულვაშები... არა, საოცრად ათლეტური აგებულებისა იყო ჩვენი მასწავლებელი. სულ ფეხით დადიოდა. ტრანსპორტს სათოფეზე არ ეკარებოდა. მოგვიანებით, ავტომობილი რომ შევიძინე, ჩემს მანქანაში თუ ჩაჯდებოდა. ამასაც მხოლოდ იმიტომ აკეთებდა, რომ ხათრს ვერ მიტეხდა.

აი, ასეთია ძუნწად აღწერილი ის რამდენიმე შტრიხი, რომელიც ქართული ტანვარჯიშული სკოლის სათავესთან მდგომ კაცს გვახსენებს.

**ავთანდილ გურასაშვილი**





გიორგი ეგნატაშვილი ტანვარჯიშულ და „შევარდენის" სამოსელში



იასონ გაბაშვილი მსოფლიოს საფოსტო კავშირის ღია ბარათზე




REUTERS ფოტოფირმიდან

მონრეალელმა ჩედ კილგერმა შაიბაც გაიტანა და ფილადელფიის მეკარე რომან ჩეხმანეკიც

# იაგრი ჯერაც მძინარე მზეთუნახავია
## დალინმა კი თვალები მოიფშვნიტა

13 დეკემბერი

**ვაშინგტონი 2:1 ბოსტონი (0:0 0:1 2:0)**
0:1 რივერსი (34), 1:1 ვეტლინგერი (46), 2:1 დალინი (52)

ზოგი ჭირი მარგებელიაო, იაროსლავ იაგრზე და ულფ დალინზეა ნათქვამი. იაგრი რომ აეთამაშებინათ, ვაშინგტონის თავკაცებმა მას დალინი შეუამხანაგეს და, ალბათ, თავისთვისაც მოულოდნელი შედეგი მიიღეს. მართალია, იაგრი კვლავ თავისი თამაშის ძიებაშია, სამაგიეროდ, ვეტერანი შვედი გამოცოცხლდა. ამჯერადაც დალინმა გადამწყვეტი გოლი გაიტანა, რომელიც მისთვის სეზონში მე-14 გამოდგა. ალსანიშნავია, რომ ბოლოს დალინმა რეგულარულ ჩემპიონატში 20 გოლი 1993-94 წლების სეზონში მიითვალა, მას შემდეგ კი მეტწილად „ჩეკინგ-ლაინებში“ გამოდიოდა და მეტოქეთა ლიდერებს აუვნებლებდა.

**ედმონტონი 1:2 დეტროიტი (1:0 0:1 0:1)**
1:0 კარტერი (11), 1:1 დევეროო (27), 1:2 აიზერმანი (55).

დეტროიტმა ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა — ოთხმატჩიანი უხეირობა შეწყვიტა და სეზონში პირველმა მე-100 გოლი გაიტანა. საიუბილეო შაიბა ყოფილმა ედმონტონელმა ბოიდ დევეროომ გაიტანა, რომელიც სტივ აიზერმანსაც დაეხმარა გამარჯვების გოლის გატანაში.

**ოტავა 6:0 ფინიქსი (3:0 0:0 3:0)**
1:0 ჰავლატი (7), 2:0 ჩერნიკი (11), 3:0 ჰავლატი (14), 4:0 ჰავლატი (18), 5:0 ფიშერი (49), 6:0 ფიშერი (58).

ფინიქსი ისე უსუსურად მოქმედებდა შეტევაში, რომ ოტაველ მეკარე პატრიკ ლალიმს, მიუხედავად შათაუტისა, მატჩის სამ ვარსკვლავს შორის დასახელება არც კი ეღირსა.

**სენტ ლუისი 3:4 ტორონტო (1:2 1:1 1:0 0:1)**
0:1 მოგილნი (14), 1:1 იანგი (15), 1:2 დომი (18), 1:3 მოგილნი (22), 2:3 მაკინისი (40), 3:3 უეიტი (50), 3:4 სუნდინი (61).

**ლოს ანჯელესი 6:3 ვანკუვერი (3:0 2:1 1:2)**
1:0 ლაპერიე (4), 2:0 ბუშე (11), 3:0 ემერსონი (16), 3:1 ჟოვანოვსკი (37), 4:1 ჯონსონი (38), 5:1 შაინცი (39), 5:2 ნესლუნდი (44), 5:3 ბერტუცი (59), 6:3 ბუშე (60).

**ფილადელფია 2:3 მონრეალი (1:1 0:2 1:0)**
1:0 განიე (5), 1:1 კილგერი (13), 1:2 ზედნიკი (23), 1:3 გილმორი (36), 2:3 იუჰანსონი (52).

# ფინეთმა სასოლტლეიკო ბიჭები გადაითვალა

**სოლტ ლეიკ სიტის** ოლიმპიადამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. ჰოკეისტთა ტურნირის ექვსი წამყვანი ნაკრები საბოლოო შემადგენლობას 22 დეკემბრამდე გამოაქვეყნებს. ფინეთის ნაკრების მესვეურებს ბევრი ფიქრი არც დასჭირდათ, ვადამდე, ცხრა დღით ადრე გაარკვიეს ყველაფერი. მათ უკვე დაასახელეს 23 ჰოკეისტი, რომელთაგან 19 ნჰლ-ში თამაშობს, სამ ფინეთში, ხოლო ერთი შვედეთში. ალსანიშნავია, რომ ნაგანოს ოლიმპიადაზე მათ გაცილებით მეტი ევროპაში მოასპარეზე ჰყავდათ.

აი, ისინიც:

*მეკარეები: პასი ნურმინენი (ატლანტა), იუსი მარკანენი (ედმონტონი), იანი ჰურმე (ოტავა);*

*მცველები: კიმო ტიმონენი (ნეშვილი), სამი სალოსოტვა, ოსი ვაანანენი (ფინიქსი), აკი ბერგი (ტორონტო), იურკი ლუმე (ტორონტო), ტეპო ნუმინენი (ფინიქსი), იანე ნიინიმაა (ედმონტონი);*

*ფორვარდები: ტეემუ სელიანე (სან ხოსე), ვილე ნიემინენი (კოლორადო), ოლი იოკინენი (ფლორიდა), ტომი კალიო (ატლანტა), მიკო ელორანტა (ლოსანჯელესი), სამი კაპანენი (კაროლინა), იერე ლეჰტინენი (დალასი), იუჰა ილონენი (ტამპა), იარკო რუუტუ (ვანკუვერი), რაიმო ჰელმინენი (ილვერი, ფინეთი), ვილე პელტონენი (იოკერიტი, ფინეთი), ანტი აალტო (იოკერიტი, ფინეთი), იუჰა ლინდი (სედერტელი, შვედეთი).*

"მაგთი GSM"
2001 წლის 30 დეკემბერს
ზ. ფალიაშვილის სახ. "ოპერისა და ბალეტის" სახელმწიფო აკადემიურ თეატრში
წარმოგიდგენთ: ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიას "რაინდები".
ორგანიზატორები:
"საქართველოს ტელე-რადიო კორპორაცია",
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, შ.პ.ს. "ვერიტა".
საინფორმაციო მხარდაჭერა:
სარბიელი
გენერალური სპონსორი
მაგთი MAGTI GSM
დას. 18.00 სთ-ზე.

ანკეტა
დამოუკიდებელი საქართველოს, ყველაზე პოპულარული სპორტის ათი სახეობა, ათი საუკეთესო სპორტსმენი.

| სახეობები: | სპორტსმენები: |
| --- | --- |
| 1. | 1. |
| 2. | 2. |
| 3. | 3. |
| 4. | 4. |
| 5. | 5. |
| 6. | 6. |
| 7. | 7. |
| 8. | 8. |
| 9. | 9. |
| 10. | 10. |

ათწლეულის საუკეთესო გუნდი:

გვარი
სახელი
ასაკი

საკონტაქტო ტელეფონი: 99 56 14
მობ: 8 99 17 84 44
E-mail: gazeti_lelo@hotmail.com

ბალახის ჰოკეი

# ქუთაისმა ბაქო მოიმწვანილა

**ბაქოში** ახლახან ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბალახის ჰოკეიში, რომლის ინიციატორი იქაური სპორტკლუბი „ვეტენი“ გახლდათ. ორგანიზატორებს ირანელი და ქართველი ჰოკეისტები ჰყავდათ მიწვეული, თუმც ბოლო მომენტში ირანელებმა ტურნირში მონაწილეობაზე უარი შემოთვალეს და შეჯიბრებაც „ვეტენის“, ბაქოსავე „ტექსილის“, სუმგაითის „აზერის“ და ორი ქუთაისური გუნდის — საქართველოს ჰოკეის ასოციაციის „ლოკომოტივის“ და განათლების სპორტსკოლის წარმომადგენლობით შედგა.

აი, რა გვიამბო ამ ტურნირის შესახებ საქართველოს ჰოკეის ასოციაციის პრეზიდენტმა როლანდ ამაღლობელმა:

— ტურნირის ფავორიტად „ვეტენი“ ითვლებოდა, ეს გუნდი უძლიერესია აზერბაიჯანში და იოლ გამარჯვებასაც გეგმავდა, მაგრამ მასპინძლებს, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ტრაბახში ნუ ჩაგვითვლით და, ამ შეჯიბრებაში „ლოკომოტივის“ გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა. სპორტსკოლის ჭაბუკთა გუნდს „ლოკომოტივმა“ 3:0 სძლია, მერე გამოცდილი „აზერიც“ დაამარცხა 2:1, რასაც „ტექსილთან“ უშელავათო ბრძოლაში ფრე — 2:2 მოჰყვა. ბოლო ტურის წინ „ლოკომოტივი“ 7 ქულით მეორე ადგილზე იყო, პირველზე კი სამივე შეხვედრაში გამარჯვებული „ვეტენი“. გადამწყვეტმა თამაშმა დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხითაც გადაიცემოდა. ცნობილი მწვრთნელის ტაირ ზეინალოვის შეგირდებმა უმალვე შემოგვიტიეს, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმაც ივარგეს, არ შეშინდნენ, მასპინძლებს ინიციატივა არ დაუთმეს, მეტიც, პირველ ტაიმში ამირან ლილუაშვილის მიერ გატანილი გოლით დაწინაურდნენ. მეორე ნახევარში ბაქოელებმა ყველა ღონე იხმარეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, ოღონდ არაფერი გაუვიდათ. მართალია, ჩვენებმა სამი გაუშვეს, მაგრამ სამიც გაიტანეს. გიორგი გოგობერიშვილმა და ორჯერ მირზა ხასიამ დალაშქრეს „ვეტენის“ კარი. საბოლოოდ „ლოკომოტივმა“ 4:3 იმარჯვა და მთავარ პრიზს დაეუფლა. სასიხარულო გახლდათ ისიც, რომ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ გიორგი გოგობერიშვილი დასახელდა, მირზა ხასიას კი საუკეთესო ნახევარმცველისთვის დაწესებული პრიზი ერგო. „ლოკომოტივი“ ამ შეჯიბრებისთვის მწვრთნელებმა დავით მოდებაძემ და ხვიჩა ჯავახაძემ მოამზადეს.

ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომელმაც მართლაც რომ დიდი დახმარება გაგვიწია, ბაქოში მგზავრობის ხარჯები აგვაცილა.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**



„ლოკომოტივის“ ჰოკეისტთა გუნდი

# აი, ბიგ მაკი

აი, უდიდესი სპორტსმენი, მძლეოსანი კარლ ლუისი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მან 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადაზე სიგრძეზე ხტომაში ოქრო მოიგო — ეს გახლდათ ამ სახეობაში ლუისის მეოთხე ოქრო, ხოლო თუ სხვა სახეობებსაც მივუთვლით, მეცხრე. და ასეთი სპორტული შესაფალი იმისთვის გაგაცვეთეთ, რომ გვეთქვა: კარლ ლუისი ბანგკოკში შუა აღმოსავლეთის, აზიისა და აფრიკის შესაბამისი პროფილის ბიზნესმენებს, „მაკდონალდსის" განსაკუთრებულობაზე ელაპარაკება.



REUTERS მაშანტუკეტიდან

# დღეს ჩხუბია

დღეს აშშ-ში, კონექტიკუტის შტატის ქალაქ მაშანტუკეტში, „ფოქსვუდ კაზინოში" WBA მძიმეწონოსან მოკრივეთა ქამრის ამბავს იკვლევს — ჩემპიონი ჯონ რუისი (მარცხნივ) პრეტენდენტ ევანდერ ჰოლიფილდს უნდა ეჩხუბოს, შუაში მდგომმა კაცმა, პრომოუტერმა დონ კინგმა კი ფული უნდა ჩაიჯიბოს. ფოტო პრესკონფერენციაზეა გადაღებული.



REUTERS ბანგკოკიდან





REUTERS ტოკიოდან

# ვაი, სირცხვილო

ოცდამეერთე საუკუნეა... ადრე ქალს სუმოს ტატამზე ფეხი რომ შეედგა, სასტიკად დაისჯებოდა, ახლა კი, ჩვენი თუ არ გჯერათ, ფოტოს ენდეთ: ნიპონის უნივერსიტეტის სტუდენტი 20 წლის მინა საიტო საკუთარ მწვრთნელს, ტოშინორი კუგიმოტოს ეძიძგილავება. ასე ვარჯიშობენ ამომავალი მზის ქვეყანაში — ქალი კაცთან და, მეორე ფოტოზე, ქალი ქალთან.



REUTERS ბელფასტიდან

# ბიჭო, ულვაში...

ნიძლავი: ამ კაცს 60-იანი წლების მომსწრე ფეხბურთის გულშემატკივრებიც ვერ იცნობთ. ეს გახლავთ... ჯორჯ ბესტი, „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავყოფილი, ლოთი თუ ლოთყოფილი და წვეროსანყოფილი. გაუპარსია, ბატონო ჩემო, ბელფასტის „ქუინზ უნივერსიტიში" მისულა და საპატიო ხარისხიც მიუღია. ბესტთან ერთად სხვადასხვა რანგის დიპლომი 1200-მა სტუდენტმაც ჩაიბარა.

# წლეულს ამერიკაში

ამერიკული ფეხბურთი ისეთი რამაა, წლის უძვირფასეს მოთამაშეს თვით ქვეყნის პრეზიდენტი ხვდება ხოლმე. წლეულს ისე მოხდა, რომ უძვირფასესი ორია, არიზონელები რენდი ჯონსონი და კურტ შილინგი, ხოლო პრეზიდენტი, ბუნებრივია, ...თია, მას ჯორჯ ვაშინგტონ ბუში ჰქვია და საჩუქრად საკუთარგვარიან მაისურას იღებს.




REUTERS ვაშინგტონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge